საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი

ელისაბედ ზარდიაშვილი

ამბავი
ორი
სევდიანი
სიყვარულისა

აკაკის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი

ალექსანდრე ყაზბეგის საბედისწერო სიყვარულის ისტორია

თბილისი
2005

წიგნში გაშუქებულია აკაკი წერეთლისა და ალექსანდრე ყაზბეგის პირადი ცხოვრების გაუხმაურებელი ფაქტები, კერძოდ, ორივე შემოქმედის ბურუსით მოცული სევდიანი სიყვარულის ისტორია. გარდა ამისა, ნაშრომში გაანალიზებულია XIX საუკუნის საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი საინტერესო და უცნობი დეტალი, მათ შორის, ეანო მაჩაბლის გაუჩინარებასთან დაკავშირებული ვერსიები...

აკაკის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი მოთხრობილია პოეტის პირადი წერილების „აკრძალულ ფონდში" დაცული მასალების მიხედვით, რომელმაც ბევრ საიდუმლოს მოჰფინა ნათელი და რომელსაც ფართო საზოგადოება ჯერ კიდევ არ იცნობს, ხოლო ალ.ყაზბეგის საბედისწერო სიყვარულის ისტორია – მისსავე დაუმთავრებელ თხზულებებზე, დღიურებზე, აღსარებებსა და უცნობ მოგონებებზე დაყრდნობით.

წიგნი საინტერესო იქნება როგორც სპეციალისტების, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: პროფესორი გურამ ბენაშვილი

აკაკის პირადი მიმოწერის შესახებ მასალები მოგვაწოდა პროფესორმა ნორა კოტინოვამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ასევე, მადლობას მოვახსენებთ გიორგი ყველიაშვილს წიგნის გამოცემაზე გაწეული დახმარებისათვის.

© ილისბგედ ზარდიაშვილი

ჯაფშირის „ავტოგრაფი"
თბილისი - 2005

ISBN 99940-0-439-5

შესავალი

აკაკი წერეთელი და ალექსანდრე ყაზბეგი...

იმდენად დიდი, კოლორიტული და მრავლისმეტყველია მკითხველისთვის მათი ფიგურები, რომ ზედმეტიც კია იმის აღნიშვნა, თუ რა დამსახურება მიუძღვით მათ ერის წინაშე...

ამ ორი შემოქმედის ბედი, ერთი შეხედვით, ძალიან განსხვავებული იყო.

აკაკიმ მოხუცებულობამდე იცოცხლა და იმ ბედნიერ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომელმაც სიცოცხლეშივე მოიმკო ხალხის სიყვარული, მოესწრო საკუთარ დიდებასა და აღზევებას, ხოლო ყაზბეგი, რომელიც სიჭარმაგის ასაკში გამოეთხოვა ცხოვრებას, სასოწარკვეთილი წერდა თავის ერთ დაუმთავრებელ, გამოუქვეყნებელ წერილში: „საკვირველს ბედზედა ვარ გაჩენილი“-ო. და, მართლაც, საკვირველ ბედზე იყო მოვლენილი ამქვეყანას, რადგან მწერალს თავისი ბრწყინვალე შემოქმედებიდან სიცოცხლეში ტკივილისა და დამცირების მეტი არა მიუღია-რა. სულით დაავადებულთა თავშესაფარში გამოკეტილს „ერთი ჩასუნთქვა“ სიგარეტი ენატრებოდა, ნუგეშისმცემელს ელოდა, მაგრამ ამაოდ... გარდაცვალების შემდეგ საზოგადოებამ მის კუბოსთან ცრემლის ზღვა და ყვავილ-გვირგვინთა გორა დააყენა, ნაწერები კი გენიოსის შემოქმედებად შერაცხა...

ამ განსხვავებული ბედის მიუხედავად, აკაკისა და ყაზბეგს ერთი საერთო გრძნობა ამსგავსებდა ერთმანეთს. ეს იყო ორივე შემოქმედის ცხოვრებაში ტრაგიკულად დასრულებული სიყვარულის განცდა. არც ერთისთვის და არც მეორისთვის ბედმა პირადი ბედნიერება არ გაიმეტა, ორივემ საფლავში ჩაიტანა ერთადერთი და მიუწვდომელი სიყვარულისგან მიღებული ტანჯვა და ტკივილი...

საზოგადოებისთვის ორივე შემოქმედის ტრაგიკული სიყვარულის ისტორია მეტ-ნაკლებად უცნობია.

აკაკის თავისმა წმიდათაწმიდა სიყვარულმა ისეთი ლაქა მოსცხო, რომ კინაღამ თავი მოაკვლევინა. ეს ლაქა პოეტს „აკრძალულ ფონდში“ გადამალული წერილების საზოგადოებისთვის დაბრუნების შემდეგ ჩამოერეცხა, მაგრამ ამ მიმოწერას ფართო საზოგადოება ჯერ კიდევ კარგად არ იცნობს.

როგორც ცნობილია, ვანო მაჩაბლის გაუჩინარებისთანავე აკაკის

ეპისტოლური მემკვიდრეობიდან სპეციალურად ამორჩეული 50 წერილი საზოგადოების თვალს მოარიდეს და „აკრძალულ ფონდში“ ჩაკეტეს. ჭორი უამრავი ტრიალებდა, მაგრამ სიმართლე, თუ როგორ პლატონურად, უიმედოდ და სასოწარკვეთით უყვარდა აკაკის ვანო მაჩაბლის მეუღლე – ტასო ბაგრატიონი, რა ურთიერთობა ჰქონდა პოეტს მასთან და როგორ იტანჯებოდა ტასოსგან უპასუხო სიყვარულის გამო, როგორ წარიმართა ურთიერთობა ვანოს გაუჩინარების შემდეგ, მხოლოდ ამ წერილებით შეიძლებოდა გარკვეულიყო. ისინი კი განგებ მიუწვდომელი გახადა „ვიღაცამ“ საზოგადოებისთვის! მართალი იყო აკაკი, როცა წერდა, რომ „იკარგება დრო და არა ჭეშმარიტება“, „ჭეშმარიტება ღრმადაც რომ დამარხოს უსამართლობამ, ოდესმე მაინც იჩენს თავს და სიმართლე ისე არ დაიმალება, როგორც შუბი ხალთაში!... ამას მხოლოდ დრო უნდა და მოთმინება“-ო (1).

აკრძალულ ფონდში ხომ ერთი საუკუნით იკეტება მასალები! გვიან, მაგრამ მაინც ახდა პოეტის სიტყვები. ცოტა ხნის წინ წერილების გადამალვიდან ასი წელიც გავიდა, აკაკის პირადმა ბარათებმა „სასჯელი მოიხადა“, „პატიმრობის ვადა“ დაასრულა და საზოგადოებას დაუბრუნდა; დაუბრუნდა და უამრავ საიდუმლოსაც ახადა ფარდა, რომელსაც მკითხველი წიგნში გაეცნობა.

ასევე ბევრი ახალი მასალაა ნაშრომში ალექსანდრე ყაზბეგის პირადი ცხოვრებიდან. ზოგიერთი მკვლევარი მწერლის მიერ დედისადმი გაგზავნილ წერილში აღწერილ საკუთარ სიყვარულს მოგონილ ფაქტად თვლიდა, მაგრამ მისმა დაუმთავრებელმა ნაწარმოებებმა, პირადმა წერილებმა, აღსარებებმა და მოგონებებმა საშუალება მოგვცა, გაგვეანალიზებინა მწერლის კრახით დასრულებული საბედისწერო სიყვარულის დეტალები. ზოგიერთი მკვლევარი მართალი იყო, როცა ალ. ყაზბეგის მიერ აღწერილ სიყვარულს დაუჯერებლად მიიჩნევდა. მასალების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ მწერლის სიყვარული, მართლაც, „არის ლეგენდა, მაგრამ სინამდვილეზე უნამდვილესი!...“

ორივე შემოქმედის პირადი ცხოვრების ბურუსით მოცულ ზოგიერთ მხარეს ნათელი მოჰფინა მათმა დღიურებმა და პირადმა მიმოწერამ, რამეთუ სწორედ დღიურები და პირადი წერილებია ის მასალა, რომელთა გვერდებზე თუ სტრიქონებს შორის ამოკითხული ქვეტექსტებით „გარეშე თვალისათვის“ დაფარული ადამიანის სულის ყველაზე ფაქიზი და იდუმალი სიღრმეების წვდომა შეიძლება...

ავტორი

„ნუ იცინეთ,
თორემ ან გულით მოკვდებით!...“

აკაკის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი

აკაკი წერეთელი

უცნაური კონტრასტი

„ჩემი პირადი სიამოვნება, გინდ მცირეც იყოს, არა სწერია ბედის ვარსკვლავზე!... ხომ გაგიგონია, უბედო კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. ჩვენი სიცოცხლე სულ ცარიელი სურვილია“, სწერს აკაკი წერეთელი იაკობ გოგებაშვილს.

„მე ისეთს გუნებაზედა ვარ, რომ კალამი ხელიდამ მივარდება. ეჰ, ღმერთმა დასწყევლოს ჩემი ბედი და ჩემი გაჩენა, მაგრამ რაღა დაწყევლა უნდა? ისეც დაწყევლილია.“ „მივიღე შენი წერილი, თუმცა ვერა მკურნა, მაგრამ მაინც მანუგეშა. კარგი ადამიანი ხარ და ვერც დავიჯერებ, რომ ამ სოფლად ბედნიერი იქნე. ხომ იცი, რომ პატიოსნებს დღეს განგებაცა სდევნის და აწუხებს,“- ეხმიანება სასოწარკვეთილი პოეტი ელისაბედ ჭავჭავაძე-მარჯანიშვილისას. „არც ახლა გჯერა, რომ დაწყევლილი ვარ?“ – აგონებს ერთხელ უკვე ნათქვამ სიტყვებს იმავე მეგობარს, „მეყო ამდენი. ორში ერთი დამრჩენია: ან სიგიჟე, ან თავის მოკვლა. უკანასკნელს კი ვირჩევ!“

„საითაც გავიქეცი, იქითკენ წავიქეციო, ისეა ჩემი საქმე. მანდ გული მიწუხდა და აქ კიდევ უარესი დამემართა“, სწერს პოეტი კოტე აბდუშელიშვილს.

„ავადმყოფობამ დამრია ხელი“... – ატყობინებს აკაკი დავით ბაგრატიონს, - „და მეშინია განა სიკვდილის?... ჩემთვის პირადად დიდი აღარაფერი გამოსადეგია სიცოცხლე... „ძაღლის გუნებაზეო“, რომ იტყვიან, სწორეთ მე მემართება ასე: გამიტაცა მწუხარებამ და ისეთ ნაღველში ჩავვარდი, რომ თავტანის აღარა გამეგება რა! დღეში ასჯერ ვეკითხები თავს „ყოფნა თუ არ ყოფნა – მეთქი?“...

„ვიცი, რომ მე არა ვარ გაჩენილი პირადი ბედნიერებისათვის! ისეთი უიღბლო კაცი ვარ, რომ არაფერი მჯერა, გარდა ჩემი

ტანჯვა-წვალებისა... ჩემს თავზე უკვე არა ვფიქრობ. არასოდეს სიხარული არ მღირსებია და არც მეღირსება! ალბათ, ასეთია ზეცისგან დაწყევლილთა ხვედრი...“ სწერს აკაკი ცოლ-შვილს.

„ერთი კვირა სულ ძაღლის გუნებაზე ვიყავ... ჩავიკეტე კუპეში და ამიტაცა ნაღველმა... სევდის ღრუბელი შავად გარს შემომებურა!“

უმხელს კაეშანს და უხსნის გულს პოეტი თავის უახლეს და უერთგულეს მეგობარს ლიზა თარხნიშვილს, „მთელი ჩემი სიცოცხლე ტანჯვა და ვაება იყო, არც ერთი დღე არ შემხვედრია მისთანა, რომ თავი ბედნიერად მეგრძნოს... რომ იტყვიან: გარეთ მტერს სჭრის თვალებს და შიგნით მოყვარესო, სწორეთ ჩემზეა გამოჭრილი. გარეგანად გადაჭარბებულს შინაგანად ტანჯვა-ვაების მეტი არა განმიცდია-რა...“ და ა.შ.

ამ სიტყვებს წერს კაცი, რომელსაც ერი „უგვირგვინო მეფეს“ უწოდებდა, რომელსაც ხალხი ხელისგულზე ატარებდა, უყვარდა, აფასებდა, რომლის შესახებ იუბილეს დღეებში ჟურნალი „შინაური საქმეები“ წერდა: „მეტი პატივი, მეტი აზვირთება, მეტი სიყვარულ-ბედნიერება იმაზე, რაც ამ დღეს საქართველომ მიუძღვნა თავის მგოსანს, ალარ შეიძლება! საუკეთესო მამამთავარნი პოეზიისა: შილლერი, შექსპირი, გეტე, მიცკევიჩი, პუშკინი, ბაირონი და სხვანი ამისთანანი სიამაყით დადგებოდნენ ჩვენი მხცოვანი აკაკის ადგილზე ამ დღეს!!!“ (2), ხოლო ერთ-ერთი პარიზული გაზეთი იტყობინებოდა: „...ეს იყო მთელი ერის აღტაცებულ გრძნობათა გამომჟღავნება, ისეთი, რომელსაც არც ერთი პოეტი არ ღირსებია, გარდა, შესაძლოა, ვიქტორ ჰიუგოსი...“

მაგრამ ამ გარეგანი თვალისმომჭრელი ბრწყინვალების მიღმა იმალებოდა უკიდეგანო სევდა და ტკივილი. აკაკი ტრაგიკული პიროვნება იყო. პოეტის შინაგანი ტრაგიზმი გადაჯაჭვულია ცნობილი ლიტერატორისა და საზოგადო მოღვაწის ვანო მაჩაბლის ოჯახის ისტორიასთან.

1898 წლის ივნისში, როგორც ცნობილია, ვანო მაჩაბელი უგზო-უკვლოდ გაქრა. მისი გაუჩინარების მიზეზი დღემდე ბურუსითაა მოსილი. მაშინ საზოგადოებაში უამრავი ვერსია ტრიალებდა. მრავალთაგან ერთ-ერთი, თითქოს, აკაკის და ვანოს მეუღლის –

ტასო ბაგრატიონ-მაჩაბლის სიყვარული იყო. ბედის ირონიით, ჭორს საფუძველს უმაგრებდა ის ფაქტი, რომ იმ საბედისწერო ღამეს აკაკი მაჩაბლებთან სტუმრობდა... ამ ამბავმა პოეტს მთელი ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია...

რა იყო და შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?

დავიწყოთ ცოტა უფრო შორიდან.

„და, როგორც ღმერთი, სამშობლოც ერთია, ერთადერთია...“

ის სულიერი ტკივილები, რომელსაც აკაკი მხოლოდ უახლოეს მეგობრებს უმხელს, მოწუწუნე კაცის სიტყვები არ არის. პოეტს ტრაგიკული სულიერი მდგომარეობისთვის უამრავი მიზეზი ჰქონდა. ერთ-ერთი მათგანი ეროვნული უბედურება იყო. დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ პოეტი კარგად ხედავდა საქართველოს სულიერ გადაგვარებას, ეროვნული იდეალების გაქრობა-გაუფასურებას, გრძნობდა რუსეთის შეფარვით-დიდმპყრობელურ პოლიტიკასაც: „მოხიბლულა, შემცდარია, ის არის! ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი,“ - წერდა აკაკი, - „ვაი, მამულო! ხალხი რომ ისე დაეცემა, რომ ზნეობითის საზრდოის ნაკლულევანებას ვეღარა გრძნობს და მხოლოდ პურ-ღვინით მოდის აღტაცებაში, მისი საქმე „ამოუსვია!...“ (3)

აკაკის მთელი შემოქმედება თუ პირადი ცხოვრება იმ პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლია.

„ქართული ეკლესია განსაცდელშია ჩავარდნილი და მასთან ერთად ენისა და ეროვნების გაქრობას გვიქადაგიან, - სწერს იგი იაკობ გოგებაშვილს, - „მტრები ცეცხლს გვიკიდებენ და ჩვენ, რომ გავაქროთ, წყლის მაგიერად, ნავთს კი ვასხამთ!...“ „გამიცრუვდა წინანდელი ოცნება და რამღა მასულდგმულოს? სული ბოროტი შავი ყორანივით ჩამჩხავის ყურში... სადღაა საქართველო და ქართველობა? ქუთაისში მეგრულის მეტი არა გაისმის რა, ტფილისში

სომხურისა და... საერთაშორისოც სკვითურია! მაგრამ განა ცოტა გვიბრძოლია ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში და რა გამოვიდა? „ხმა უდაბნოსა შინა!“

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველოში არ ყოფილა პრობლემა, რომელსაც პოეტი არ გამოხმაურებოდა. განსაკუთრებული ტკივილით წერს იგი ეროვნულ საკითხებზე. ეს უზარმაზარი თემაა და მაგალითისთვის მოვიტანთ ადგილებს აკაკი წერეთლის გამოუქვეყნებელი, ახლახანს მიკვლეული და ფართო საზოგადოებისთვის ჯერაც კიდევ უცნობი სტატიებიდან:

„რამდენიმე ათასი წელი მოუსვენრად ისტორიულ ქარ-ცეცხლში გაატარა ერთმა მუჭა ხალხმა და გული არ გატეხია, არ დაცემულა!... შეინარჩუნა თავისი ენა, ეროვნული ელ-ფერი და ბოლოს სარწმუნოებაც, მაშინ როდესაც სხვა მსოფლიო ქვეყნები კი ამოიფხვრენ და სრულიად გაქრენ. ეს ყოლიფერი ეკუთვნის წარსულ დროს, როცა მტრები მხოლოდ ხორციელად გვიპირებდენ მოკვლას და დღეს კი ხორცს აღარავინ ეხება, ბრძოლის ტაქტიკა გამოიცვალა. გვიხუთვენ სულს იმ მოსაზრებით, რომ ხორციც უეჭველად თან გაჰყვეს. ამ ტაქტიკას თავისი ნაყოფი მოაქვს და დღევანდელი ქართველი ისე მოგავს თავის წინაპარს, როგორც აჩრდილი ნამდვილს: დღევანდელი საქართველო ერთი თვალის გადავლებით, თვითქმის აღარ არსებობს, საცოდავი რამეა!..“

„ქართველობამ სარწმუნეობას შეუკავშირა ეროვნება, ერთი მეორეს შეუსისხლხორცა, ძველად ქართველი ჰნიშნავდა ქრისტიანს და ქრისტიანი ქართველს. მაჰმადიანთა რჯულის დევნამ უფროც გაამტკიცა რჯული და მასთანვე ერთად ეროვნებაც. ასე რომ, რუსეთს ჩაბარდა ეკკლესია გასპეტაკებული და შეუბღალავი და თანაც გულ-გაუტეხელი ერი, მართალის და სწორის გზით მიმავალი“... „დღეს ჩვენი ძველებური ვაჟკაცობა „კუდაბზიკობად არის გადაქცეული და ადამიანობა – ნაცარქექიობად“... „ეროვნების დასავიწყებლად უეჭველად რჯულიც უნდა დაევიწყებინათ და კიდევაც შეასრულეს თავისი. დღეს ქართველი ურჯულოა: აღარ

სწამს ეკლესია, მსოფლიო კრების დადგენილება, ყველა, დაივიწყა და ეროვნებაზედაც გაგულგრილდა."

„(რუსებმა) შემოიღეს მისთანა ანტიპედაგოგიური წესები,რომელიც მხოლოდ გრძნობა-გონებას უხრწნიდა ახალგაზრდებს, რომ უფრო მალე გარუსებულ იყვენ. მათი ცდა ის იყო, რომ დედაენა მოესპოთ ყველგან, დაევიწყებიათ წარსული, შეეგონებიათ, რომ მთელი ჩვენი წარსული, ორი-სამი ათასი წლის განმავლობაში, უგუნურებისა და უბედურების მეტი არა ჰყოფილა რა და მხოლოდ გარუსებას შეუძლია ჩვენი გამობრუნება!..." „მთავარი ნიშანი სულ სხვა იყო: გარუსება და გარუსება!!... მეტი არა ფერი!..." „ეალაყებული ქართველობა დაეცა სულით და დადგა გადაგვარებას, ესე იგი თვით არსებობის მოსასპობელ გზას." „რუსეთი ხედავდა, რომ ის ხალხი, რომელმაც რჯულში ეროვნება განიხორციელა და იძახის: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო!", ძნელი დასამონებელია, სანამ სარწმუნოება არ ჩამოერთმევა და ზნეობითად არ დაეცემაო. ეს განიძრახა და ხელი შეუწყო მის დაცემას. ცხოვრების ყოველგვარი სარბიელი დაიჭირეს რუსებმა ხელში და ხაფანგად მოუწყვეს ხალხს, რომ რჯული, აღზრდა, სამსჯავრო და სხვა ყოლიფერი მიტომ უნდოდათ, რომ ხალხში სული მოეკლათ და მერე უფრო ადვილად გაერუსებიათ. და თუ ეს აღარ მოხერხდებოდა, ქართველობა ამოეფხვრათ და მათ ადგილზე რუსები დაესახლებიათ..." (5)

აკაკი კარგად ხედავდა საკუთარი ერის გადაგვარებას. „განა „კაცობა" ეთქმის დღეს ქართველს?"

„ვაი, რომ არა! დიდი ხანია,
რაც გაირისხეს იმათ უფალი
და გაატანეს მტერსა და ორგულს
მამა-პაპური მიწა და წყალი!..."

ქართული მიწისადმი გულგრილმა და უდიერმა დამოკიდებულებამ ათქმევინა პოეტს განუზომელი ტკივილით სავსე სიტყვები:

„ნუ ეხუმრებით ქართულ მიწა-წყალს
და ნუ ადგამთ ბიჯს ზედ წარამარად!
ის არის ჩვენი „წმინდა წმინდათა“
უნდა გვახსოვდეს მარად და მარად.
აბა ერთ გოჯას თუ სადმე ნახავთ,
რომ ეს არ იყოს სისხლით მორწყული,
იმის სიღრმეში ჩამარხულია
ჩვენი წინაპრის სული და გული...
რა უფლება აქვს ვისმეს გაჰყიდოს
სისხლი და ძვალი მამა-პაპური?...“

ამის შემდეგ აღარც გასაკვირია სიტყვები:

„იტირე, მიწავ, სამშობლოვ!
ზარი აუშვი, ზეცაო!
ისტორიულმა ღვთის რისხვამ
დღეს ჩვენთვის იორკეცაო!...“

თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აკაკი არასოდეს უიმედობას არ შეუპყრია, ის ცრემლისა და სასოწარკვეთილების პოეტი არასოდეს ყოფილა. იგი ერთ წერილში ასეთ ფრაზას წერს: „დღევანდელი საქართველო თვითქმის აღარ არსებობსო“, მაგრამ იქვე დასძენს, რომ „გულს ტყუილად ვიტეხთ,“ რადგან ეს მხოლოდ ზედაპირი სჭკნება, ფესვი კი ისევ ძლიერიაო. ამასვე მოწმობს აკაკის სხვა სიტყვებიც: „არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს! ვინც შენატრის იმის სიკვდილს, უმალ მასვე დაამიწებს!“ ან „ბევა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!...“ „არა, აყვავდეს იმედი!... გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!...“ „ვინ შიში და ვინ ქართველი!...“ ანდა „ვიტიროთ?! არა! ვაუკაცსა არ შვენის ცრემლთა გლოვანი!... „სჯობს სიცოცხლესა ნაბრახსა სიკვდილი სახელოვანი“ და ა.შ. თავისი შემოქმედებით აკაკი ყოველთვის იმედს უღვივებდა ადამიანებს და ბრძოლისკენ

მოუწოდებდა მათ. იგია ავტორი ამ შესანიშნავი სიტყვებისა: „თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ...“ ან „რკინას ცეცხლი აფოლადებს, ადამიანს – განსაცდელი ...“, „გავკაჟებივარ შავ-ბედსა, დავდივარ შეუპოვარი, ვერ შემაშინებს რისხვით ცა, ჭირზედა ჭირის მთოვარი!“ ან კიდევ: „მაშინ აღარ ღირს სიცოცხლე, სიკვდილი სანატრელია... მაგრამ უძებრად შურისა, ვაი, რომ ისიც ძნელია!...“

„გაძალლებული დრო...“

აკაკი, როგორც პოეტი, ტკბილ ხმათათვის გაჩენილი ბულბული იყო, მაგრამ მისი ლექსის მსუბუქი და „ალერსიანი ინტონაცია“ ხშირად იცვლებოდა ბასრი და დაუნდობელი სარკაზმის ნოტებით, რომელიც გამოწვეული იყო საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებით. პოეტმა თავისი შინაგანი მოწოდება მსხვერპლად მიუტანა თავისი დროის მოთხოვნილებებს. თუ რა ფაქტორებმა განაპირობა სატირულ-იუმორისტული ნაკადის არსებობა „ტკბილ ხმათათვის გაჩენილი ბულბულის“ შემოქმედებაში, ამის გასაღებს იძლევა მისივე ლექსი „ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“:

„აქ, პოეზიაში „გესლისა“ და „ავი“ სიტყვების შეტანა დროის მოთხოვნით არის ახსნილი და ამგვარ ახსნას თავისებური ნიუანსიც გააჩნია. აკაკი თითქოს ცდილობს, გააგებინოს თავის სახელოვან წინაპარს, რის გამო მიიტანა მისმა თაობამ პოეტური სიტყვა მამულიშვილური ბრძოლის სამსხვერპლოზე, რის გამო ანაცვალა მან „ამაღლებული სულით ზეცამდე“ წმინდა პოეზიის ტკბილხმოვანება თავისი დროის საჭირბოროტო, სასტიკი და მძიმე ბრძოლის „ავ სიტყვებს“ (6).

სატირული ჟანრი!... აკაკის ალერსიანი და მგრძნობიარე ბუნებისთვის სრულიად შეუფერებელი... მაგრამ ქვეყნის ყოველდღიური ჭირ-ვარამით გამოწვეული და აუცილებელზე აუცილებელი...

თუმცა, ზოგჯერ სინანულნარევი ფრაზები: „ენების გასამართლება“ ალეგორიულად შევაპარე ცენზურას. მაშინ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ლექსმა, მაგრამ დღეს კი აღარა აქვს მნიშვნელობა“(7); ან: „და მეც იმიტომ უფრო ვჩხაოდი, ათასში ერთხელ თუ მისტვენია“; ანდა: „მეც ძაღლი ვიყავ ქვეყნისთვის, მტერს ვუგერებდი ერთგულად“; ან კიდევ:

„მოყვრისთვის თავდადებული
ბულბული ტკბილად მსტვენარი,
მტრის თვალში მუდამ გველი ვარ
და ძაღლი მყეფარ-მკბენარი“...

ერთხელ ბესარიონ ღოღობერიძეს პოეტზე უთქვამს: „მაგასთან ბრძოლა შეუძლებელიაო! რა უნდა წაართვა და რა უნდა დააკლო, რომ არა აბადია რაო?! მარტო ჰყეფს და იღრინებაო!“ (8)

აკაკი გულდაწყვეტილი წერდა ამის გამო: „მართალია, ვყეფდი და ვიღრინებოდი, მაგრამ ვერავინ ვერ იტყოდა, რომ ჩემ პირადობაზე მე ხელი გამომეღოს“-ო! (9) ამ ფრაზას პოეტმა შემდეგში უფრო სევდიანი სიტყვები მოაყოლა: „გაძაღლებულო დროვ, შენ მოგეცა ჩემი ცოდვა, რომ წინაღმდეგ ჩემის ბუნებისა მაძაღლებ და მაყეფებ“-ო! (10)

„მოთმინება ფარად მქონდა...“

მეორე მიზეზი აკაკის ტრაგიზმისა იყო ცენზურა. პოეტს ახრჩობდა ცენზურის მარწუხები: „ჩემს სიცოცხლეში ცხადად თუ სიზმრად ერთი რამ მაფრთხობდა ყველაზე მეტად და საფლავშიაც ქარ-ცეცხლად მიმყვება. მე ვამბობ ცენზურაზე. ვინც მომსწრე არ არის და არ გამოუცდია, იმას მარტო გაგონებით წარმოდგენა არ შეუძლია მისი, თუ რა იყო წინეთ ის საოცარი ცენზურა.“ არადა, აკაკი – ეს ენამწარე სატირიკოსი – მუდმივ შეხლა-შემოხლაში

იყო როგორც ცენზურასთან, ისე საზოგადოების გაზულუქებულ წევრებთან.

ნოე ჟორდანიასეული შეფასება პოეტისა:

„...ის ებრძვის გლეხთა დაჩაგვრას, ბიუროკრატიულ თვითნებობას, ნაციონალურ დაბეჩავებას... თავის ბასრ კალამს მუდამ ლესავს ნაღველში და მედგრათ ცელავს ბოროტების ყანას. ის არ ინდობს არავის და არასფერს, არც თავისიანს, არც სხვისას, არც მეგობარს, არც გარეშეს, თუ კი მათ დაატყო ზნეობრივი წაფორხილება და საზოგადო საქმისათვის გადადგომა, „მათი საქმე ერთი ლუკმა პურია, გადაუგდებ, გაჩუმდება მურია," სწერს პოეტი. არის ბანკების თუ მარშლების არჩევანი, ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი შეჯახება – აკაკი გაჩენილია იქავე და თავის მწვავე ისარს გადასტყორცნის მოპირდაპირე ბანაკში...

აკაკი ჩვენი საზოგადო ზნეობის უდიდესი და უძლიერესი დარაჯია... მისი პიროვნება უაღრესათ მთლიანი და ჰარმონიულია; მისგან ვერ ჩამოსჭრი ერთ მცირე თვისებასაც კი ისე, რომ მთელი სულიერი სხეული არ დაიშალოს. აკაკი უდიდესი ზნეობრივი პიროვნებაა. მხოლოდ ასეთ პირს შეეძლო ემხილა ჩვენი სიდუხჭირე და ეს მხილება ჩვენ უპროტესტოთ, დამსახურებულათ მიგვეღო. აკაკი ისეთ მწვერვალზე იდგა, რომ მას ვერავინ ტალახს ვერ ესროდა, ვერავითარ ქვეგრძნობას ვერ დასწამებდა.

აკაკი არასოდეს არ იმეტებს ადამიანს მთლათ ერთიანათ. ის ესვრის მას ისარს, მარა ესვრის მის რომელიმე სიდუხჭირეს, მის საძრახ თვისებას, ხოლო თვით ადამიანს ტოვებს ხელშეუხლებლათ. მას არ ავიწყდება, რომ ქრისტემ ავაზაკებშიაც კი ადამიანი დაინახა. აკაკის მუზა არის დამსჯელი და მოსიყვარულე" (11).

აკაკის - ერის ზნეობის ერთგული დარაჯის "შემოქმედებითს" „სავარჯიშოებს", გარდა პოეტურისა, სხვა „დიდებაც" მოჰქონდა. აი, ზოგიერთი მათგანი:

„ხუმრობის გარდა, - სწერდა პოეტი დედას, - ერთობ ბევრი წიგნი მომდის, სადაც სიკვდილს მემუქრებიან და ველარ მოვდივარ: (12).

ბატონყმობის გადავარდნამდე დაწერილმა ლექსმა "გლეხის აღსარებამ" დიდი უსიამოვნება გამოიწვია თავადებში და კინაღამ აკაკის სიცოცხლეც შეიწირა.

„პირუტყვების არჩევანის" გამოქვეყნებისას იგი იძულებული გახდა, ძველ სენაკში გაქცეულიყო მეგობართან და იქ შეეფარებინა თავი.

სატირულმა ლექსმა „გამოცანამ" ხომ პოეტს ოჯახიც გადაჰკიდა:

„ეს ლექსი პოეზიის მხრით ვერაფერი შვილია, მაგრამ რადგანაც იმ დროისთვის გამოჩენილ პირს შეეხებოდა... დიდი ალიაქოთი ასტეხა: „როგორ გაბედა? ვის გაუბედაო? და სხვანი. გაიმართა საპასუხოდ ვითომ შაირები, მაგრამ ლანძღვა-გინება მხოლოდ. მაგინებდენ უშვერად არა მარტო მე!... ჩემ ცოლ-შვილსა და დედ-მამასაც კი. მამამ დიდის მწუხარებით მითხრა: „შვილო, რას მერჩოდი, რომ ქვეყანა გადამამტერე? მტრებს მიზეზი მიეცი და მოყვრები ჩამომაშორეო. აბა, ამაზე არის ნათქვამი: „ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო" და სხვანი... მიზეზი რომ ავუხსენი, არ დაიჯერა... ჩვენ ერთმანეთს ვერ დავეთანხმეთ და დიდხანსაც მყავდა მამა გამწყრალი. მხოლოდ ღრმა მოხუცებულობაში რომ შევიდა, მაშინ შემირიგა" (13).

გლეხთა ყმობისგან გათავისუფლების პერიოდში შექმნილმა „იავნანამ" სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა არა მხოლოდ აკაკი, არამედ მთელი მისი ოჯახი: „მაშინ კი აუტანელი შეიქმნა ჩემი ცხოვრება: ჩამოვშორდი დედ-მამას, ოჯახს... ცოლ-შვილი საყოლში გავისტუმრე და მე გავკერპდი, ავიღე საპირადო ცხოვრებაზე ხელი, განზე გადავდევი ყოველიფერი და აშკარად შევუდექი ჩემს გზას, რაც დამემართოს, დამემართოს მეთქი. და მას შემდეგ, ორ-სამჯერ სიკვდილს გადარჩენილს მოთმინება ფარად ძქონდა და თვითონ კი უშიშრად ვუყეფდი ყოველგვარ ცუდ მოვლინებას ჩვენში" (14).

ცუდი „მოვლინების“ მხილება აკაკის მძიმე მდგომარეობაში აგდებდა. მის სატირულ ლექსებში აღწერილ რომელიმე პერსონაჟს, როგორც თვითონ აღნიშნავდა, ას-ასი „მოდაავე“ ჰყავდა, ანუ ას-ასი კაცი იწერდა თავის თავზე იმ თვისებას, რომელსაც აკაკი კიცხავდა. ამიტომ პოეტს თავად-აზნაურობა ამხედრებული ჰყავდა, ახალგაზრდობა – გამდგარი... იგი გულისტკივილით წერდა: „ასე იყო თუ ისე, მე კი დიდ გასაჭირში ჩავვარდი... ცოლ-შვილი გავისტუმრე სოფელში და, ულუკმაპუროდ, შიშველი, უსახლკაროდ დარჩენილი, მაინც არავის ვეპუებოდი და ჩემსას არ ვიშლიდი“ (15).

მეგობრები კი უშლიდნენ... ამდენ ტანჯვა-წვალებას მის ახირებულობას მიაწერდნენ და ურჩევდნენ, ხასიათი ცოტათი მაინც გამოეცვალა, მოვლენებისადმი ასეთი მძაფრი დამოკიდებულება შეერბილებინა. პოეტს ეს შეუძლებლად მიაჩნდა:

„ჩემი ახირებული ხასიათის გამოცვლა მე აღარ შემიძლია და რომ კიდეც შემეძლოს, არ გამოვსცვლი. სადაც გულწრფელობა არ არის და უტყუარი პირდაპირობა, იქ მე რა გამოსადეგი ვარ. მეუბნებიან და თქვენც მათ რიცხვში: ისე მოიქეცი, როგორც სხვებიო. და მე ეს არ შემიძლიან. უნდა ყოველთვის და ყველასთან ისე მოიქცე, როგორც სინიდისი გამხილებს და შენი შეგნება და არა ისე, როგორც აპეკუნები მიბრძანებენ. ეს კარგად ვიცი, რომ მოუხერხებელია და მეც მიტომ ვარჩიე ყველას გაშორება,“ სწერს პოეტი ლიზა თარხნიშვილს...

და არც არასოდეს გამოცვლილა იგი. ეს სიტუაცია პოეტისთვის თანდათან სტანდარტული გახდა და მხოლოდ ის უკვირდა, თუ მის რომელიმე სატირულ ნაწარმოებს აურზაური არ მოჰყვებოდა.

აკაკის მტკიცე ხასიათი კარგად ჩანს შემოქმედების ადრეული პერიოდის ერთ-ერთი წერილიდან. იგი ოჯახს სწერს: „ცისკარი აქ არავის არ მოუდის მთელს მოსკოვში და არ ვიცი, რაზედ მიჯავრდებიან და რომელ ლექსზედ... რაც უნდათ ისა სთქვან, რა ერთი ძაღლიც დაიყეფს, თუ ყველას შეუტიეთ, ერთ ქუჩასაც ველარ გაივლით... ილაყბონ, რა მენაღვლება, მაგათ ნებაზედ როგორ გავირჯები და მაგათი ბრძანებით რათ ვივლი.“ „ერთია მაგინებენ

თუ არა, რა ვქნა? ჩემი ენა რომ ვერ მომიკავებია, სხვის ენას რითი მოვაკავებ მე. რაც უნდათ სთქვან, ჩემთვის სულ ერთია. მაგრამ იმან შემაწუხა, რომ თქვენ შეგივიდოდათ რამე ეჭვი" (16).

საზოგადოების აურზაურს და შეტევას პოეტი მოთმინებით იტანდა, უფრო მეტად აღიზიანებდა ცენზურასთან ურთიერთობა. აკაკის ბევრი თხზულების დაბეჭდვა უჭირდა, ამიტომ ხშირად იძულებული იყო, ნაწერები შეეცვალა, სათქმელი შეერბილებინა. იგი მიმართავდა ალეგორიას, მინაწერების გაკეთებას, რომ როგორმე ნაწარმოები ცენზურისთვის შეეპარებინა. მაგალითად, ლექს „ყიზილბაშურს" გაუკეთა ქვესათაური „ველიჩკოდან", „ქისას" არაკი კრილოვისა, „ახლანდელ პოლიტიკას" - „რჩევა, გარდასული ამბავი. ეს ლექსი შახ-აბაზის დროს შეეხება. იმ დროს გადასახლებული ქართველები დღესაც ბევრნი არიან სპარსეთში," პუბლიცისტურ წერილებს ხშირად ასათაურებდა ასე: „ბოდვა", „მიდებ-მოდება", „ჭორი" და ა.შ. მაგრამ ხშირად არც ეს ხერხი უმართლებდა პოეტს. ლექსებს „ჩვენი მიხაკა", „სიმართლე", „ცრუ მგოსანი", „ახლანდელი პოლიტიკა", „მღვდელი და ექიმი", „ხარაბუზა ღენერალს", „წვერ-წვერა გამცემლიძესა", „ქართველი ძეგლის წინ", „მოთქმა" და სხვებს საერთოდ არ ღირსებია დღის სინათლე. ისინი რამდენჯერმე აიკრძალა ცენზურის მიერ და არალეგალურად ვრცელდებოდა ხელნაწერების სახითა თუ ჰექტოგრაფზე დაბეჭდილ ფურცლებად. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ 1935, 1940-41 წლებში გამოქვეყნდა. პოეტის ბევრი თხზულება კი ნაგვემ-დამახინჯებული მიდიოდა მკითხველამდე, ან ზოგიერთი საერთოდ ეკარგებოდა შთამომავლობას.

აი, რას წერს 1884 წლის 8 დეკემბრის გაზეთი „დროება": „უსიამოვნო არ იქნებაო, გვწერს ერთი ჩვენი მკითხველთაგანი, რომ სიტყვებთან ერთად დაგებეჭდათ „დროებაში" აკაკის სიტყვაც, რომელიც ამ დღეებში გამართული ქართული წარმოდგენის შემდეგ ითქვაო. არც ჩვენთვის იქნებოდა ეს „უსიამოვნო", მაგრამ „სხვადასხვა მიზეზები გვიშლიან"-ო. ამ სხვადასხვა მიზეზებში ცენზურა

იგულისხმებოდა, რომელმაც ნება არ დართო სიტყვის დაბეჭდვისა და იგი დაიკარგა.

პოეტის არქივში ცენზურის მსხვერპლადქცეული ზოგიერთი თხზულება დღესაც ელოდება დღის სინათლეს...

1935 წელს მ. დუდუჩავა წერდა, რომ არც ერთ ქართველ მწერალს იმდენი გამოუქვეყნებელი მასალა არ დარჩენია, რამდენიც აკაკისო (17).

თხზულების დაუბეჭდაობას პოეტი მძიმედ განიცდიდა: „ავტორი რომელიმე თხზულებისა მისთვის კი არ შრომობს და სწერს, რომ ჩემი შრომა სალაროში დაიმალოსო. თუ დასამალავათ უნდოდეს, როდიღა დასწერს! მაშინ უმჯობესი არ იქნება და უფრო ადვილიც, რომ ისევ მის თავში და გულში იყოს მისი აზრები და გრძნობა? ქაღალდზედ რაღათ გადასცემს და ან რომელი სალარო სჯობს ავტორის ბრწყინვალე თავსა და წმინდა გულსა? არა, ისა სწერს მისთვის, რომ თავის ცოდნა და აზრი გაუზიაროს საზოგადოებას და გადასცეს შთამომავლობას და ის რომ იცოდეს, რომ მისი შრომა და მისი გრძნობა-გონება დატუსაღებული იქნება სადმე ნოტიო სალაროში, შრომას რაღათ გასწევს?! (18)

პოეტს, როგორც სახელისუფლებო წრეებისთვის არასაიმედო პიროვნებას, საცენზურო კომიტეტმა უარი უთხრა ყოველკვირეულ გაზეთ „გზის“ გამოცემაზე...

როგორც აკაკის, ისე იმდროინდელი ბევრი რედაქტორ-გამომცემლის რისკსა და გამბედაობას ხშირად საავალალო შედეგები მოსდევდა. მაგალითად, 1906 წლის იანვარში აკაკი წერეთელი პროლეტარული ჰიმნის „ინტერნაციონალის“ თარგმნისა და „პატარა გაზეთში“ მისი დაბეჭდვისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. პასუხისგებაში მისცეს, აგრეთვე, რედაქტორი კოტე მესხი, ხოლო გაზეთი დახურეს.

1907 წლის 11 თებერვალს პოეტმა გამოსცა ჟურნალ „ხუმარას“ პირველი და უკანასკნელი ნომერი, რადგან მასში მოთავსებული მასალების გამო ხელისუფლებამ ჟურნალი მეორე დღესვე დახურა, ხოლო აკაკი დააპატიმრა და მეტეხის ციხეში ამოაყოფინა თავი.

ძირითადი მიზეზი „ხუმარას“ დახურვისა იყო აკაკის სატირა „დიდყურაანთ ყროყინას“, რომელიც გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა გიგო ზაზიაშვილის კარიკატურასთან ერთად. კარიკატურაში დახატული იყო სახედარი გუბერნატორ რაუშ-ფონ-ტრაუბენბერგის ტანსაცმლით. ჟურნალი „მასხარა“ (19) ბეჭდავს ისევ გიგო ზაზიაშვილის კარიკატურას „აკაკის მოგზაურობა“ („ხუმარას“ რედაქციიდან მეტეხამდინ“). ამ კარიკატურას, რომელშიც დაპატიმრებულ აკაკის თან მისდევენ შეიარაღებული მცველები, აქვეყნებს გაზეთი „კავკაზიც“.

ი.გრიშაშვილი იგონებს: „როცა აკაკი ციხეში მიიყვანეს, მთელი ციხე აფორიაქდა... პატიმრები, განურჩევლად მათი დანაშაულის ხასიათისა, დემონსტრატიულად გამოვიდნენ ეზოში, ჰყვიროდნენ, მთელ ციხეს აზანზარებდნენ, და მოითხოვდნენ საყვარელი პოეტის დაუყონებლივ განთავისუფლებას. ეს პროტესტი სამხედრო გუბერნატორის ტიმოფეევის ყურამდეც მივიდა, კანცელარიის გამგის – ვასილევის მოხსენებისთანავე, ტიმოფეევმა მაშინვე გასცა განკარგულება აკაკის განთავისუფლებისა. ქაღალდი დაბინდებისას მივიდა ციხეში, აკაკიმ არ მოისურვა ღამით გამოსვლა ციხიდან: „არა, ნუ მაწუხებთ, ამაღამ აქ დავრჩები და ხვალ დილით წავალო“ და მეორე დღით გამოვიდა დიდის ზეიმ-ზარით“ (20).

ცენზურასთან თუ საზოადოების სხვა წევრებთან ბრძოლასა და შეხლა-შემოხლაში ფუჭად იხარჯებოდა შემოქმედებისთვის განკუთვნილი უამრავი დრო, ენერგია და ნერვები... აკი, თვითონვე წერდა პოეტი: „ამ ჩემმა ხელობამ ბევრი სიმწარე გამომაცდევია და ვინ იცის, რამდენჯერ გამისქდებოდა გული, რომ აქა-იქ თანამგრძნობლები არა მყოლოდა“-ო...

აბსურდული გადაწყვეტილება

მესამე და მთავარი მიზეზი აკაკის ტრაგიზმისა იყო მისი პირადი ცხოვრება.

1864 წელს აკაკიმ ცოლად შეირთო ნატალია პეტრეს ასული ბაზილევსკაია. პოეტი წერს: „ნურავინ ნუ დაიჩემებს, მომავალში ამას ვიზამ თუ იმასო. მე გადაწყვეტილი მქონდა გუნებაში, რომ ცოლი არ შემერთო და მერე ისიც უცხოელი, მაგრამ შემთხვევას ყოველიფერი შესძლებია."

პოეტის ეს ნაბიჯი არა თუ სხვებისთვის, თვით მისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. იმ ხანებში იგი საზღვარგარეთ წასვლას აპირებდა სწავლის გასაგრძელებლად. 1863 წელს „ცისკარი" მკითხველებს აცნობებდა, რომ აკაკი წერეთელი ჟურნალში ითანამშრომლებდა, მაგრამ „ახლა წავიდა ს. პეტერბურღში, საიდანაც აპირებს სამზღუარს გარეთ გასვლას ჰსწავლის შესამსებლად და დიდი იმედი აღგვითქვა იქიდამ შემწეობის მოცემაზე" (21).

აკაკის ამ გაუთვალისწინებელი ნაბიჯით დაიწყო მისი პიროვნული ტრაგედია. პოეტს ეს ქალი არასოდეს ჰყვარებია. საკუთარ გადაწყვეტილებას იგი ნატალიას შეცოდებით ხსნის...

ყველაფერი კი ასე დაიწყო...

ელიზბარ ერისთავთან აკაკიმ გაიცნო მოხუცებული კნიაჟნა ენიკეევისა, რომელმაც სახლში მიიწვია. მასპინძელმა აკაკის თავისი დისშვილები წარუდგინა. ერთ-ერთ მათგანს, ნატალიას, გარკვეული პერიოდის შემდეგ, შეუყვარდა პოეტი. ნატალია ოქროს მადნების ცნობილი' მრეწველის პეტრე ბაზილევსკის ასული იყო. მამის სიკვდილის შემდეგ მთელი ქონება ბიძას (მამის ძმას) მიეთვისებინა. ცხოვრებისაგან სასოწარკვეთილი ქალი აკაკის დაუახლოვდა. პოეტი იგონებს: „უფროს ქალს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სრულწლოვანი, შევუყვარდი. მაშინ მე ქალის სიყვარულს დიდ ყურადღებას არ

ვაქცევდი საზოგადოდ, მაგრამ, როდესაც დიდად შეწუხებულმა ქალმა შემომჩივლა თავისი აღსარება, მაშინ კი გული მეტკინა... მეც ავდექი და მეორე დღეს ის ქალი ვითხოვე" (22).

ასე დაიწყო აკაკის ოჯახური ცხოვრება, რომელსაც თან ახლდა გაუთავებელი სასამართლო პროცესები ცოლის გაიძვერა ბიძასთან მემკვიდრეობის თაობაზე.

საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, აკაკიმ ცოლი მზითვის გამო შეირთოო. გულდაწყვეტილი პოეტი იგონებს: „ჩემმა მტრებმა და მათმა ამყოლებმა, სხვა რომ ველარა მოახერხეს რა, დაჰყარეს ხმა, რომ აკაკიმ ცოლის მზითევი მილიონები აიღო და გაფლანგაო!... მაშინ, როდესაც თვალით არა მინახავს რა. ეს ცილისწამება დღესაც ბევრს მართალი ჰგონია ჩვენში" (23).

1909 წელს კატო მიქელაძეს პარიზში ყოფნისას მოუნახულებია აკაკის მეუღლე და მისგან ასეთი მოგონება ჩაუწერია:

„ჩემი დიდი ქონებიდან არა თუ აკაკის, მე თვით არაფერი მერგო. ჩვენ ორი და ვიყავით, ძმა არ გვყოლია, ჩემი უფროსი და ცოლად გაჰყვა სიდამონ-ერისთავს – კაცს დიდათ გარყვნილსა და მეკარტეს... რომელსაც ჩვენს მამულზე სრული მინდობილობა ჰქონდა. ჩვენი ასეთი ნდობა მისმა ქმარმა (ნატალიას დის – ე.ზ.)... იმდენად გამოიყენა, რომ ყველაფერი გაგვიფლანგა!... ჩემი სიძე თავის ფუქსავატმა ცხოვრებამ თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

ჩემმა სიძემ რევოლვერი რომ დაირტყა, აკაკი იმ დროს კლუბში იყო წასული. დაჭრილმა აკაკის ნახვა მოისურვა. მაშინვე გავგზავნე კაცი აკაკისთან, რომელიც სასწრაფოდ გამოჭრილიყო. სიდამონ-ერისთავი ცოცხალი დაუხვდა. დაინახა თუ არა აკაკი, ხელი დაუჭირა, რომელზედაც აკოცა და უთხრა: „მაპატიე, მე შენთან დამნაშავე ვარო." იმ ღამეს ერისთავი გარდაიცვალა. გვქონდა საჩივარი სხვებთანაც მამულის შესახებ, მაგრამ არა გამოვიდა რა და ჩემი ნათესავების დასახმარებელი გავხდი" (24).

აკაკიმ ცოლის მემკვიდრეობაზე დავასა და სასამართლო პროცესებს საკმაოდ დიდი დრო და ენერგია შეალია. იგი 1866 წელს „დროებაში" ბეჭდავს ერთადერთ ნაწარმოებს. ესაა

დობროლიუბოვის ლექსის „მატლის“ თარგმანი. იმ პერიოდის სხვა ნაწარმოები ცნობილი არ არის. შემოქმედებისთვის განკუთვნილი დრო ცოლის „მზითევის“ პროცესებმა გადაიყოლა.

საბოლოოდ, აკაკი თავს ანებებს ყველაფერს და 1867 წელს ბრუნდება ქუთაისში.

„ბაზილევშჩინა“

აკაკის და ნატალიას არასოდეს არ ჰქონიათ თბილი ურთიერთობა. ალბათ, ამიტომაცაა, რომ აკაკის უზარმაზარ შემოქმედებაში სულ ორი ლექსი არსებობს ცოლისადმი მიძღვნილი. ერთი – აკროსტიხი სათაურით „საცოლოს ალბომში“, 1864 წელს დაწერილი და იმავე პერიოდის ერთი რუსული ლექსი, რომელიც, სავარაუდოა, ნატალიასადმი იყოს მიძღვნილი...

1869 წელს აკაკის შეეძინა ვაჟი. გახარებულმა მამამ მას უძღვნა ალეგორიული პოემა-ზღაპარი „ალექსი“. თუმცა ყველა ის იმედი, რომელიც პოეტს შვილის დაბადებამ ჩაუსახა, ნელ-ნელა მიინავლა. ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობა ამ ფაქტით არ შეცვლილა, პირიქით, უფრო დაიძაბა, ტრაგედია გაღრმავდა...

ალექსი განათლებით ინჟინერი იყო, მაგრამ მუსიკალურმა ხელოვნებამ გაიტაცა და ხელი მიჰყო საოპერო დასის ანტრეპრენიორობას. მან უარყო საქართველო, ქართული ენა და საერთოდ, ყოველივე ქართული, რასაც აკაკი მწარედ განიცდიდა. იგი ერთ-ერთ წერილში ვანო მაჩაბელს სწერს: „ნეტავ შენ, რომ ცოლ-შვილი გარს გახვევია და მერე კიდევ მაგისთანა სამაგალითო! გეტიტინებიან მშობლიურ ენაზე, გულს გიმხიარულებენ და მომავლისათვის ნუგეშს გაძლევენ... შენ ღმერთმა დაგიფაროს ჩემი ბედისგან და ჩემი მწარე ხვედრისგან...“ ნატალიაც ალექსის მიუდგა და მთელი ცხოვრება შვილს დასდევდა, რომელიც საოპერო დასს დაატარებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

აკაკი შვილიშვილზე ოცნებობდა, მაგრამ ალექსიმ ცოლი არ შეირთო და ამიტომ პოეტი შვილიშვილსაც ვერ ეღირსა.

ასე დაირღვა პოეტის ოცნება ოჯახურ სიმყუდროვეზე. იგი მუდმივად მარტო ცხოვრობდა. შვილმაც არ გაუმართლა, „მამულის წვლილიდან" არაფერი გამოვიდა...

ცოლისადმი მიწერილი ერთი წერილიდან ჩანს, რომ პოეტის პირადი ბედნიერების უკანასკნელი იმედი შვილის ბედნიერება იყო: „პირადი ბედნიერება არასოდეს მქონია, შვილის ბედნიერებაში მაინც მინდოდა მეპოვნა იგი. ამიტომ თუ ოჯახური ცხოვრება არ მოუტანს ბედნიერებას, დე, ნურც იფიქრებს მასზე..."

პოეტი ბოლო ამოსუნთქვამდე შვილის ერთგული დარჩა. იშვიათია ისეთი მზრუნველი მამა, როგორიც აკაკი იყო ალექსისთვის. პოეტის პირადი წერილებისა და ჩანაწერების გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მისი ამქვეყნად მოსვლის მთავარი აზრი შვილი იყო...

ალექსის ნებისმიერი გასაჭირი, ჩვეულებრივი, უბრალო ავადმყოფობაც კი აკაკის ისტერიკაში აგდებდა.

„გუშინ ცოლის წიგნი მომივიდა, ლიოლია თურმე ავათ არის წითელათი. დეპეშის პასუხს ველი, დაიგვიანა და მე აგერ გავსქდები შიშით გულზე", სწერს პოეტი ელისაბედ ჭავჭავაძე-მარჯანიშვილისას.

აკაკი ერთ-ერთ წერილში ნატალიას ატყობინებს: „ახლა კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ ლიოლიას ვალებს მალე მოვუღებ ბოლოს... ოღონდ თქვენ ამ მოკლე ხანში ნუ შეშინდებით და სულით ნუ დაეცემით... მე მზად ვარ გავაკეთო ყველაფერი ლიოლიასათვის... მზად ვარ, სულიც კი მივყიდო მეფისტოფელს..." „თქვენ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა ჩამოხვიდეთ ჩემთან... სანამ ცოცხალი ვარ, ლიოლია ჩემთან უნდა იყოს. აქ ერთად მოვითათბიროთ, როგორ მოვაწყოთ ცხოვრება ისე, რომ ლიოლიამ არ იტანჯოს. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებ შევხვდე სიკვდილს, როგორც მოსვენებას..."

აკაკის სურს შვილის გზაზე დაყენება, მიხმარება, მაგრამ ის არ ეკარება მამას, გაუცხოებულია... ცოლ-შვილზე გულგატეხილი

პოეტი საყვედურიან პასუხს უგზავნის ცოლისდას. ეს ბარათი უფრო აღსარებას წააგავს. იმ განცდამ, გრძნობამ, ფიქრმა, რასაც პოეტი ბაზილევსკებთან მრავალწლიანი ურთიერთობის მანძილზე გულით ატარებდა, ამ წერილში ამოხეთქა. აკაკი წერს: „კნეინა ლიუბოვ პეტროვნა! ნება მიბოძეთ ვიყო გულახდილი, რომ თქვენს მეგობრულ, ნათესაურ ბარათზე გიპასუხოთ პირდაპირ, საბოლოოდ, ერთხელ და სამუდამოდ. დიდი ხანია, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ბაზილევსკები ყველანი შექმნილი არიან ავი სულისაგან იმ მიზნით, რომ სტანჯონ ადამიანები და გააუბედურონ თავისი ახლობლები. მათი თავდაუჭერელი, ეგოისტური ბუნება მოითხოვს, რომ განუწყვეტლად მოიმკან ყოველგვარი სიამოვნება და სარგებლობა მოუტანონ მხოლოდ თავის მსგავს ეგოისტებს, ღირსეულთა საზიანოდ... ლიოლიამ, ჩემდა საუბედუროდ, ყოველივე ეს დედისაგან მიიღო მემკვიდრეობით.

თავისი ნიჭიერებით, მომზადებით, შრომისმოყვარეობითა და ყოველი სიკეთით მას თითქოს უფლება აქვს, უკეთესი მდგომარეობა ჰქონდეს ცხოვრებაში, მაგრამ პირად უხასიათობას და მემკვიდრეობად მიღებულ „ბაზილევშჩინას“ („წინ ნუ აღუდგები ჩემს ზნეს და ხასიათს“) მიჯაჭვული ჰყავს ამ დაწყევლილ ბუტაფორულ ცხოვრებაზე და ყოველმხრივ ხელს უშლის მას. აბა სად არის ის იღბლიანი კაცი, რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ და მხოლოდ ვარდ-ყვავილებს კრეფდეს? ვის არა აქვს ვალები? მაგრამ არავინ თავს არ იკლავს და არ მოაქვს არც თავისთვის და არც სხვებისთვის უსარგებლო მსხვერპლი. როცა მონადირეები შემთხვევით ჭანჭრობში მოხვდებიან ხოლმე, ცდილობენ როგორმე დააღწიონ თავი იქაურობას და არ ისწრაფვიან სიღრმისკენ, რომ კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლან.

განა ეპატიება ლიოლიას, ისეთი პირადი შესაძლებლობის მქონეს, არ მოინდომოს გასაჭირიდან თავის დაღწევა, ან ვერ გამონახოს სახსრები? არ შეიძლება ცხოვრებას უყურო თეატრალური თვალსაზრისით! რატომ გაურბის იგი ჩვენს მხარეს? განა მას, ყველა მისი ღირსებისათვის, აქ ნაკლები პატივისცემით მოეკიდებოდნენ? და ყოველივეს აქ უფრო ადვილად არ მიაღწევდა?

თქვენ თვითონ მოგეხსენებათ, თუ რა კარგი, შესაძლოა, გადაჭარბებული „რენომეთი“ სარგებლობს იგი ჩვენში, თუმცა პირადად ცოტა ვინმე თუ იცნობს. სარგებლობს იმიტომ, რომ „აკაკის შვილია“. განა არ შეეძლო, აქ მოენახა ღირსეული პარტია!... საკმაოა ლიოლიამ დროებით მაინც გაწყვიტოს კავშირი ამ შეჩვენებულ ხარკოვთან და აქ დაიწყოს ახალი ცხოვრება, რომ საშუალება მიეცეს გამოასწოროს თავისი საქმეები, რომ ყველა მეგობრის და მტერ-მოყვარის თვალში დარჩეს ისეთივე წესიერ კაცად, როგორც ახლა იცნობენ. თუ უწიგნური და შრომაში ცუდად გაწაფული კაცისათვის ბაქოს ქარხნებსა და ფაბრიკებში ვშოულობ ადგილს, განა არ შემიძლია, მოვაწყო საკუთარი შვილი, და მერე ისეთი, როგორიც ის არის? ბაქოში ნავთის გარშემო დატრიალებული ასეთი ციებ-ცხელების დროს ფანრით ეძებენ ისეთებს, როგორიც ლიოლიაა, და ამისათვის არავითარ ფულს არ იშურებენ...

...იმის მაგივრად, რომ მუდამ იტანჯებოდეს და არ ჰქონდეს იმედი კრედიტორებისაგან თავის დაღწევისა, არ აჯობებს, ჩამოვიდეს აქ, მოეწყოს ადგილზე, თავისი თავიც დაიმშვიდოს და ჩვენც დაგვამშვიდოს?“

აკაკი უშედეგოდ ებრძვის ბედისწერას. მომდევნო წლებში მამასა და შვილს შორის გაუცხოების უფსკრული უფრო ღრმავდება. ამას პოეტი მშვენივრად ხვდება:

„კიდევ ერთი იმედიღა მქონდა: გავხარებულიყავი ლიოლიას ბედნიერებით, მაგრამ, ვაი, რომ არც ამ იმედს უწერია ასრულება. როგორც ჩანს, მე მისთვის უცხო ვარ და არავითარი სარგებლობა არ მომაქვს. რა მწარე დაცინვაა ბედისა: მთელი ქალაქისთვის მე თავისიანი ვარ, შვილისთვის კი – უცხო...“

რაც დრო გადის, მამა-შვილს შორის ურთიერთობა მძაფრ, დაძაბულ ხასიათს იღებს... ლიოლია არ ეხმიანება აკაკის. პოეტი სასოწარკვეთილია. იგი ცოლს სწერს: „როგორც ვხედავ, ძალიან ცდილობ, გაამართლო ლიოლია, დრო არა აქვსო, მაგრამ შეუძლებელია ასე იყოს. ნუთუ მთელი წლების მანძილზე 5 წუთი ვერ გამონახა,

რომ ორიოდე სიტყვა მოეწერა მამისათვის? მაგრამ არ ვუყვარვარ!... თუმცა ისიც უნდა ითქვას, რატომ უნდა ვუყვარდე?...“

1905 წელს, პარიზიდან დაბრუნების შემდეგ, აკაკიმ შვილთან კავშირი გაწყვიტა, მაგრამ უმისობა ვერ შეძლო: „ჩემი სიცოცხლისა და ცხოვრების უკანასკნელი კავშირიც გაწყდა და, ვაი, ამისთანა სიცოცხლეს!“ - წერს იგი ერთ-ერთ პირად წერილში.

პოეტს ოჯახური სითბო ენატრებოდა. ფაქტობრივად, მას ოჯახი არ ჰქონია. ცოლ-შვილი მუდმივად რუსეთში ან საზღვარგარეთ ცხოვრობდა. აკაკი ცდილობდა, ბედის განაჩენს, რომელმაც ნატაშა არგუნა ცოლად, შეგუებოდა, ცოლ-შვილი საქართველოში დაებრუნებინა, როგორმე მათ შეწყობოდა, შვილისთვის მიეხედა. სიცოცხლის ბოლო წლებში გაგზავნილ წერილებშიც კი პოეტი ცოლ-შვილს ჩამოსვლას ევედრებოდა:

„ჩემო ძვირფასო ნატაშა!

მინდა, სიბერის წლებში მაინც ვიცხოვრო თქვენთან ერთად...“

1903 წელი

„გიგზავნით 300 მანეთს, მაისის დამლევისათვის კიდევ მოგაწვდით 300 მანეთს და გამოემგზავრეთ... მე სულითა და გულით მინდა, ბოლოს მაინც ერთად ვიცხოვროთ და აღარასოდეს დავშორდეთ ერთმანეთს...“

1904 წელი

„ღვთის გულისათვის, ჩამოდით!“

1904 წელი

„თუ ღმერთი გწამთ, მაშინვე წამოდით, როგორც კი საგზაო ფულს – 200 მანეთს მიიღებთ. უთქვენოდ თავს ობლად ვგრძნობ და არავინ მყავს, რომ დავენდო.“

1905 წელი

„ფულის გამოგზავნის ვადებს ზუსტად ვერ ვიცავ, მაგრამ თქვენ რომ იცოდეთ, რა ძნელია მისი შოვნა, შეხვიდოდით ჩემს მდგომარეობაში. ამ დღეებში თქვენ მიიღებთ 400 მანეთს და,

ღვთის გულისათვის, წამოდით... თორემ ასეთი სიცოცხლე, სიცოცხლე კი არა, წამებაა...“

1909 წელი

პოეტის ოცნებას ოჯახურ სითბოსა და სიმყუდროვეზე ახდენა არ ეწერა. ამ ორ ადამიანს შორის არსებული უფსკრული ბევრად უფრო პირქუში იყო, რეალობა კი – ბევრად უფრო მკაცრი და დაუნდობელი, ვიდრე მათ ეგონათ...

ერთად ყოფნის დიდი მონდომებისა და მცდელობის მიუხედავად, აკაკი ცოლ-შვილთან მაინც ვერ ძლებდა. ცნობილია, რომ ისინი მოხვდებოდნენ თუ არა ერთად, მუდმივად ჩხუბობდნენ, პოეტი ოჯახში თავს ცუდად გრძნობდა, პარალიზებული ხდებოდა...

სერგეი მესხი ერთ-ერთ წერილში თავის საცოლეს – კეკე მელიქიშვილს ჟენევაში სწერდა, აკაკი ფულს დაეძებს, რომ ცოლი რუსეთში გაუშვას და მოიშოროს. აი, მერე გათავისუფლდება და წერასაც დაიწყებსო.

ხშირად ცუდად მთავრდებოდა ცოლთან შეხვედრები პეტერბურგშიც. ნატალიას ხასიათი არსად არ ეცვლებოდა. ის ყველგან ნერვული, მომთხოვნი და დაუნდობელი იყო. ცდილობდა ქმრის მართვას, რასაც აკაკის უარყოფითი რეაქცია მოსდევდა და ხშირად პოეტი თავს გაქცევით შველოდა.

შემონახულია იაკობ მანსვეტაშვილის მოგონება აკაკის პეტერბურგში ყოფნის ერთ-ერთ პერიოდზე.

პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებს საკუთარი წრე ჰქონდათ შედგენილი. წრის კრებებს ქალაქში მყოფი ქართველი მოღვაწეებიც ესწრებოდნენ ხოლმე.

„მე და ილიკო ბახტაძე ერთად ვცხოვრობდით, იგონებს იაკობ მანსვეტაშვილი, - აკაკი ხშირად შემოიელიდა ხოლმე ჩვენთან საღამოობით, მხოლოდ 10 საათზე გვიან არ დარჩებოდა. ერთხელ, იქნებოდა ეგრე ღამის 11 საათი, აკაკი მოვიდა ჩვენთან დიდად აღელვებული და გვითხრა: ღამე თქვენთან გამატარებინეთო.

- რა ამბავია, აკაკი, რა მოგსვლია? – დავეკითხეთ.

- ღმერთმა რომ ამოაგდოს ჩემი ცოლი: ისეთი ჩხუბი ამიტეხა, ისეთი ამბავი დამაწია, გვიან რად მოდიხარ შინაო, რომ ველარ გავუძელ და გამოვიქეცი“ (24).

აკაკისა და მის მეუღლეს ერთმანეთის არასოდეს ესმოდათ. ისინი ბოლომდე განუდგნენ ერთმანეთს, განსაკუთრებით, ცხოვრების ბოლო პერიოდში, როცა აკაკი უკვე სხვა ქალზე იყო შეყვარებული, მაგრამ გამხელის უფლება არ ჰქონდა. საერთოდ, პოეტი გულჩათხრობილი იყო, ყველაფერს გულში იტრიალებდა. ის არც ცოლ-შვილთან უსიამოვნებას უმხელდა ვინმეს.

„ჩემი გული ჩემდა საპირადოდ, ანუ საჩემოდ, ყოველთვის კუბო ყოფილა ჩემის გრძნობების და არა ტახტი და კუბოთაც უნდა დარჩეს სამარემდე. მე მგონია, რომ ეს ადვილი გამოსაცნობია, ვინც კი დაუკვირდება ჩემს ცხოვრებას და განსაკუთრებით თქვენთვის, როგორც ნამდვილი მწერლისათვის,“ სწერს პოეტი ეკატერინე გაბაშვილს.

და მართლაც, უახლოესმა მეგობრებმაც კი ბოლომდე არ იცოდნენ, თუ რა სასტიკი და გაუსაძლისი ოჯახური მდგომარეობა ჰქონდა პოეტს. მის ოჯახურ ცხოვრებას ფარდა აეხადა წერილების „პარიზული ციკლის“ გამოქვეყნების შემდეგ (აკაკის ცოლ-შვილისადმი გაგზავნილ წერილებს 1964 წელს საფრანგეთში ყოფნისას მიაკვლია ბესარიონ ჟღენტმა). ამ წერილებისთვის ერთი თვალის გადავლებაც კმარა, რომ მკითხველი მაშინვე მიხვდეს, თუ როგორ აწამებდა პოეტს ორი ყველაზე უახლოესი ადამიანის – ცოლისა და შვილის საქციელი.

ნაწყვეტები „პარიზული ციკლიდან“

„რომ იცოდეთ, როგორ ვარ შეწუხებული ფიზიკურად და მორალურად, მაშინ ასე არ მისაყვედურებდით და არ მიმართავდით ჩემი თავმოყვარეობის შეურაცხმყოფელ ვარაუდებს. თქვენ კარგად ვერ ცხოვრობთ, მაგრამ ერთი იკითხეთ, მე როგორ ვცხოვრობ? ყველასგან, თვით საკუთარი ოჯახისგან მიტოვებული... მწარე სიკვდილის მოლოდინში“ (1903 წ. 24 მარტი).

„გუშინ შენი წერილის წაკითხვისთანავე ისეთი აგონია დამეწყო, რომ არ ვიცი, რა მოგწერო და როგორ? თუმცა დარწმუნებული ვარ, არ დამიჯერებთ, რაც არ უნდა მოგწეროთ, მაინც გწერთ. საქმე ის არის,რომ თქვენ „ჰიპნოზის“ გავლენის ქვეშ იმყოფებით. ვილაც სატანამ ჩაგაგონათ, არ დამიჯეროთ და ამისათვის ღმერთი გსჯით“ (1903 წ.).

„არ ვიცი, რას მივაწერო თქვენი ასეთი გულცივობა. შვილი დროს ვერ პოულობს წერილი მოიწეროს, ცოლი კი იწერება მხოლოდ და მხოლოდ გესლიან ბარათებს. რა გაეწყობა! გულს ვერ უბრძანებ, მაგრამ საქმეზე მაინც ნუ დაიზარებ წერას“ (1903 წ., 19 ივნისი).

„ტროფიმოვი რატომ ვერ ვნახე, ერთხელ ხომ მოგწერეთ და რა შუაშია აქ უდარდელობა?... დედაშენს კი ჰგონია, რომ მე არ ვცდილობ, ან ვატყუებ. ამის მერე სიცოცხლე არ ღირს, უამისოდაც რეტი მესხმის. ამას ზედ ერთვის კიდევ ეჭვები და შეურაცხყოფა...“ (1903 წ.).

„იმდენად ცუდ გუნებაზე ვარ, რომ შემშურდა სანდრო წერეთლისა, რომელიც რამდენიმე დღის წინათ მოკვდა ფილტვების ანთებით და უკვე დაასაფლავეს... როგორც კი ფულს მივიღებ, მაშინვე გამოგიგზავნით, თუ ღმერთი გწამთ, ნუ მწერთ სასოწარკვეთილ და გულგასახეთქ წერილებს. თუნდა ერთხელ მაინც დამიმტკიცეთ, რომ ადამიანები ხართ...“ (1903 წ.).

„დაწვრილებით არაფერს გწერთ. თქვენ არ გინდათ გამიგოთ ადამიანურად, თქვენთვის სულ ერთია ყველაფერი... ბაზილევსკების ცოდვებმა მოშხამა ჩემი ბედნიერებაც...“ (1903 წ.).

„შენმა წერილებმა იმ ზომამდე მიმიყვანა, რომ ყოველთვის, როცა შენს წერილს მივიღებ ხოლმე, კრუნჩხვა მეწყება. ამას წინათ შენი წყალობით კინაღამ დავიღუპე და ახლაც თითქმის იგივე მომივიდა... ვგრძნობ, მე, როგორც ადამიანი და მეგობარი, ზედმეტი ვარ...“ (1903 წ., 3 ნოემბერი).

„სად ხართ? პარიზში? მილანში? თუ სად? ღმერთს გეფიცებით, თქვენს მაგივრად მე მრცხვენია... (ლიოლია – ე.ზ.) ვის ჩემს სახლს ჰპირდება, ვის – ჩემს ტყეს, ვის კიდევ – დანარჩენ ქონებას... ნუთუ შეიძლება ასე გააწამოთ ავადმყოფი მოხუცი! რას გეუბნებათ თქვენი სინდისი? ახლა კი ვხედავ, რომ არ გებრალებით!... გეფიცებით, საქმეს ისე გაგიხდით, რომ ამიერიდან ვერასოდეს ვერ მომმართოთ... ახლა აღარც მე მინდა, ჩვარი ვიყო...“ (1903წ.).

„ნუ გეშინიათ, თავს არ მოგაბეზრებთ – გულს არ გადაგიშლით, რაკი მივხვდი, თუ რა თვალით მიყურებთ“ (1904, 13 თებერვალი).

„გემუდარებით, შემატყობინეთ, რა დაგემართათ? ნუ მაწამებთ ასე საშინლად. უამისოდაც უბედური ვარ!... ისე აშლილი მაქვს ნერვები, რომ არ შემიძლია წერა განვაგრძო!“ (1904, მარტი).

„ყველაფერი ის, რაც შემეძლო გამეკეთებინა, გავაკეთე; ეს არის მამულის და სხვების მიერ წაგებული მარგანეცის დაბრუნება. მორჩა და გათავდა! სხვებზე საყვედურების ლაპარაკი ადვილია, მაგრამ რა ხეირია აქედან? თქვენი უსაფუძვლო და არაგონიერული საყვედურებით იმ ზომამდე მიმიყვანეთ, რომ დავკარგე ენერგია და ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე... (ცოლისდისადმი)

გულცივობის კორიდა

ასეთ ოჯახურ ტრაგედიას ემატებოდა აკაკის უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირე და უსახლკარობა, რაც ისევ და ისევ ცოლ-შვილის გაუცხოებასთან იყო დაკავშირებული. პარიზული წერილების გამოქვეყნების შემდეგ, ნათელი გახდა მისი ასეთი გაჭირვების მიზეზი. აკაკის და ნატალიას მიმოწერიდან ირკვევა, რომ ცოლ-შვილი უსასრულოდ მოითხოვდა მისგან ფულს. ნატალიას წერილები მიჯღაბნილია რუსულად აკაკის გაგზავნილ წერილებზე, რომელთა წაკითხვა და გამოქვეყნება არ მოხერხდა. ამის გამო თვით პოეტიც არაერთ წერილში საყვედურობდა ცოლს:

„შენს წერილებს ვერ ვარჩევ, სწერე უფრო გარკვევით და წესიერად“...

„წერეთ გარკვევით, რადგან სანახევროდ ვერ ვარჩევ თქვენს ნაწერს.“

„ცუდად ვარჩევ თქვენს ხელს და ნუ მტანჯავთ თქვენი ნაჩხაპნით...“

„ნატაშა! მე ვხედავ, რომ გადაგიწყვეტიათ, სული ამომხადოთ და ჭკუაზე შემშალოთ. გრცხვენოდეთ! ნუთუ არ შეგიძლიათ დაწეროთ წერილი ისე, რომ შეიძლებოდეს კაცმა წაიკითხოს და რაიმე გაიგოს?“

ერთადერთი სიტყვა, რომელიც ნატალიას წერილებში შეიძლება გაარჩიოს მკითხველმა, არის „Деньги“.

ცოლ-შვილი ფულის გამო სულს ხდიდა პოეტს: „მე დასაყრდენის მაგიერ მხოლოდ ნერვიული ადამიანები მყავს, დიახ, ასეა!... თქვენთვის ეს სულ ერთია! თქვენ გინდათ ფული. თუნდაც შუაზე გასკდი, ოღონდ იშოვე. ვეცდები რამე ვიღონო! თქვენგან საყვედურების მეტს სხვას ვერაფერს მოისმენს კაცი.“ „რას ნიშნავს ის, რომ მუდამ დღე მომაგონებ ფულის გამოგზავნას?“

ამდენი ფული, რასაც ცოლ-შვილი აკაკისგან ითხოვდა, შვილის ვალებისთვის იყო საჭირო. კრედიტორები მუდმივად ეძებდნენ ალექსის, ისინი ხშირად აკაკისაც აკითხავდნენ და ფულს სთხოვდნენ. როგორც წერილებიდან ირკვევა, ალექსი წერეთელი მრავალნაირ თეატრალურ რისკს ეწეოდა და ხშირად არ უმართლებდა.

„საერთოდ ვერ ვიტან რისკს, იმის მსგავსს, როგორც თეატრალურია, - სწერს თავზარდაცემული პოეტი ცოლ-შვილს, - აგერ, როგორც იწერებით, თქვენ უკვე დაკარგეთ 17 ათასი მანეთი. ღმერთო ჩემო, ამ კაპიტალით ჩვენში, კავკასიაში, სასწაულები შეიძლება მოახდინო.“

აი, მრავალთაგან კიდევ ერთი სასოწარკვეთილი წერილი პოეტისა: „წელებზე ფეხს ვიდგამ, ჩემო მეგობარო, რომ სურვილი შეგისრულოთ და გამოგიგზავნოთ ის, რაც მომთხოვეთ. სეზონი დამთავრდა, მაგრამ მშრალზე დავრჩი, არა თუ ჯამაგირი არ მიმიღია, არამედ

ბენეფისიდანაც გროში არ მოუციათ; თავს იმით იმართლებენ, რომ ლიოლიას ჩვენი ვალი აქვსო, ახლა წადი და იჩივლე.

ჩემი მდგომარეობა მძიმეა, არ ვიცი, რა ვქნა... ამ დღეებში დურანდინა ჩამობრძანდა და ისეთი სკანდალები მომიწყო, რომ საშინელი პროცენტებით სესხი ავიღე და პეტერბურგს გავისტუმრე. ღმერთო ჩემო, რატომ უნდა ვიტანჯებოდე ასე და ამდენ ხანს? ნერვიულობით ავად ვიყავი... თქვენ კი მტოვებთ ბედის ანაბრად. ეჰ, დროა, პირი დავმუწო და დავდუმდე!... როგორც კი ფულს ვიშოვი, გამოგიგზავნი...“

გარდა შვილის ვალებისა, აკაკის მძიმე ტვირთად აწვა ცოლის ნათესაობაც. ნატაშა აიძულებდა ქმარს, რომ მისი ნათესავებისთვისაც ხელი გაემართა. უამრავი დიალოგია ამის შესახებ მათ მიმოწერაში:

„კავკაზში ვმუშაობ, მაგრამ ვღებულობ იმდენს, რომ ძლივს მყოფნის პურისა და წყლისთვის და შენიანების შესანახად, რომლებიც უამისოდ შიმშილით ამოწყდებოდნენ...“ „ამატას საქმეები ვერ არის კარგად და, შესაძლოა, ვერ შევძლო მათი სრული უზრუნველყოფა... მართლაცდა, გამოუსწორებელნი არიან; მათ სჭირდებათ მილიონები და სად უნდა ვიშოვოთ? ათეული და ასეული თუმნები მათთვის არაფერია!“

მიუხედავად მძიმე სულიერი მდგომარეობისა და გაღიზიანებისა, პოეტს არასოდეს უარი არ უთქვამს მამის მოვალეობის შესრულებაზე, მოთმინებით იტანდა იმ ხვედრს, რომელიც ბედმა არგუნა, ძალ-ღონეს არ იშურებდა, ანუ, როგორც თვითონ ამბობს, წელებზე ფეხს იდგამდა, რომ ცოლ-შვილი უზრუნველეყო: „თქვენი მდგომარეობა იმდენად მაწუხებს, რომ ღამეები არ მძინავს.“ „თქვენთან ჩამოვალ მაისის თვეში და უკან წამოგიყვანთ, რომ ყველაფერი თქვენ ჩაგაბაროთ და მერე დამშვიდებული გულით გავემგზავრო საიქიოს.“ „მივიღე შენი ორი წერილი, მაგრამ ვერაფერი გავიგე, გარდა იმისა, რომ გიჭირთ, მაგრამ ეს ხომ უთქვენოდაც ვიცი, და ამიტომაა, რომ წელებზე ფეხს ვიდგამ, მიუხედავად ჩემი სიბერისა და ავადმყოფობისა!..“

პოეტის წერილებში, რაც დრო გადის, თანდათან მატულობს პროტესტი და საყვედური.

„მე ბაზილევსკი არა ვარ, რომ მილიონები გაძლიოთ, - წერს იგი ცოლს, - მგრამ მგონია, უფრო მნიშვნელოვანი და დასაფასებელია, როცა უკანასკნელ კაპიკს სხვას აძლევ, თვითონ კი მათხოვრობ. თქვენ მაინც შესაძლებლად მიგაჩნიათ, მისაყვედუროთ? გაძარცვო კაცი, ხელ-ფეხი შეუკრა და მერე აბუჩად აიგდო?“

ბედის ანაბარად მიტოვებული პოეტი

1905 წელს, როცა საქართველოში საშინელი რეაქცია მძვინვარებს, აკაკი რამდენიმე სასოწარკვეთილ წერილს უგზავნის ცოლ-შვილს:

„გლეხები გამოდიან მემამულეთა წინააღმდეგ, ყველაფერს ართმევენ...“ (1905 წ., მარტი).

„გუშინ გათენებისას გამჩხრიკეს...“ (1905)

„ქალაქის ცენტრში ზარბაზნებს ისროდნენ და განურჩევლად გაწყვიტეს ხალხი. დაიღუპნენ უდანაშაულონი. გუშინ აიკლეს ნაძალადევის მთელი უბანი და დღეს ქუჩებში ჰყრია რამდენიმე ასეული ადამიანის გვამი და დამმარხავიც არავინ არის... კაზაკები სახლებს გარედან ასხამენ ნავთს და ისე უკიდებენ ცეცხლს. არსად მთავრობა, არსად პოლიცია! გაფიცვები, ყველგან გაფიცვები, ყველაფერი დაკეტილია და ზოგჯერ 3-4 დღე უპუროდ ვართ და ვშიმშილობთ...“ (1905) „რომ ასეთი ტერორის დროს წერილები თქვენამდე ვერ აღწევს, გასაკვირველი არაფერია. არ არის დღე, რომ სიკვდილს არ ველოდე. ჩვენი ნაცნობებიდან ნახევარი ამოხოცილია ბარბაროსულად...“

საქართველოში დატრიალებულ უბედურებასა და ასეთი ხასიათის ბარათებს პოეტის ცოლ-შვილის თანაგრძნობა არ გამოუწვევია და არც მათი მადა წაუხდენია, პირიქით, ისინი ისევ დაჟინებით ითხოვდნენ აკაკისგან ფულს.

1905 წლის სექტემბრით დათარიღებულ წერილში აკაკი შვილს საყვედურობს: „შენმა წერილმა ცოტა გამაკვირვა; აქ, ახლა, ამ არეულობის დროს, ერთი მანეთის შოვნაც კი ძნელია, და ღმერთია მოწამე, თუ რა შრომად მიღირს ყოველი მანეთის მოპოვება. თვითონაც მიკვირს, როგორ ვშოულობ. თითქოს ჯანმრთელ კაცს სწერდე: ჩამოდი და მერე წადიო, და არა მე, ავადმყოფ მოხუცს...“

აკაკი იძულებული იყო, ცოლ-შვილის ნებას დაჰყოლოდა და მუდმივად ეგზავნა მათთვის ფული: „სულ 5 ათასს ავილებ, რომელსაც ლიოლიას გადავცემ... ჩემთვის კაპიკიც არ მინდა!...“ (1903 წ.)

„დიდ გარჯად და წამებად დამიჯდა თქვენთვის 300 მანეთის გამოგზავნა, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ მოვახერხე. 100 მან. 15 აპრილისთვის გამოგიგზავნით...“ (1904 წ.)

„გამოგიგზავნეთ 200 მანეთი ბერლინში, 200 მანეთიც – პარიზში, სულ 400 მანეთი. გარდა ამისა, კომერციული ბანკის საშუალებით გამოგიგზავნეთ ნიცაში 150 მანეთი და კიდევ 100 მანეთი აზოვის ბანკის საშუალებით... ხვალ ვგზავნი კიდევ 100 მანეთს...“ (1908 წ.)

ფაქტები იმის გასარკვევად, თუ რა თანხა გაუგზავნა პოეტმა ცოლ-შვილს მხოლოდ იუბილეს დღეებში: „20 ოქტომბერს კვლავ გამოგიგზავნით 200 მანეთს. და მერე ვეცდები მოგაწოდოთ ჩამოსვლამდე, ე.ი. იუბილემდე, რომელიც 27 ნოემბერს გაიმართება... როგორც გამოირკვა, ჩემი ანგარიშით თქვენ ჩემგან უკვე მიღებული გაქვთ 650 მანეთი. შევეცდები, კიდევ გამოგიგზავნოთ 350 მანეთი ორ ჯერზე, რაც შეადგენს 1000 მანეთს. ძალიან მეცოდებით, მაგრამ თქვენც შემიცოდეთ“ (1908 წ., 7 ოქტომბერი).

„დაიწყო ჩემი იუბილე... ურიგო არ იქნება, თუ ლიოლია ჩამოვა და მომაკითხავს. ღვთის გულისათვის, თქვენც მომეშველეთ. 300 მანეთი უკვე გამოგიგზავნეთ. 200 მანეთს ამ დღეებში მოგაწვდით“ (1908 წ., 17 ოქტომბერი)

პოეტის ოჯახს არც რეაქციის პერიოდში დატრიალებული უბედურება აინტერესებდა და არც აკაკის ცხოვრების განსაკუთრებული შემთხვევა – იუბილეს ამბები... ისინი ყველაფერს

კომერციული თვალით უყურებდნენ, თანაგრძნობისა და გამხნევების ნაცვლად, ცოლ-შვილი პოეტს უსასრულოდ ეწუწუნებოდა და მუდმივად ფულს სთხოვდა. მათთვის სხვა მიზანი არ არსებობდა...

პროტესტის უჩვეულო ფორმა

თავისი მდგომარეობით შეწუხებული აკაკი პროტესტს ზოგჯერ იმით გამოხატავდა, რომ ცოლ-შვილის წერილებს ემალებოდა ან არ პასუხობდა მათ... ამის დამადასტურებელ ფაქტებს ტასო მაჩაბლის წერილებში ვპოულობთ. როგორც ცნობილია, პოეტი ერთ ადგილას არ ცხოვრობდა, ამიტომ ნატაშა ქმარს წერილებს ხშირად ტასოს სახელზე სწერდა. ტასოც იძულებული იყო, ნატაშას თხოვნა შეესრულებინა და აკაკისთვის ბარათები გადაეცა. ერთ-ერთ წერილში ტასო მაჩაბელი ატყობინებს აკაკის, რომ „ამატა ერისთავი იყო ჩემთან თქვენი ადგილ-სამყოფელის გასაგებად, რომ შეძლოს თქვენი ცოლის წერილის გადმოცემა.“ „თქვენც რაზე ჯიუტობთ, გეყოფათ მაგდონი ჯავრობა, მიეშველეთ, თორემ თქვენვე შეგაწუხებთ თქვენი ცოლ-შვილის უბედურობა...“

მომდევნო წერილში ტასო კვლავ ატყობინებს აკაკის, რომ „მომივიდა თქვენი შვილის ტელეგრამმა, რომელსაც გიგზავნით და შენი ჭირიმე, პასუხი მაინც აცნობეთ...“

ცოლ-შვილის ბარათი აკაკისთვის იმდენად უსიამოვნო მოვლენა იყო, რომ ტასო მაჩაბელი მობოდიშებით სწერს პოეტს: „მე წილად მხვდა, ეტყობა, რომ შეგატყობინოთ ხოლმე უსიამოვნო ამბავი. აი, გუშინ მივიღე ეს დეპეშა და გიგზავნით. ეტყობა, ფული მოსდომებიათ თქვენებს, სხვაფრივ ნუ შეგეშინდებათ...“

ბედის ერთადერთი საჩუქარი

ამდენი უსიამოვნების გამო აკაკი ერთი პერიოდი თავის მოკვლასაც აპირებდა, თვითმკვლელობას კი გადაურჩა, მაგრამ ინსულტი პოეტს ცოლ-შვილის რამდენიმე წერილის ზედიზედ მიღების შემდეგ დაემართა. აკაკი ხშირად სთხოვდა ნატაშას, თავზარდამცემ წერილებს ნუ მწერო, ერთ ბარათში იმასაც ატყობინებდა, თქვენი ამბების წაკითხვის შემდეგ კრუნჩხვა მომივიდაო, ხოლო ერთ-ერთ წერილში აკაკი პირდაპირ ადანაშაულებს ცოლ-შვილს ჯანმრთელობის შერყევაში: „როგორ დაგეხმაროთ, როცა გარდა პირადი შრომისა, არაფერი გამაჩნია, პირადი შრომა კი მოითხოვს ჯანს და ენერგიას, რომელიც უკვე შელახული მაქვს თქვენი წერილების წყალობით!“

1914 წლის დეკემბერში ალექსის მიერ გამოგზავნილი წერილი და პოემა „ომი“ პოეტისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. შვილი მამას ფულით დახმარებას სთხოვდა. აკაკი შეძრა ამ ამბავმა. იგი დატრიალდა ფულის საშოვნელად. როცა ყველა ცდა თბილისში უშედეგოდ დამთავრდა, აკაკი ქუთაისში გაეშურა. მგოსანი სასტუმროს იაფფასიან, გაუთბობელ ნომერში ცხოვრობდა და დეკემბრის ცივ, ქარიან დღეებში ნახევრად მშიერი ფულის საძებრად დადიოდა. ფულის შოვნის შესაძლებლობა ქუთაისშიც ამოიწურა... მან გადაწყვიტა პოემა „ომის“ დამთავრება, ჩანს, ჰონორარის იმედით... ორი კვირის განმავლობაში დღედაღამ განუწყვეტლივ წერდა...

19 დეკემბერს პეტერბურგიდან აკაკიმ ცოლ-შვილის განმეორებითი დეპეშა მიიღო. ისინი სასწრაფოდ ითხოვდნენ ფულით დახმარებას. დეკემბრის ბოლოს აკაკის ნერვებმა უმტყუნა და ტვინში სისხლი ჩაექცა... 1915 წლის 1 იანვარს ალექსი მამასთან ჩამოვიდა, ამჯერად უკვე უკანასკნელად... ალბათ, უპასუხო დეპეშების ბედის გასარკვევად, თორემ ასეთ სენტიმენტალობას ცოლ-შვილისგან პოეტი შეჩვეული არ იყო...

აკაკისთვის ბედის ერთადერთი საჩუქარი პირად ცხოვრებაში ის აღმოჩნდა, რომ 25 იანვრის ღამეს, განმეორებითი ინსულტისას,

ალექსის მამის ოთახში ეძინა და პოეტმა მოახერხა მისი გაღვიძება. დაახლოებით ღამის პირველ საათზე მან საკუთარ სახლში შვილის ხელში დალია სული... ეს იყო აკაკის მიერ შვილისთვის გაწეული ამაგის ისეთი დაფასება უფლისგან, რომელზეც პოეტი სიცოცხლეში ვერც კი იოცნებებდა...

საკუთარი საიდუმლოს ტყვე

პოეტის არეულ ოჯახურ ცხოვრებას მისი უიღბლო სიყვარული ემატებოდა.

აკაკის შეუყვარდა ანასტასია ბაგრატიონი-მაჩაბელი, ვანო მაჩაბლის მეუღლე. პოეტი მთელი ოცი წელი მალავდა ამ მომაკვდინებელ სიყვარულს. წიგნს, რომელიც მან ტასო მაჩაბელს მიუძღვნა, ასეთი წარწერა აქვს: „მთელი ჩემი სიცოცხლე ტანჯვაა და ვაება, ამირანის ჯაჭვებით დაბმული უკვდავება," „ბედმა დამწვა, დამდაგა, გადამასხა მდულარე" და ა.შ. აკაკიმ ეს საიდუმლო ბოლომდე მაინც ვერ შეინახა, რადგან ოცი წლის განმავლობაში სიყვარულის მალვასაც და შემდეგ მის გამხელასაც თავისი მიზეზები ჰქონდა...

ყველაზე სანდო ნავსაყუდარი

პოეტს ნამდვილი მეგობრობა აკავშირებდა ვანო მაჩაბელთან. აკაკი საზოგადოებრივ საქმეებში ყოველთვის მას უჭერდა მხარს. ბანკის გარშემო დატრიალებული შეხლა-შემოხლის დროს აკაკი ვანოს დაუდგა გვერდით და არა – ილიას. ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ. თუმცა ეს მეგობრობა უცებ არ დაწყებულა. საინტერესო სწორედ ისაა, რომ აკაკის და ვანოს დაახლოება ჩხუბითა და უსიამოვნებებით დაიწყო. აკაკი ერთ წერილში იხსენებს, როგორ შეეწინააღმდეგა სათავადაზნაურო სკოლის უფროსად ვანოს დანიშვნას და მხარი ალექსი ჭიჭინაძეს დაუჭირა. „მოქნეული

ვანო მაჩაბელი ოჯახთან ერთად

და მოზომილი ვის გაუგონიაო?“ ნათქვამია და მეც ამ ცხარე საყვედურების დროს თვითონ ი. მაჩაბელზედაც ბევრი რამ საწყენი შემომეხარჯა! გადაჭარბებულ რამეებს ვამბობდი, მაგრამ იმას კრინტიც არ დაუძრავს, მხოლოდ შორს კი იჭერდა ჩემგან თავს...“ (26)

აკაკის და ვანოს ცხარე კამათი მოუხდათ შექსპირის თარგმანებზეც (პოეტი ენას უწუნებდა მაჩაბელს) და ვანოს რედაქტორობის დროს ჟურნალ „ივერიაზეც“. ამ შუხლა-შემოხლაში მათი პოზიციები, აზრები, შეხედულებები გამოიკვეთა და ნელ-ნელა დაპირისპირება ერთმანეთის პატივისცემასა და მყარ მეგობრობაში გადაიზარდა.

ზემოთ ნახსენებ წერილში აკაკი ასე ახასიათებს ვანო მაჩაბელს: „ადამიანის წყენას ერიდებოდა კერძოდ, და საზოგადო საქმეში კი ულმობელი იყო... საზოგადო საქმეების შესახებ მაინცა და მაინც რჩევა არ ეჭირვებოდა. ყოველიფერს საზოგადოს თვალყურს ადევნებდა. არ შეიძლებოდა მისთანა საზოგადო რამ მოვლინება, გინდ მცირეც ყოფილიყო, რომ იმას გულგრილად გვერდი აექციოს და თავის მხრით, ავზე ავი არ ეთქვა, გინდ მისი მოყვრების შესახებაც ყოფილიყოს, და კარგზე კარგი, გინდ მისი მტრების სასახელოდაც.“ (27)

აი, ყველა ის მთავარი თვისება, კალმის ერთი მოსმით მოკლედ და ამომწურავად ნათქვამი, რაც აკაკის და ვანოს მეგობრობის საფუძველი გახდა და სიკვდილამდე არც დარღვეულა...

პოეტს გაჭირვებაში ყოველთვის ვანო და ტასო მაჩაბლების იმედი ჰქონდა. ვანო მაჩაბელი იყო ის კაცი, რომელსაც აკაკი სულიერი კრიზისის წუთებში გულს უხსნიდა და ბევრ უცნაურ გრძნობას უმხელდა. მათმა ეპისტოლურმა მემკვიდრეობამ ბევრი საინტერესო ფაქტი შემოინახა. აი, ზოგიერთი მათგანი:

„...ხუმრობა გაშვებით იყოს და თუ მართლა რამე მომივიდეს, სწერს ავადმყოფობისას აკაკი ვანო მაჩაბელს, აქ კი არ დამაგდოთ... თორემ მაშინ ასრულდება ჩემ თავზე: „ვერიდებოდი ღოლოსა, დამიხვდა სოფლის ბოლოსაო!...“

„ყოველ წუთს გულის გახეთქას ველი!... მირჩევენ: ან საზღვარს გარეთ გადი და ან კავკასიაში წადიო. პირველის საშუალობა არ მაქვს და მეორეზე გული არ მაძლევს ნებას: აქ მოვკვდე, ის მირჩევნია, მანდ სიკვდილს, რომ დასაფლავების დროს სამაიმუნოდ არ გავხდე... მაგ ფარისეველ მეთაურების მცნებაც ხომ ვიცით, თუ რა არის: სიცოცხლეში გდევნიან, მახეს გიგებენ, სიკვდილამდე მიგიყვანებენ, გატირებენ და რომ მოკვდები, მაშინ ზარს ამბობენ მხოლოდ თავის თავის გამოსაჩენად, იმერელ მოზარეებსავით!... ძნელია ამას რომ ვამბობ, მაგრამ რა ვქნა, რომ გულმა ველარ დაიტია და შენ რა უნდა დაგიფარო?“

„ძმაო ვანო!

მე კარგათა ვარ, კარგ ყოფაშიც, სწერს აკაკი მეგობარს საზღვარგარეთიდან, - მაგრამ რათ გინდა? თურმე მანდაური სიმწარე უფრო ასატანი ყოფილა ჩემთვის, ვიდრე აქაური სიტკბო!... მშვენიერ ოპერაში როცა ვარ ხოლმე, ნიკუშასა და ელას ჭუჭყუნი მაგონდება, ის მირჩევნია!...“

ვანო მაჩაბლისადმი განუზომელი ერთგულება და თანადგომაა გამოხატული მრავალ წერილში: „რაი იმერეთში გადმოვედი, მასუკან ისეთ გუნებაზე ვარ, რომ მტრისას!... მაგრამ დღეს კი სულ გამოვედი მოთმინებიდან... მე აღარ მომდის „კვალი“, დღეს ვინათხოვრე სხვისგან და გადავიკითხე. ზოგიერთი სიგლახე ადამიანის მხოლოდ სიგიჟით აიხსნება!... რა ფულებზე ამბობენ? იმ ფულებზე ხომ არა, რომელიც შენ, ანდაზის წინააღმდეგ, უკულმა კისერზე ვალათ დაგაწვა? და ან რას ნიშნავს კასის გატეხა და „აქშას“ შეძახება კაჭკაჭთან? მაგრამ ეს საწყენი კი არ არის, სასაცინოა, როგორც გიჟური რამ როშვა!... ვიცი, მაგრამ მაინც თავი ვერ შემიმაგრებია და გული მომდის... რადგანაც შენთვის „აქში“ უთქვამთ, როგორც კაჭკაჭისათვის და მე თუმცა არ დავუთხოვივართ... მაგათთან საერთო არა მაქვს რა...“

საოცარი უშუალობა, სითბო და ზრუნვა იგრძნობა წერილში, რომელშიც პოეტი ჭკუის დარიგებასთან ერთად სიყვარულით კიცხავს ადრესატს ზოგიერთი საქციელის გამო: „გისამძიმრებ

დამარცხებას და იმავე დროს გილოცავ გამარჯვებასაც, რადგან მაგგვარი დამარცხება – იგივე გამარჯვებაა!... სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ უმეტესობა ძალმომრეობას ეთაყვანება და ადვილათ შესაძლებელია, რომ ბევრი სუსტი მეგობარი ჩამოგაშოროს... და მოულოდნელი ღალატი გულს გატკენს. მე კი, პირადად, ძალიან მიხარია შენი ამგვარი თავგადასავალი: უფრო დაუკვირდები, უკეთ გაარჩევ ნამდვილსა და მოჩვენებულს; თორემ შე დალოცვილო, აჩქარებით, თვითონ შენ შესვამ ხოლმე ბედაურზე ზოგიერთებს... შენვე გამოგყავს საჯირითო მოედანზე და ბოლოს გინდა, რომ ფეხ და ფეხ გამოუდგე და გადმოაგდო ცხენიდან ულირსი რაინდი!... რათ იჭირვებ საქმეს? მაგრამ ნათქვამია: „წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო.“ ისე ძვირია ჩვენში საზოგადო მოღვაწე, რომ შენ გინდა მატყუარებიც ნამდვილად მიიღო!... ახლა კი იმედი მაქვს, გაფრთხილდები და სხვა რა მიჭირს.“

და მრავალთაგან კიდევ ერთი:

„ეზიკარ მოწყენილი საჩხერეში, ეხმიანება აკაკი ვანოს, დიდი თოვლი და ზამთარია. ვერავისა ვხედავ. ქვეყნიერების არა ვიცი რა, მაგრამ ის ისე არ მაწუხებს, როგორც თქვენი ანბის უცოდინარობა! ბანკის რა ანბავია? შექსპირს მორჩი? თავები ასამდე ვერ შეასრულე?... მეც წამოსვლას ვაპირებ, მაგრამ... მე ვერ წარმომიდგენია უთქვენოთ ჩემი ქალაქში ყოფნა...“

ამ ორი ოჯახის მეგობრობა უფრო ღრმა იყო, ვიდრე ის ერთი შეხედვით ჩანდა. მაჩაბლების სახლში აკაკის საკუთარი ოთახიც კი ჰქონია.

გარდა ამისა, აკაკი ტასოს მეგობარიც იყო. ქალი ბევრ საქმეში, და მათ შორის ლიტერატურულ მუშაობაშიც, ეხმარებოდა პოეტს. ნატალია წერილებს მაჩაბლების ბინის მისამართზე უგზავნიდა აკაკის...

პოეტი თაყვანს სცემდა ტასოს, აღმერთებდა – ეს ყველაფერი თანდათან გადაიზარდა სიყვარულში...

„გულს ვერ უბრძანებ“-ო, - წერს მრავალგან აკაკი.

და ასეც მოხდა...

ცხადია, პოეტს ერცხვინებოდა ვანოსი, ერიდებოდა თავისი გრძნობისა და გულში ახშობდა მას...

მეგობრების უკანასკნელი შეხვედრა და ღამის 4 საათის ტრაგედია

აკაკი მაჩაბლებთან სტუმრობდა იმ ღამეს, როცა ვანო გაუჩინარდა. ამ ორ მოვლენას შორის არანაირი კავშირი არ არსებობს.

დავიწყოთ ცოტა შორიდან.

იმ დროს აკაკი ნაავადმყოფარი იყო.

დაახლოებით მარტის მეორე ნახევარში პოეტი ქუთაისში გაემგზავრა, სადაც მოულოდნელად გულის შეტევით ავად გახდა. ამის შესახებ 1898 წლის 22 მარტის „ცნობის ფურცელი" აქვეყნებს ვლასა მგელაძის ცნობას: „...ქუთაისში ჩასვლისთანავე (აკაკიმ – ე.ზ.) თოფურიას საავადმყოფოს მიჰმართა, სადაც მას შესაფერი დახმარება აღმოუჩინეს. პოეტს უფრო ის აწუხებს, ექიმები მეცადინეობას მიკრძალავენ და მე-კი უმეცადინოთ ვერ გავძლებო." მარტის ბოლოს აკაკის ავადმყოფობა ურთულდება და ათავსებენ საავადმყოფოში. ექიმი სამსონ თოფურია ორ დეპეშას აგზავნის: ერთს – ფოთში, ნიკო ნიკოლაძესთან და მეორეს – თბილისში, „ივერიის" რედაქციაში. 2 აპრილს „ივერია" კვლავ აქვეყნებს სამსონ თოფურიას ინფორმაციას: „ქუთაისი. აკაკი წერეთელი მთელ დღე-ღამეს ძლიერ იტანჯებოდა გულის ჭიდილითა და ფრიალით, როს გამოც მეტად დასუსტდა. დღეს საღამოს ცოტა უკეთობა დაეტყო" (28).

რამდენიმე თვის განმავლობაში საზოგადოების ყურადღება აკაკის ჯანმრთელობისკენ იყო მიპყრობილი. გაზეთები დროდადრო აქვეყნებდნენ ცნობებს პოეტის ჯანმრთელობის შესახებ.

განკურნებული, მაგრამ დასუსტებული აკაკი საჩხერიდან თბილისში ბრუნდება და 25 ივნისს სტუმრად მიდის მაჩაბლებთან. ეს იყო ვანო მაჩაბლისა და აკაკი წერეთლის უკანასკნელი შეხვედრა.

სრულად მოვიტანთ პოეტის მიერ იმ ტრაგიკულ დღეებში დაწერილ წერილს ამ სტუმრობის შესახებ, რადგან მასში არის ფრიად მნიშვნელოვანი მინიშნებები საქმის არსში გასარკვევად: „რადგანაც ადგილობრივი გაზეთები მაჩაბლის შესახებ სხვადასხვა გვარს ცნობას იძლევიან, იძულებული ვარ სიმართლის ასადგენად გავიხსენო შემდეგი: იმერეთიდან რომ ჩამოვედი და ვნახე მაჩაბელი, ის კარგს გუნებაზე დამხვდა და მომახარა: ახლა-კი იმედია, რომ სრულიად გამოვმრთელდეო. ტკივილებს აღარ ვგრძნობ. თავისუფლად დავდივარ და კიდეც ვმუშაობო. შვილები საზაფხულოდ საჩხერეში გავისტუმრე და მე თვითონ ერთი თვით ან თვე ნახევრით აბასთუმანს ვაპირებ წასვლას და სახლის დასაქირავებლად გუშინ ბე კიდეც გავგზავნეო. ერთი სიტყვით, ახლა შიში აღარაფრისა მაქვსო. ცოლმა კიდეც უსაყვედურა, ერთავად ნუ მიეძალები საქმეს, ბევრს ნუ სწერ და მუშაობო. უკანასკნელად ხუთშაბათს, 25 ივნისს, საღამოს 5-6 საათზე, ძალიან კარგ გუნებაზე დამიხვდა, მთხოვა ნარდის თამაში, რადგანაც სუსტადა ვარ, ხუთი ხელის მეტი არ გვითამაშნია. შევწყვიტეთ თამაში და დავიწყეთ ჩვეულებრივი ლაპარაკი. დიდხანს ილაპარაკა როგორც გორის მაზრის სინდიკატის, ისე თავის საკუთარ საქმეებისა და ორიესი კმაყოფილი იყო. მხოლოდ თავის თავს ესაყვედურებოდა, ვაი თუ ისეთის ენერგიით ვეღარ შევძლო შრომა, როგორათაც ბანკში ვშრომობდიო. საზოგადოთ მომავალზე იმედები ჰქონდა. იმ საღამოსვე მოვიდნენ ვიღაცეები სინდიკატის საქმის შესახებ. მოელაპარაკა იმათაც და ისევ გამოვიდა ჩვენთან.

ჯერ კიდევ ათი საათი არ იყო, შინ წასვლა დავაპირე, მაგრამ შემეხვეწა, დარჩიო. მე წავედი სასტუმრო ოთახში დასაძინებლად, თვითონ მაშინვე ვახშმად დამჯდარიყო ცოლთან. 11 საათზე ისიც დაწოლილიყო. კნეინა ხელ-საქმეს შეჰყოლოდა, ორ საათზე დაეხედა ქმრისათვის და გულის ძილში ენახა.

ოთხი საათი იყო სწორედ, რომ ძილში რაღაც ხმაურობამ და ცუდმა სიზმრებმა გამომაღვიძა. რომ წამოვდექი, გულის ძგერა მქონდა ავარდნილი. ჯერ დავაპირე მაჩაბელთან შესვლა. მაგრამ

ვანო მაჩაბელი

რადგანაც მალე გადამიარა, დავრჩი ჩემს ოთახშივე და ექვსის ნახევრამდე აღარ დამძინებია. ამ ხნის განმავლობაში რომ ხმაურობა ყოფილიყო, ან ფეხის ხმა, ან ლაპარაკი არ გამომეპარებოდა. რვა საათზე რომ გამელვიძა, ჩემი ოთახის განის კარი გაღებული დამიხვდა, რომელიც 6 საათამდე მოხურული იყო. ვიფიქრე, მაჩაბელი ამდგარათქო, რადგან მხოლოდ ან იმის ოთახიდამ გამოსულს კაცს შეეძლო გაეღო და ან კიბეზე გარედან შემოსულ კაცს, თუ ქუჩის კარები, რასაკვირველია, ღია იქნებოდა დარჩენილი. შევედი ზალაში, სადაც მაჩაბელი იწვა. ის აღარსად იყო, მაგრამ ქვეშაგები კი მინგრეულ-მონგრეული იყო, ვიფიქრე, ალბათ, პირის დასაბანად გავიდა-თქო და დავჯექი. რამდენიმე წამის შემდეგ კნეინას ხმა მომესმა, ჩაი მზად არის, ვანო, შემოდიო. მერე თვითონაც მოდგა და მკითხა: ვანო სად არისო! მე არ დამხვედრია, ალბათ მანდ არის, პირს იბანს-თქო. გაბრუნდა, ისევ შემოვიდა აღშფოთებული, დახედა ქვეშაგებს და კიდევ უფრო შეშფოთდა: იმას ჩვეულებად ჰქონდა, ადგებოდა თუ არა, ქვეშაგებს თითონ გაასწორებდა და ეხლა-კი ასე მინგრეულ-მონგრეულიაო. მე ვუთხარი, რა ვუყოთ, სადმე წავიდოდა-მეთქი საქმისთვის და მოვათქო. იმან მაინც გული ვერ დაიმშვიდა, დაიწყო ძებნა და სტოლზე დატოვებული რომ ნახა საათი, ძერწკვი და პერანგის ოქროს ღილები, მაშინ თითქმის შეიცხადა, იმავე დროს „გოროდოვოის“ დავუძახეთ და იმან სთქვა, რომ ოთხი საათი არ იქნებოდა, ჯერ კნიაზმა გაჩქარებით გვერდი აგვიარა, ჩვენ ქუდი მოვუხადეთ და შევეკითხეთ: ასე ადრე სად მიბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალებავო, მაგრამ მან მხოლოდ თავი დაგვიკრა, ხმა არ გაგვცა და ჩაგვიარა გვერდით პირ და პირ გოლოვინსკის პროსპექტისაკენ. თუ ეს მართალია, ალბათ, ხელ-ახლად მობრუნებულა ისევ და შესაძლებელია ჩემი ოთახის კარი მას გაეღოს და ხელ-მეორედ ისევ წასულიყოს. ყოველ შემთხვევაში, წინა დღეს ის სრულ ჭკუაზე იყო. მეტად მხიარული და დამშვიდებული, ისე რომ თავზე ხელ-აღებული იმ მდგომარეობაში ყოველ ამას ვერას გზით ვერ მოახერხებდა“ (29).

გაუჩინარება

ამ ამბავმა ქალაქში ჭორების კორიანტელი დააყენა. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა: „ეს მეხუთე დღეა, რაც დაკარგული თავ. ივ. მაჩაბელი ვერ უპოვნიათ, თუმცა ყოველივე ღონისძიებას ხმარობენ, პოლიცია და ჟანდარმერია დაეძებს თვითონ ქალაქში, მიწერ-მოწერა აქვთ ყველა სხვა ქალაქებშიც. ამათ ეხმარება ნათესაობა და მეგობრები დაკარგულისა. მენავეები და ცხენოსანი კაცები მტკვარში და მტკვრის პირზე დაეძებენ.“

იგივე გაზეთი მკითხველებს აცნობებდა, რომ ღამის 4 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე ვანო მაჩაბელი რამდენიმე კაცმა ნახა. თითქოს მოწმეებიც გამოჩნდნენ, რომ ის მტკვარს მიჰქონდა დილის 5 საათზე, მაგრამ დღის 11 საათზე და 2 საათზე ის ნახეს ლორის-მელიქოვის ქუჩაზე და პუშკინის ბალთან, ერევნის მოედანზე...

ამის შემდეგ კვალი იკარგება...

გაუჩინარების ვერსიები

ამ საიდუმლო, ბურუსით მოცულმა ამბავმა აკაკის ტრაგიკულ სიყვარულს მეორე ტრაგედიაც დაამატა. საზოგადოებაში უამრავი ვერსია გაჩნდა. ვანო მაჩაბლის გაუჩინარებას ბევრი აკაკის აბრალებდა, ნაწილი - ვანოს არეულ საზოგადოებრივ საქმიანობას, ნაწილი კი მის ავადმყოფობას. ვანო მაჩაბელმა იმ ხანებში ოპერაცია გაიკეთა. ოპერაციის დროს ამოღებული ძვლების ნაწილები ბოლო დრომდე შენახული ჰქონდა მის ოჯახს. ასეთი ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობა, თეორიულად, შეიძლებოდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი მისი ცხოვრებიდან განრიდებისაო.

იყო ვერსიაც, რომ ვანოს ურთიერთობა ჰქონდა „დუხობორებთან“ და მათ გაჰყვაო. იყვნენ, თითქოს თვითმხილველებიც. არსებობდა აზრიც, რომ ის ნახეს პეტროზავოდსკში „დუხობორებთან“ ერთად. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ფაქტის გადამოწმება შეუძლებელი გახდა,

რადგან ომის დროს ქალაქი გადამწვარა და ყველანაირი საბუთი განადგურებულა...

„მწამს სიწმინდე სიყვარულის...“

ყველაზე მტკივნეული ვერსია საზოგადოებისთვის ის იყო, როცა ამბობდნენ, ვანო მაჩაბელი აკაკის და ტასოს სიყვარულის გამო გაუჩინარდაო. „აკრძალული ფონდიდან“ სააშკარაოზე გამოტანილმა პოეტის პირადმა მიმოწერამ ტასო მაჩაბელსა და ელისაბედ თარხნიშვილთან ბევრ საიდუმლოს გადააცალა საბურველი და მოჰფინა ნათელი. წერილებსაც რომ თავი დავანებოთ, რომელიმე ეპოქის ფაქტსა და მოვლენაზე მსჯელობისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ იმ ეპოქის ზნეობრივი ნორმები.

დავიწყოთ ანასტასია ბაგრატიონ-მაჩაბლით. იგი კარგი ავტორიტეტით სარებლობდა, საზოგადოებაში ცნობილი იყო თავისი კდემამოსილებითა და მედიდურობით. ტასო თავდავიწყებით იყო შეყვარებული მეუღლეზე და ასეთად დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. ტასო მაჩაბელი სათუთად უფრთხილდებოდა თავისი ღირსეული ქმრის ხსოვნას, საკუთარ ავტორიტეტს, შვილების მომავალს... წლების მერეც ვერ ეგუებოდა იგი ამქვეყნად ვანოს არყოფნას. ყველა საზოგადოებრივი მოვლენა ნერვებს უშლიდა და აღიზიანებდა, რადგან მასში ვანო მაჩაბელი აღარ მონაწილეობდა. ამ აზრის დამადასტურებელი ბევრი ფაქტი არსებობს. მის ერთ პირად წერილში ასეთი ფრაზაა: „ახლა აქ ძალიან კარგი ამბებია, არჩევნები ბანკში და მარშლების. მე საშინლათ მაღელვებს, რომ ამ ამბებში ვანო არ არის, და შეჩვეული, რომ ყოველთვის იყო, საშინლათ გული მომდის, რომ ვანო მოკლებულია ყველაფერს ამას. არ გავაგრძელებ ამაზე ლაპარაკს, შორს წავალ...“ წერილი დათარიღებულია 1903 წლის 5 მაისით.

აღნიშნული ფაქტის დასტურად საინტერესოა აკაკისადმი გაგზავნილი ტასო მაჩაბლის კიდევ ერთი წერილი, რომელშიც

ტასო მაჩაბელი

იგი საყვედურობს პოეტს დუმილის გამო. რატომ ბევრს არ წერთ თქვენი მეგობრის (ანუ ვანო მაჩაბლის) შესახებო... აკაკიმ თბილი და ალერსიანი წერილის საპასუხოდ ტასოსგან მკვახე და ყველაფერში ვანოსადმი გამოსარჩლების მკაცრი მოთხოვნებით სავსე ბარათი მიიღო.

ტასოს ვანოსადმი სიყვარული წლებმაც ვერ გაცრიცა. შეუძლებელი იყო ამ ჭორის სიმართლედ გასაღება და იგი ნელ-ნელა გაუფერულდა იმდროინდელ საზოგადოებაში... თუმცა, დღესაც, ხანდახან, ამ თემაზე კამათისას ეს ჭორი კიდევ იჩენს ხოლმე თავს, იმიტომ, რომ საზოგადოება ამ მიმოწერას ჯერ კარგად არ იცნობს...

„საშვილიშვილო ტაბლა“

ვანო მაჩაბლის გაუჩინარების ორი ვერსია – საზოგადოებრივი მოღვაწეობა და ტასოს და აკაკის სიყვარული „ვიღაცას“ განსაკუთრებულად აძლევდა ხელს, რადგან ვანოს არეულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბანკის გარშემო დატრიალებულ ამბებს გულისხმობდნენ, რომელშიც, თავისთავად, ილია ჭავჭავაძე ფიგურირებდა, სიყვარულის ისტორიაში კი აკაკი მონაწილეობდა... ნუ დაგვავიწყდება, რომ მოახლოებულია 900-იანი წლები... ილიასა და აკაკის მსგავს მოღვაწეებზე დაწყებულია ზნეობრივი თავდასხმები, რომელიც ბოლოს წიწამურის ტრაგედიით დასრულდება... ამიტომ ჭორები ელვის სისწრაფით გორდება და ვრცელდება...

„ვიღაცა“ ცდილობს, ვანო მაჩაბლის გაუჩინარების ფაქტი ხელიდან არ გაუშვას, ტრაგედია ეროვნული მოღვაწეების კომპრომეტირებისა და შეურაცხყოფისათვის, „მოღალატეებად“ მათი შერაცხვისათვის გამოიყენოს...

ნათქვამია, ყველა თავისი ადლით ზომავსო.

„ქონდრისკაცების“ აზროვნება და მოქმედება ამაზე შორს ვერ მიდის... სამშობლო... ქვეყნის ინტერესები – მათთვის გაუგებარი ცნებებია.

მაგრამ ისეთი ბუმბერაზები, როგორებიც იმ პერიოდის მოღვაწეები იყვნენ, სხვა ზნეობრივი კოდექსებით ცხოვრობდნენ. თითოეულ მათგანს პირადი სიამოვნება-უსიამოვნება გვერდზე ჰქონდა გადადებული ქვეყნის ინტერესების გამო. აკი, ასეც განმარტა ნიკო ნიკოლაძემ „ინტელიგენტის“ ცნება – ვისაც საზოგადოებრივი ინტერესების პირად ინტერესებზე მაღლა დაყენება შეუძლიაო.

ამიტომ მაშინდელი ნებისმიერი ცხარე კამათი როგორც თაობათა შორის, ისე თაობათა შიგნით მხოლოდ ქვეყნის საკეთილდღეოდ იყო მიმართული. ცნობილი „მამათა და შვილთა ბრძოლა“, პოლემიკა არჩევნების გამო, კამათი სათავადაზნაურო ბანკის გარშემო, საგრამატიკო პაექრობა თუ სხვა – ისეთ მძაფრ ხასიათს ატარებდა, რომ კაცი იფიქრებდა, მოკამათეები არასოდეს ხმას აღარ გასცემენ ერთმანეთსო, მაგრამ შემონახული ფაქტობრივი მასალა საწინააღმდეგოს ადასტურებს.

ალბათ, საქმის არსისა და იმ პერიოდის საზოგადო მოღვაწეთა ზნეობის უკეთ გასაგებად, ურიგო არ იქნება ზოგიერთი მოვლენის გახსენება.

როგორც ცნობილია, 80-იან წლებში დაიწყო ქართული ენის ნორმალიზაციისათვის ბრძოლის მეორე ეტაპი. მისი ინიციატორი ილია ჭავჭავაძე იყო. საგრამატიკო პაექრობაში მონაწილეობდნენ ილია, აკაკი, სილოვან ხუნდაძე, იაკობ გოგებაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კონსტანტინე დოდაშვილი და სხვები. დისკუსიამ ძალიან მწვავე და შემტევითი ხასიათი მიიღო, იგი ზოგჯერ თემის გარშემო მსჯელობის ფარგლებს სცილდებოდა და სხვა სფეროებში ინაცვლებდა ხოლმე (30).

ასეთი სასტიკი კამათი გაიმართა 1894 წელს აკაკი წერეთელსა და იაკობ გოგებაშვილს შორის ზმნის „აღგიარებ-გაღიარებ“ ფორმათა სისწორის შესახებ. იაკობ გოგებაშვილი „ივერიაში“ ბეჭდავს წერილებს: „პასუხად ბატონს სილოვანს“, „პასუხი კვალის რაზმსა,“ „ნაბოლარა“ და ა.შ., რომელიც მიმართულია აკაკი წერეთლისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ. ხოლო აკაკი პასუხობს სტატიებით „ჭრელი ფიქრები“, „არცოდნა არცოდვაო“ და ა.შ.

ნიკო ნიკოლაძე

კამათმა მძიმე და გაჭიანურებული ხასიათი მიიღო... „სწორეთ მოგახსენოთ, ეს მცირე წერილი გამოიწვია გუშინდელმა თქვენმა მესტვირულმა ლექსმა ანტონთან. აფსუს, რომ თქვენ ოქროს დროს და ნიჭს მაგისთანა რამეებზე ხარჯავთ." სწერენ ქართველი ხელოსნები აკაკის (31); ხოლო გიორგი წერეთელი წერილით ატყობინებს პოეტს, რომ მის მიერ გაგზავნილი წერილები გადასცა „ნოვოე ობოზრენიეს". თან ურჩევს: „ჩემთვის რომ გეკითხა, არც ანტონს, აღარც სიკოლაძეს პასუხს აღარ გავცემდი, რადგან საზოგადოების თანაგრძნობა სრულიათ შენს მხარეზეა და ამის შემდეგ კიდევ ჩაცივება, უფრო თანაგრძნობას აქარწყლებს" (32).

ნოემბრის „კვალში" (33) ქვეყნდება მკითხველთა საპროტესტო წერილები ა.ფურცელაძესთან და ი.სიმონიძესთან (იაკობ გოგებაშვილი – ე.ზ.) კამათის გამო. მკითხველთა უმრავლესობა აკაკის სთხოვს, შეწყვიტოს კამათი მათთან. აკაკისა და იაკობს შორის დაძაბული ურთიერთობის გამო სილოვან ხუნდაძემ მედიატორობაც კი იკისრა.

შეიცვალა თუ არა პირადი ურთიერთობები ამ ორ მოღვაწეს შორის?

აკაკი და იაკობ გოგებაშვილი უერთგულეს მეგობრებად დარჩნენ... ყველასათვის ცნობილია იაკობ გოგებაშვილის თავგანწირვა აკაკის ავადმყოფობის დღეებში, ხოლო პოეტის წერილები იაკობისადმი არის ორი ადამიანის განუმეორებელი მეგობრობის ნიმუში.

„არის ხოლმე გარემოება, როცა ადამიანი მადლობასაც ველარ ახერხებს... შენი მოსაკითხი სიცოცხლის წონით მივითვალე, იმდენათ დაკმაყოფილა ჩემი ზნეობითი მხარე..." „შენმა წერილმა და თან მოყოლებულმა წიგნმა (34) გულს გადამყარეს მოწოლილი სევდა!... გადავიკითხე, გადავათვალიერე მუშტრის თვალით, ავწონ-დავწონე და შიგ ჭეშმარიტებისა და სიკარგის მეტი ვერა ვიპოვე რა. კურთხეულ იყოს არა თუ მარტო შენი შრომა, ყოველი ბიჯის გადადგმაც კი," სწერდა აკაკი იაკობ გოგებაშვილს (35).

1873 წელს აკაკისა და ნიკო ნიკოლაძეს სერიოზული უსიამოვნება მოუხდათ. პოეტი ადრესატს სწერდა: „წუხანდელმა ჩვენმა გაკვრა-გამოკვრითმა ბაასმა სამუდამოდ შეურყეველად გამიმტკიცა ის ჰაზრები... და ნათლადაც დამანახვა, რომ მე და შენ შუა... ისეთი საზღვარი ძევს და კიდეც იდება, რომელიც ერთმანეთზედ ახლოს აღარ მიგვიშვებს... დარწმუნდი, სანამ მე ჩემი ქვეყანა მიყვარს, ე.ი. სანამ პირში სული მიდგას, ჩემს გულში შენგვარ კაცებს წმინდა ადგილი ექნება და დღესაც ის მიზეზია, რომ მე მსურს მოგაგონო შენი გული და ჩაგახედო შიგ. დეე, აღიმართოს ამითი აქ ჩემდამი პირადი მტრობა, ოღონდ კი შენს უფერო თავმოყვარეობას აუხილოს თვალი“ (36). და ეს არ იყო ერთადერთი შემთხვევა მათ ურთიერთობაში.

მაგრამ საზოგადო საქმე ორივეს ავიწყებდა მუქარას. როცა ნიკო ნიკოლაძეს „ობზორის“ გამოცემის ნება დართეს, ის სასწრაფოდ წერილს უგზავნის აკაკის და დახმარებას სთხოვს: „ამ საქმეში შენი დახმარების იმედი ყოველთვის მქონდა და მაქვს. შენ იცი, როგორ ამისრულებ ამ იმედს...“

პეტერბურგში მყოფი პოეტი სულ მოკლე ხანში ორ სტატიას უგზავნის ნიკო ნიკოლაძეს „ობზორში“ გამოსაქვეყნებლად...

ცხარედ კამათობდნენ ბანკის საკითხებზე ილია და ნიკო ნიკოლაძეც... თუმცა თითოეულ მათგანს მაინც ახსოვდა, რომ ამ პოლემიკას საქვეყნო საქმე არ უნდა გადაჰყოლოდა. აკაკიმ „უდროვო ბრძოლა“ უწოდა ილიასა და ნიკოლაძის კამათს. „შინაურების ბრძოლა გარეულს ღონეს მიჰმატებს და ფრთებს გამოასხამს,“ აფრთხილებს აკაკი მოკამათეებს.

ნაწყენი ნიკო ნიკოლაძე „დროებაში (37) პასუხობს აკაკის წერილით „განა „საჭირო“ უდროოა?“: „გუშინწინ აკაკი ამტკიცებდა „დროებაში“, რომ ის ბრძოლა, რომელიც „თფილისის მოამბეში“ ატყდა უფ. ილია ჭავჭავაძესა და ჩემს შუა უდროოა და მტერს გულს გაუხარებსო. ეს აზრი მე მიმაჩნია ჩვენი მკითხველების სრულ ყურადღების ღირსად.“ სათავადაზნაურო ბანკის გარშემო დატრიალებულმა შეხლა-შემოხლამ ბევრი უსიამოვნება მიაყენა

იაკობ გოგებაშვილი

იმ პერიოდის მოღვაწეებს. არც აკაკის და ილიას დაუშურებიათ ერთმანეთზე საყვედურები, მაგრამ მათ შორის ურთიერთობა ყოველთვის კორექტულ ხასიათს ატარებდა და ისინი სიცოცხლის ბოლომდე აფასებდნენ ერთმანეთს, რადგან ეროვნული განცდა ყველა სხვა განცდას სჯობნიდა. მათი ურთოერთობა დღესაც და მომავალშიც მაგალითად გამოადგება ყველა თაობას.

აბა, რას უნდა ნიშნავდეს ილიას სიტყვები აკაკისადმი: „ძმაო აკაკი! მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთად-ერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემის საკუთარი წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ მაიძულა ჩვენი ქვეყნის „რჩეულისთვის“ რჩეული, განსაკუთრებითი წერილი მომერთმია და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქით... შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის, მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები“ (38).

ანდაც, აკაკის სიტყვები, რომელიც ასეთ რჩევას აძლევს მ.ბეთანელს: თქვენისთანა მწერლები „კარგს იზმენ, რომ ილია ჭავჭავაძეს მიბაძონ ხოლმე; ჯერ წაკითხული გაიგონ და მერე სწერონ: მასთანაც მიდგომით ნურას დასწერენ და თავისებურად რამე სხვა განზრახვით ნუ გადააკეთებენ სტატიას. ამ შემთხვევაშიდაც ილია ჭავჭავაძეს მიბაძონ, რადგანაც მხოლოდ ერთი ის მოკლებულია ამ ცოდვებს!“ (39).

საინტერესოა ერთი ასეთი შემთხვევაც. 900-იან წლებში ილია ავადმყოფობდა. მას მკურნალობდა ცნობილი ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერი. შემორჩენილია მისი მოგონება ილიასთან ერთ-ერთი ვიზიტის შესახებ: „ილიას სტუმრები იქვე მასლაათობდნენ. ერთმა მათგანმა ივანე მაჩაბელი აუგად მოიხსენია. ილიამ გადახედა მოსაუბრეებს, ლოგინში გასწორდა, თვალი დახუჭა და ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა: - მაგას ჰგონია, თითქოს ძალიან მესიამოვნება ჩვენს

მამულიშვილს რომ დასცინის. დავიღალე, გეთაყვა, იქნებ დამტოვონ... ყველანი მობოდიშებით გავიდნენ...“ (40)

და აქვე საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ კიდევ ერთ ფაქტზე, რომელიც ჩვენი აზრით, უდიდესი მამულიშვილობის, ზეადამიანურობისა და უწმინდესი მორალის ნიმუშად გამოადგებათ მომავალ თაობებს.

საქმე ისაა, რომ 1896 წელს ილიასა და ვანო მაჩაბელს შორის უსიამოვნებები, როგორც იტყვიან, უკვე კულმინაციურ წერტილს გადაცილებული იყო... ამას ხელი არ შეუშლია, რომ ილია სამართლიანი და ობიექტური ყოფილიყო ივანე მაჩაბლის საქმიანობისა და შემოქმედებისადმი. 1896 წლის 9 თებერვალს „ივერიის“ №30-ში იგი ხელმოუწერლად ბეჭდავს ჟურნალ „მოამბის“ პირველი ნომრის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას, რომელშიც აღტაცებას ვერ მალავს ივანე მაჩაბლის მიერ შექსპირის „იულიუს კეისრის“ თარგმანის გამო. ილია წერს: „ჩვენ დიდის სიამოვნებით შევხვდით ამ ახალს თარგმანს და დიდ განძადაც მიგვაჩნია ჩვენის ლიტერატურისათვის თ. მაჩაბლის თარგმანები... იმედი გვაქვს, აგრეთვე, თ. მაჩაბელი გადაგვითარგმნის კიდევ რამდენიმე საუკეთესო დრამას შექსპირისას. დრამა ინგლისურიდამ არის პირდაპირ თარგმნილი და ამით კიდევ უფრო საყურადღებოა“ (41). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ცნობა ილიამ ხელმოუწერლად გამოაქვეყნა „ივერიაში“.

ამ ყველაფრიდან აკაკისავე სიტყვებით შეიძლება მოკლე დასკვნის გაკეთება: იმ პერიოდის საზოგადო მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, რომ მათ „ბევრი მოეთხოვებოდათ და ცოტა შეენდობოდათ,“ რომ მათი გადადგმული ყოველი ნაბიჯი, საქციელი „საშვილიშვილო ტაბლად დაედგმოდა თვითეულ მათგანს“ და არა მარტო თითოეულ მათგანს, ერის ზნეობასაც ზოგადად. ამიტომ წერდა აკაკი: „ქვეყნის ორგულობა, გამოჩენილ მამულის შვილების მტრობა და ვერ შეგუება, მტერმოყვარების გადალახვა და შეღობვა, ყველა ეს ასეთი დამნაშაობაა, რომ ყოველგვარ სისაძაგლეს აჭარბებს!“ (42)

ილია ჭავჭავაძე

ამის შემდეგ ვანო მაჩაბლისადმი ილიას და აკაკის მტრობის დაჯერება ან სრულ უგუნურებას, ან განზრახ ბოროტებას შეეძლო და შეუძლია... პირიქით, მათი დამოკიდებულება ქვეყნის ინტერესებთან და ერთმანეთთან, და საერთოდ, მაშინდელი საზოგადოებრივი მორალი არც დღევანდელ დღეს იქნებოდა ურიგო...

განსჯის მიღმა დარჩენილი დეტალი

რადგან ილია და აკაკი საქმის ვითარებიდან მკაცრად და კატეგორიულად გამოირიცხნენ, კვლავ მივყვეთ ვანო მაჩაბლის გაუჩინარების დანარჩენ ვერსიებს.

ამ საკითხის გარშემო არსებულ ვარაუდებში არ ფიგურირებდა მისი მოღვაწეობის ისეთი მნიშვნელოვანი სფერო, როგორიც გორის მაზრის სინდიკატის საკითხია.

ბოლო დროს გამოქვეყნებული გამოკვლევებიდან პროფესორ გურამ ბენაშვილის წერილი „სულისა და ყოფიერების შთამბეჭდავი ანარეკლები“ კიდევ ერთი ნაბიჯია ჭეშმარიტებისკენ გადადგმული. საქმე ისაა, რომ მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს ვანო მაჩაბლის მოღვაწეობის ერთ მნიშვნელოვან მომენტზე, რომელიც აქცენტირების ნაცვლად მზაკვრულად მიჩუმათებული იყო.

„1895 წელს, ბანკის დირექტორის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ, ივანე მაჩაბელმა, როგორც სულით სტოიკოსმა, ახალ საქმეებს მოჰკიდა ხელი... ქართული მეურნეობის აღორძინების თადარიგს შეუდგა... მან, როგორც დაბრძენებულმა სტრატეგმა, მოიმხრო სოფლის ინტელიგენცია, ერის მოღვაწეები და მათი დახმარებით დააარსა სასოფლო-სამეურნეო სინდიკატი... ამ სინდიკატმა დიდი სიკეთე მოუტანა ქართლს... თუ მანამდე, დიდი წილი ქართლის ჭირნახულისა ჩალის ფასად გადადიოდა მომრავლებული ჩარჩების ხელში, ახლა უკვე, სინდიკატის მაღალი ორგანიზაციის წყალობით, მილიონები ეკარგებოდა ჩარჩთა უძირო ჯიბეებს...“ (43)

იმავე წერილში პროფესორი გურამ ბენაშვილი ასეთ ვარაუდს გამოსთქვამს: „საყოველთაოდ ცნობილია, რომ ივ. მაჩაბლის მიერ დაარსებულმა სინდიკატმა დიდი სიკეთე მოუტანა ქართველს... საკმაოდ ძლიერ, მდიდარ და გავლენიან ჩარჩობას პირდაპირ მეხად ხვდებოდა გულში მისი ძალისხმევა... სინდიკატის უკვე აშკარად მოსალოდნელი აღორძინება მათთვის ფინანსურ-ეკონომიკური სიკვდილის ტოლფასი იყო... და როცა ივ. მაჩაბლის სინდიკატის გამგეობის თავმჯდომარედ არჩევის ამბავი გაიგეს, პირდაპირ ელდა ეცათ... დაფაცურდნენ, მრავალი გადასარჩენი გზებისა და ბილიკების ძიება დაიწყეს... საიდუმლოების სრული დაცვით ამოქმედდა ყოველი მზაკვარი დროისათვის კარგად ცნობილი სადამსჯელო მანქანა...

1898 წლის თიბათვის 26-სს ივ. მაჩაბელმა კიდევ ერთი, შესაძლოა, მისთვის საბედისწერო ნაბიჯი გადადგა, შეიძინა რა სამეურნეო იარაღები სინდიკატისათვის... მეორე დღეს იყო განზრახული მისი ადგილზე გაგზავნა... ის მეორე დღე, მისი ოჯახისა და სამშობლოსთვის უმისოდ გათენდა: „ღამით საწოლ ოთახში შესული დასაძინებლად, მეორე დღეს ის ველარსად ნახეს, ველარც ცოცხალი და ველარც მკვდარი...“

ვინ იცის, თანამედროვეთა ეს მინიშნება, ივ. მაჩაბლის გაუჩინარების მიზეზებზე, ყველაზე ახლოს იყოს სინამდვილესთან... იქნება ღირდეს ამ ვერსიის ერთადერთ ჭეშმარიტებად აღიარება და ამით, ჩვენი თითქოს ფრთხილი ვარაუდებითაც კი, ღრმად შეწუხებული და შეურაცხყოფილი დიდი წინაპრების სულების სამარადისოდ მოსვენება...“ (44)

ბურუსიანი დეტალები – კვანძის გახსნა?!

თუ გულდასმით განვიხილეთ, ვნახავთ, რომ ამ ვარაუდისკენ იხრება აკაკის წერილიც, რომელიც ვანო მაჩაბლის გაუჩინარების ტრაგიკულ დღეებში დაწერა პოეტმა, როგორც მეგობრის ცოცხლად ნახვის ბოლო მოწმემ...

აკაკი წერეთელი სტატიაში დაჟინებით მიგვანიშნებს, რომ ვანო მაჩაბელი იმ საბედისწერო საღამოს კარგ ხასიათზე იყო: ტკივილები აღარ აწუხებდა, სინდიკატის საქმეები კარგად მიდიოდა, შვილები დასასვენებლად ჰყავდა, თვითონაც აბასთუმანში აპირებდა წასვლას და ბინის დასაქირავებელი ფული უკვე გაგზავნილი ჰქონდა. ვანო მაჩაბლისთვის ცხოვრებიდან განრიდების მიზეზი არ არსებობდა. მას ნევროზის, ღელვის, უიმედობის მცირე გამოვლენაც არ ემჩნეოდა, პირიქით, „საზოგადოთ მომავალზე იმედები ჰქონდა“ და „ყოველ შემთხვევაში წინა დღეს ის სრულ ჭკუაზე იყო. მეტად მხიარული და დამშვიდებული, ისე რომ თავზე ხელ-აღებული იმ მდგომარეობაში ყოველ ამას ვერას გზით ვერ მოახერხებდა.“ აკაკის ეს ორივე ფრაზა მრავლისმეტყველია და ასევე მრავლისმთქმელია მინიშნება: „იმ საღამოსვე მოვიდნენ ვიღაცეები სინდიკატის საქმის შესახებ. მოელაპარაკა იმათაც და ისევ გამოვიდა ჩვენთან.“(!) მეგობრები ერთმანეთს საზოგადო საქმეების შესახებ არაფერს არ უმალავდნენ. რატომ ესაუბრა მოსულებს ცალკე? ნუთუ არაფერი უთხრა მათ შესახებ აკაკის?!

ვანო მაჩაბლის განწყობილება არ იცვლება... ამიტომ ძნელი გასარკვევია, ვის ესაუბრა იგი იმ საბედისწერო საღამოს, მომხრეებს თუ მოწინააღმდეგეებს! მას აკაკისთან ყოფნა სიამოვნებს, რაც იქიდან ჩანს, რომ წასასვლელად მომზადებულ მეგობარს დარჩენას სთხოვს... აკაკი 10 საათზე იძინებს, ვანო – 11-ზე.

რატომ გავიდა ვანო მაჩაბელი, ფიზიკურ-სულიერად ნორმალურ მდგომარეობაში მყოფი კაცი, ღამის 4 საათამდე სახლიდან?

კიდევ ხომ არ განმეორდა „ვინმეს“ ვიზიტი?

ან სად მიეჩქარებოდა ღამის 4 საათზე ისე, რომ შეკითხვაზე „გოროდოვოის“ პასუხიც არ გასცა, მხოლოდ თავი დაუკრა?

ვის შეეძლო გაეღო აკაკის „ოთახის განის კარი“, რომელიც ექვს საათამდე დაკეტილი იყო? ვანო მაჩაბელი დაბრუნდა უკან თუ... სხვა ვინმე?

და კიდევ ერთი ბურუსიანი დეტალი – სახლში საათის, ძეწკვის და პერანგის ოქროს ღილების აღმოჩენა – სწორედ ამ საქმის ნათელი წერტილი და კვანძის გახსნა ხომ არ არის?

ეს დეტალი ვინმეს მიერ სპეციალურად, იძულებით გაკეთებინებულს ხომ არ ჰგავს, რომ ყველაფერი წინასწარგანზრახულ თვითმკვლელობას დამსგავსებოდა?... ან იქნებ სულ სხვამ მიიტანა ისინი, რაც ძარცვის უარყოფას და გაფრთხილებას ნიშნავდა?!

ნათქვამია, ეშმაკს არ სძინავსო...

და, ალბათ, იმ „ეშმაკმაც" მშვენივრად იცოდა, რომ აკაკი მაჩაბლებთან სტუმრობდა, ღამესაც იქ ათევდა და ის ღამე ყველაზე საუკეთესო შემთხვევა იყო ვანო მაჩაბლის გასაქრობად...

რაც შეეხება თვითმკვლელობის ვერსიას, მის დასაჯერებლად ძალიან მწირი ფაქტები რჩება, თუმცა, გამორიცხული ამქვეყნად არაფერია... ამ ვერსიაზე მსჯელობისას ერთი რეალობის გათვალისწინება მაინც მოგვიწევს. შეიძლება ვანო მაჩაბელს შერყეული ჯანმრთელობის გამო ნერვები მთლად წესრიგში არ ჰქონოდა, მაგრამ სულით ისეთ უძლიერესსა და უმტკიცეს კაცს, როგორიც იგი იყო, ნაკლებად სავარაუდოა, თავი მოეკლა. ვანო მაჩაბელმა მასზე ასეთი ფიქრის მიზეზი თავისი გამძლეობითა და ცხოვრებისადმი მყარი მიდგომით მოგვცა...

გულში დამარხული საიდუმლოს გაცხადება

ვანო მაჩაბლის გაუჩინარებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ პოეტი თავის ოცწლიან სიყვარულში გამოუტყდა ტასოს. სასიყვარულო წერილები აკაკის დღიურებად აქვს ნაწერი. როგორც ჩანს, მან ეს გაუგზავნელი ბარათებიც აჩვენა ქალს, რომელშიც არის აღსარებები. ერთ-ერთ წერილს ასეც ჰქვია - „სიკვდილის წინეთი აღსარება", ან „ღამის ოთხი საათი" და ა.შ. წერილებში გადმოცემულია აკაკის ცალმხრივი, პლატონური სიყვარული.

უსაზღვრო, უკიდეგანო და თავზარდამცემია აკაკის ტრფიალება ტასოსადმი.

ნებისმიერი მისი წერილისა თუ დღიურის გაცნობა ადასტურებს, თუ რა ტანჯვას უძლებდა პოეტი ტასოსთვის სიყვარულის გამჟღავნებამდე და, მითუმეტეს, იმ საბედისწერო აღსარების შემდეგ...

გაუგზავნელი ბარათები

„სიკვდილის წინეთი აღსარება"

მთელი ჩემი სიცოცხლე ტანჯვა და ვაება იყო. არც ერთი დღე არ შემხვედრია მისთანა, რომ თავი ბედნიერად მეგრძნოს. მაგრამ მე მაინც სულ ვიცინოდი, რადგანაც საოცნებო იდიალი მომავლის იმედით მასულდგმულებდა. ვებრძოდი ბედის ვარსკვლავს, სანამ ის, ოცნებით წარმოდგენილი იდიალი არ განხორციელდა შენში! მაშინ კი უფრო გამიადვილდა ტანჯვის ატანა. ოცი წლის განმავლობაში მე შენ მიყვარდი ამა ქვეყნიურის მიმდევრობით. ასეთის აღტაცებით და აღფრთოვანებით, როგორც შესაძლოა მხოლოდ რჩეულთათვის! გეტრფოდი სრულის ჩემის არსებით! შენ იყავ ჩემი ზეჩამაგონებელი, ჩემი აღმგზნებელი პოეზიაც და სიცოცხლეც. უშენოდ ქვეყანა ველარ წარმომედგინა!!! დიდხანს ვიმარხავდი საიდუმლოდ, როგორც წმინდა ლოცვას, იმ გრძნობებს ჩემს გულში, მაგრამ „არა რაი არს საიდუმლო, რომელი არა გამომცხადდესო". ბოლოს მაინც ძალაუნებურად იჩინა თავი და ან კი რად უნდა დაფარულიყო მისთანა, წმინდათა წმინდა?

ქვეყნის უმეტესობა, ანუ ბრბო, საქვეყნო გრძნობებს ვერ ასცილდება და ჩემს აღმაფრენ ტრფიალებას ის როგორღა შეიგნებდა? ვერ შეიგნო და ბევრი უსამართლობა გამოვსცადე თვით შენ მახლობელთაგანაც კი... მაგრამ ავიტანე, რადგანაც ერთი შენი თანა-გრძნობით შემოხედვა, მეგობრული ღიმილი და ტკბილი სიტყვა მკურნავდა! მაგრამ ეს სოფელი განა დიდხანს ვისმეს ახარებს? მრისხანე ბედმა, ჩემ კვალში მდგომმა, გადამიყენა

ტასო მაჩაბელი

იდიალი და მხოლოდ მითი მძლია და მომეშხამა არა თუ აწმყო და მომავალი, წარსული მოგონებაც კი და „რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ მარტო, სულით ურწმუნო და გულით უნდო?“ ამბობენ, რომ სიკვდილის წინეთ, სულისა და ხორცის გაყრის დროს, არათუ ჭკუათა მყოფი, გიჟებიც კი გონში ჩახვდებიან ხოლმე, რომ ორივე სოფლის, სააქაოს და საიქიოს, ვითარება გაითვალისწინონ. ეს წერილიც ჩემი სულისა და ხორცის გაყრაა და მიტომ მეც გამითვალისწინდა, რასაც დღემდი ვერა ვხედავდი, თურმე ჩემის „არამკითხე“ მისწრაფებით სასაცინო ვყოფილვარ და თანაგრძნობის ნაცვლად გულგრილობა გამომიწვევია თქვენის მხრით! მაპატივეთ! ნათქვამია: „ვისაც ბევრად უყვარს, ბევრიც ეპატივებაო.“ მაპატივეთ დღეიდან მკვდარს და თვით მკვდრათაც მიგულეთ, რომ ჩემმა სახსენებელმაც კი ჩრდილი არ მიაყენოს თქვენს ნათელმოსილ ნეტარებას.

მშვიდობით სამარადისოდ.

აკაკი [1898]-1900წ.წ.

ღამის ოთხი საათი

სწორეთ ღამის ოთხი საათი იყო, რომ დაიღუპა უკეთესი ჩემი მეგობართაგანიც.

გულთამხილავო, შენ ხარ მოწამე, რომ მე არც არა მცოდნია რა და არც არა ბრალი მდებია?! და მაშ რისთვის და რად გადამხდა სამაგიერო სრულიად უცოდველს? „იყავნ ნება შენი, უფალო!“ ამაო ყოფილა ბედის შებრძოლება და აჰა, მეც ვანებებ თავს.

ქუთაისში ჩემი უკანასკნელი გამხიარულება, თურმე ლამპრის ჩაქრობის წინეთი ამოშუქება იყო! და გელათიდან დაბრუნებულზე გულის გახსნა – მომაკვდავის აღსარება!! აღარ მეგონა, რომ ისინი ორივე თუ არ კაცთმოყვარულ თანაგრძნობას, ადამიანურ სიბრალულს მაინც არ გამოიწვევდენ?! მაგრამ განა ქართველს შეუძლია ერთის

ისე ამაღლება, რომ მეორე არ დაამდაბლოს? მსხვერპლია საჭირო და ის მსხვერპლიც მე ვარ! მე ამომიღეს ნიშანში!

...ძლევამოსილის მედიდურობით მითხრა: „ძალით გრძნობის გამოწვევა არ შეიძლებაო...“

გამოირკვა ყოლიფერი! საორჭოფო აღარა დარჩენილა რა! და ამიერიდან ჩემთვისაც ყოველივე გათავდა!

გიჟი ვარ თუ არა? ეს მომავალმა გადასწყვიტოს, მისივე შვილებმა და მე კი, ჩემივე აჩრდილად გადაქცეულს, ცოცხალ-მკვდარს, სიკვდილმა მიფონოს!

მშვიდობით!

აკაკი [1898]-1900წ.წ.

ნაწყვეტები აკაკის სხვა წერილებიდან

„მივიღე შენი წერილი. ჯერ კიდევ მოუშუშებელი ნაღველი ამეშალა: ცივ-გულა წერილის ყოველი სიტყვა მეუბნებოდა, რომ „ის აღარა ხარ, რაც იყავ და აღარც იქნებიო!“

ეჰ! იყავნ ნება უფლისა! მეყო სამი წლის ტანჯვა: ვერ მომერია, ვერ მომკლა, მაგრამ მკვდარს კი დამამსგავსა...“

„...მანდედან რაღაი წამოველ, ღიმი აღარ მომსვლია. მით უფრო, რომ მაშინ, როცა მეჭირვებოდა შრომა-მუშაობისთვის სიმხნე და აფრთოვანება, ბედმა უსამართლოდ სამარადისოდ სასიკვდილოდ დამკრა. დიახ, თქვენმა წერილმა, თუმც რამოდენიმე ხნით მაინც გამაცოცხლა. სჩანს, რომ არც ისე დამცირებული ვარ თქვენს თვალში, რომ წერილის ღირსად კიდევ მიყურებთ – ესეც ბევრია ჩემთვის...“

ელისაბედ თარხნიშვილისადმი:

„განა მე ტასოს ვძულდი და ან კი რად უნდა სძულებოდა ის, ვინც მას გამოუთქმელის გრძნობით ეტრფოდა და არა თუ დედასა

ლიზა თარხნიშვილი (დგას), ნიცა ბაგრატიონ-ფერეთლისა და ტასო ბაგრატიონ-მაჩაბლისა

და დაზე უფრო, თვით მთელ ქვეყანაზედაც კი? დიახ, მიტაცებდა მე მისი იობისებური მომთმენი და უბედურების ამტანი ხასიათი, მისი საანგელოზო გული და ზეესური სული (რომელიც ახლა კი ცოტ-ცოტად ხუნდება)! ესენი ყველა ერთად წმინდა საკურთხევლად მიმაჩნდა და ზედ საკურთხად ვსდებდი ჩემს პოეზიას, რომ როგორც ქრისტეს აღმსარებელს, ჩემი თავი გამესპეტაკებინა, მაგრამ განა შემარჩინა ქვეყანამ? შეხარბდა, შეშურდა ჩემი ბედნიერება და მომიშხამა!"

„...მეკითხები - „როგორ ვიმგზავრე?" და განა არ იცი, თქვენი მოშორებით რა გუნებაზე ვიქნებოდი? გულში სევდით და თვალში ცრემლით. გმადლობ გახსენებისთვის! ტასოს მაგიერ რომ მწერ მოკითხვას, ის კი შენი შეთხზულია, თვარა მე ტასოს არ გავახსენდებოდი. რომ გავხსენებოდი, თვითონ მოუსვამდა კალამს. მით უფრო, რომ კარგადა გრძნობს, რომ მაგისი წერილი, ორი სიტყვაც რომ იყოს, ჩემი „მკვდრეთით აღდგომაა!..."

დამსხვრეული მეგობრობა

უამრავი ქალის სათაყვანებელი პიროვნების – აკაკის მედიდურობამაც დაიჩოქა ერთი მშვენიერი ქალის წინაშე...

ტასოს უმწვავესი რეაქცია ჰქონდა აკაკის აღსარებაზე. მან სიყვარულის გამხელა არ აპატია პოეტს და მაშინვე გაწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა მასთან. აკაკი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. თუმცა, პოეტს სასოწარკვეთილება და დეპრესია არც აღსარებამდე აკლდა. მისი ტრაგიკული სიყვარულის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, თუნდაც ისეთმა ახლო მეგობარმა, როგორიც სერგეი მესხი იყო. იგი თვლიდა, რომ აკაკის სასოწარკვეთილება არეული ოჯახური ცხოვრებით იყო გამოწვეული. ამის შესახებ სერგეი მესხი ხშირად სწერდა თავის საცოლეს – კეკე მელიქიშვილს ჟენევაში. ერთ-ერთი მიზეზი, ბუნებრივია, ოჯახიც იყო, მაგრამ გაუმხელელი, ხოლო შემდეგ უპასუხო სიყვარული,

ჩანს, უფრო მძიმე ტვირთად აწვა პოეტს... ის ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, ხშირად გულს ვერაფერს უდებდა. სერგეი მესხი საცოლეს ატყობინებს: „რა რომ აკაკი აქ არის და გაზეთისთვისაც შრომობს, მე მგონი მეხუთედ არის, რომ რაღაცა უბრალო მიზეზს მონახავს და გამომიცხადებს, რომ ყველაფერს თავი უნდა დავანებოვო, გაზეთშიაც არავითარ მონაწილეობას აღარ მივიღებო და საზოგადოთ ყველა საზოგადო საქმეებს და ლიტერატურას ვეთხოვებიო. შენ ვერ წარმოიდგენ რამდენ წვალებათ მიღირს მე ამის თანამშრომლობა!... გუშინა წინ გამომიცხადა, რომ მშვიდობით, გეთხოვებიო...“ (45) „აკაკი ახლა ჩემთან დგას, დროებით, მაგრამ ახლავე აუცრუვდა გული და ხან რუსეთში წასვლას ემზადება, ხან შინ, სადაც მგონი, მამა ჰყავს ავათ“ (46)

გულგატეხილი პოეტი ხშირად საკუთარ ჯანმრთელობასაც არ უფრთხილდება და მკურნალობას დაუდევრად ეპყრობა. ეს იციან მისმა უახლოესმა მეგობრებმა. ლიზა თარხნიშვილი ახალქალაქიდან აფრთხილებს აკაკის, რომ არ მიატოვოს მკურნალობა: „იწამლეთ კარგათ, თქვენებურათ არ მიანებოთ თავი წამლობას, თორემ ზამთარში კიდევ ავად გახდებით...“

„ბედის წიგნში განგებას ასე ჩაუწერია...“

დამალული ოცწლიანი სიყვარულის გამხელამ პოეტს შვება ვერ მოჰგვარა, პირიქით, აღსარებამ უარეს სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. აკაკის სიტყვები, „მაპატიეთ, რომ ამგვარი წერილით შეგაწუხეთ, მაგრამ გულმა მოითხოვა მისი გამომჟღავნება, რაც საფლავში საიდუმლოდ ჩასატანი იყო“-ო, ზუსტად გამოხატავს მის იმჟამინდელ მდგომარეობას... პოეტმა, მართლაც, საიქიოს წასაღები საიდუმლო, მთელი ცხოვრების ნაოცნებარი და ნალოლიავები სიყვარული, კრძალვით გაუმხილა სატრფოს... ძნელი განსასჯელია, სწორად მოიქცა თუ არა აკაკი, მაგრამ შედეგი კი მოულოდნელი აღმოჩნდა...

ლეები: ნიცა, ბაბო და ტასო

საკუთარი საქციელისა და ტასოს რეაქციის გამო პოეტი თვითმკვლელობამდე იყო მისული. აი, რას წერს იგი:

„მე ვერ წარმომიდგენია, რომ ადამიანმა, და მერე თქვენისთანამ, ასე ვაიმეტოს და გასწიროს უბედურებაში ჩავარდნილი კაცი და ისე გულგრილად გაიმეტოს, როგორც გუშინ. ავაზაკიც რომ იყოს, მაინც მიტოვება და განსაცდელში ჩაგდება არ არის კარგი! ერთი გზის მეტი აღარა დამრჩენია რა და ის გზა საშინელია...“

„ძალიანაც გაოფთრებული ვარ ჩემ თავზე... ყმაწვილი რომ ვიყო თავს მოვიკლავდი. მაგრამ ბებერი ვარ და რაღა საჩქაროა? ისეც ველი სიკვდილს!...“

„ეგები მე ჩემი შეცდომით, მანდ სიკვდილი მერჩიოს აქ სიცოცხლეს?!“

„მე ჩემის ნერვებით ვერა ვარ კარგათ და არა თუ წერა, კითხვაც არ მეხერხება...“

„სიყვარული არის ღმერთი“...
„ტრფიალება – წმინდა ლოცვა!“

ამ ამბავმა პოეტის ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი დაარღვია. ის გარეგნულად არაფერს იმჩნევს, მაგრამ გაძლება უკვე უჭირს, ვერ აზროვნებს, ვერ მუშაობს... აკაკი საშინლად განიცდის თავის მდგომარეობას, რადგან ვერ გაუგია, რა დააშავა...

„ყოველგვარი ღონისძიება ვიხმარე, რომ გამეგო, თუ რა დაგიშავე, მაგრამ ამაოდ ჩამიარა. ცხადია, რომ რაღაც დიდი დანაშაული მიმიძღვის, რომელიც მე ვერ გამომიკვლევია. თუ რაძე შემიცოდებია, მაპატიე! ეგ ზიზღი, რომელსაც თქვენ მიჩვენებთ, არ დამიმსახურებია. დღემდი მე ღირსად მიმაჩნდა თავი თქვენთან მეგობრობისა. დღეიდან კი მკვდარი ვარ, როგორც ხორცით, ისე ზნეობითაც. მაგრამ მე ისე მიმყავს საქმე, რომ იჭვს ვერავინ შეიტანს, თუ თქვენ ხართ მიზეზი ჩემი უბედურების...

იყავნ ნება უფლისა, მშვიდობით. მე მაინც სააქაოს აქეთ სიყვარული თან მიმაქვს, ნუ დამცინებთ და ნურც სიგიჟეს მიკიჟინებთ. უამისოდ მე სიცოცხლე არ მინდა," სწერს იგი ტასოს.

ამ სტრიქონების წაკითხვისას უნებურად გაგონდება აღსარებასავით ნათქვამი კიდევ ერთი ბარათი ტასოსადმი, რომელშიც განმარტებულია, თუ რა გრძნობით იყო გამსჭვალული პოეტი და როგორ ესმის მას, ზოგადად, სიყვარული:

„თუმცა ჩემმა უკეთესმართმა ბედმა სამარადისოდ მომაშორა თქვენს თავს, მაგრამ მაინც კიდევ თქვენი სიამოვნება ჩემთვის სადღესასწაულოა და მიტომაც თქვენს სიხარულს ნინოს გამოისობით, მე ვაერთებ ჩემს თანაგრძნობას!

მეკითხები, რედაქციის რა ჰქმენიო? და არა გრძნობთ, რომ ჩემთვის ახლა ყოლიფერი გათავებულია და ჩემი მომავალიც დაიღუპა ერთად იდეალთან? და ჩემი გულის ფიცარს ასე აწერია: „იყო და აღარ არის! შეეძლო კიდევ ყოფილიყო, მაგრამ აღარ მოხერხდა." დიახ, მე ახლა მხოლოდ აჩრდილი ვარ წარსულისა! დათას რაც უნდა გადმოეცა, მისი მეასედიც არ იქნებოდა, რაც გულში დარჩა! თქვენც კარგად გრძნობთ, რომ მე არა ვსტყუვი და უსაფუძვლოდ მიკიჟინებთ შეცდომას! იმ თავიდან ამ ბოლომდე, ამდენი ხნის განმავლობაში, კამკამა წყაროსავით მქონდა თქვენ წინ გადაშლილი ეგებ პოეტურად ახირებული, მაგრამ მაინც წრფელი გული კი და თქვენც შეგეძლოთ თქვენის საკუთარის თვალით, და არა სხვების სათვალეებით, ჩაგეხედათ შიგ და დარწმუნებულიყავით, რომ აქ ძირამდე სიწმინდის მეტი არა იყო რა საზოგადოდ და მით უმეტეს თქვენს შესახებ. შესაძლო იყო მხოლოდ უსამართლო უგულობას მოსჩვენებოდა აქ რამე მღვრიედ. მე კი სულ სხვასა ვკითხულობდი ჩემს გულში და აი, რას: ნიჭი, რა გვარიც უნდა იყოს, ზედმეტი ძალაა და განგება მიტომ აძლევს ათასში ერთ რჩეულთაგანს, რომ კეთილად მოიხმაროს ქვეყნის სასარგებლოდ. სილამაზეც ერთი მათგანია, თუ ქვაკუთხედად ზენა-ნანძრახვები უძევს და არა წვრილმანი საპირადო პრანჭიაობა.

დიდი თამარი შუქსა ჰფენდა და ამხნევებდა ქვეყნის მსახურ-მოღვაწეებად დასახელებულებს, გაურჩევლად გვარისა, წოდებისა და ხნოვანებისა! როგორც მზის სხივებზე ყვავილები, ისე მის ეშხზე იშლებოდნენ საეროვნო სუნნელებად სამხედრო ასპარეზზე მხარგრძელები, გამრეკელები, ჭიაბერ-კახაბრები და სხვანი. მისი მადლიანი სიტყვა-პასუხი და ქცევა-მოპყრობა აიაზმად ესხურებოდა ჭყონდიდელ-ქუთათლებს და აოქროპირებდა სამღვდელოებასა! იმან ააფრთოვანა თანამედროვე მწერლობა და ჩაბერა რუსთველს საგენიო ძლიერება.

ამგვარივე ღვაწლი მიუძღვის მარიამ დედოფალსაც, რომელმაც მოხიბლა მაჰმადიანი ქართველთა მეფე, მოხუცი როსტომ, და საქართველოსადმი მისი მტრობა-სიძულვილი სამოყვეროდ გარდაუქმნა.

მაგრამ ძველი დრო გადავიდა და თან გაიყოლა რუსთველისაგან გადმონაცემი იდეალები. ჩვენი დღევანდელი მზეთუნახავები, მის ნაცვლად, რომ ნესტან-თინათინებრივად ააფრთოვანონ ჩვენი თანამედროვე მოღვაწეები და მიუთითონ საეროვნო იდეალებისკენ, მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ მათი დუშკები, როგორც ყურმოჭრილი მონები, აქეთ-იქით გაწვრთნილ ლეკვებივით გაგზავნონ-გამოგზავნონ უმნიშვნელო საქმეების წასაღებ-წამოსაღებად და ნიშნად მადლობისა კაბის კუდი დააჭერინონ ხელში! და ამისთანა დროს ჩვენისთანა გულგატეხილი ქართველი რომ სცდილობდეს ტასოსთანა თვითო-ოროლა იშვიათ მოვლინებასთან დაახლოებას და „ეპოტინებოდეს“, როგორც ხავსს წყალწაღებული, საკიჟინოა? მაგრამ ტყუილად არ უთქვამს მგოსანს: „ბულბული, საზენაოდ გამსჭვალული, ვარდს უგალობს, რომ სუნნელოვნად გაიფურჩქნოს კოკობი მისს ჰანგებზე და იმავე დროს ბუჩქებში თავშეფარებული და მიმალული კატა სამტროდ შეჰყურებს სიყვარულის მოციქულს. მაგრამ ვარდი კი მაინც ბულბულის ხმაზე იშლება და ყურს არ უგდებს კატის ჭყავილს.

დიახ, ქვეყნის უმეტესობა ბრბოა და ბრბო კი იგივე მდაბიო გრძნობის კატა! სასურველ სიმაღლემდე ვერ სწვდება პირუტყვის

გრძნობა-გონება და მიტომაც სთქვა რუსთველმა: „კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისო.“ ბრბომ როგორ უნდა დაინახოს ნათელი სსივი? ბრბომ რა იცის საზეიმო ტრფიალების? იმასა ჰგონია, თუ ტრფიალება მხოლოდ სისხლის ღელვა და ხორცის ფხანვაა და არა წრფელი სულის სიწმინდით წმინდა გულშივე დასადგურებული. რაც ეპატივება უმეტესობას, ის არ ეპატივება რჩეულთაგანებს და თქვენც ნუღა გიკვირსთ ჩემი სამდურავი. მაგრამ რას ვიზამ? როგორ თუ სამდურავი... რა უფლება მაქვს და ან რას გემართლებით, რომ სამდურავი გითხრათ? არა, მე მხოლოდ ჩემს ბედს ვემდური, რომ ტკბილ ოცნებიდან გამორკვეული მწარე სინამდვილეში გადამიყვანა ამ სიბერის დროს და დამაგდო ობლად „სულით ურწმუნო, გულით უნდო და ჭკუით მაშვრალი.“

აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

პოეტმა ნათლად ჩამოაყალიბა თავისი დამოკიდებულება ტასოსადმი.

სიყვარული დანაშაული არ არის... დანაშაული შეიძლება გახდეს მისი გამოხატვისა და რეალიზაციის ფორმები, რაც ამ შემთხვევაში გამორიცხული იყო. ამიტომ აკაკის ვერ გაუგია, ამდენი გაკიცხვა რით დაიმსახურა. მისი გრძნობა კამკამა წყაროსავით წმიდაა, ის ისე ეტრფის ტასოს, როგორც ეს რჩეულთათვისაა დამახასიათებელი და ღირსეულთ შეუძლიათ მხოლოდ.

ტასო ხომ მისი მუზაა, მისი შთაგონების წყარო.

საინტერესოა ტასოს ერთი წერილი, რომელიც მათი დამსხვრეული მეგობრობის ფონზეა დაწერილი და რომელიც ზემოთ ნათქვამს ადასტურებს: „წაიკითხე თქვენი ლექსი „ჩემს მეგობარს“ „ნიშადურში“ სწერს ტასო აკაკის, - ჩინებული რამ არის. ისევ ის თქვენებური პოეზია, გრძნობა, სიტყვები ალერსიანი და ბევრი რამ, რითაც იტაცებს გულს თქვენი ლექსი. ასიკო ამირაჯიბი მოვიდა ჩემთან დიდათ აღტაცებული მაგ ლექსით და მითხრა, რომ ეგ ლექსი მეტად, მეტად კარგიაო და ბევრი ვიფიქრე ვის უწერს ამ ლექსს და დასკვნა გამოვიტანე, რომ უთუოთ თქვენ იქნებითო,

იმიტომ, რომ ამისთანა ლექსი მხოლოთ თქვენ გეკუთვნითო. მე გამეცინა და გულში ვიფიქრე, ეს ხალხი რა უცნაურია. სულ ერთი არ არის ვისთვის სწერთ. კარგი... წარმტაცი, ქართულ ლიტერატურას ემატება ჩინებული რამ და ისინი კი რაღაც უმნიშვნელო საგანს მიჩერებიან და ეძებენ.

...გაგეცინებათ... იტყვით, მართლა თავის თავზე მიიღოვო, არა? რა სიბრიყვეა, რომ თავის თავს ადარებს ამ იდეალს და სხვა. მაგისთანა ლექსები ბევრი სწერეთ და მე ხომ თქვენი დიდი თაყვანისმცემელი ვარ...“

„ჩემს მეგობარს“

დამატკბო შენმა წერილმა,
როგორც ფუტკარმა თაფლითა,
გულში რაც სევდა მებადა,
სულ გამიქარწყლა... დაფლითა.
მეც საპასუხოდ ავიძერ,
მელნად ვიხმარე მალამო!
გულმა, დადგმულმა საწერლად,
მირჩია: ნურას მალამო.
და სულიც მიტომ გიმღერის:
„დღისით მზევ, ღამით მთვარეო,
მოსხივციისკარე მნათობო,
მოციმციმ-მოელვარეო,
მნათეო ჩემის სიბნელის,
სხივები მომაყარეო!...
შენ გამაცოცხლე, შენ მომკალ,
მეაკვან-მესამარეო!...
მუზა მაყვედრის: „საჩემო
აგებნა გზა და კვალიო!...
მე აღარა ვარ, ის არის
აწ შენი იდეალიო!“

მართალი არის!... შენა ხარ
ჩემს სიცოცხლეში ყოველი;
შენით ვიგრძენი სიცოცხლე,
სიკვდილსაც შენგან მოველი!
მაგრამ რომ მოვკვდე, გახსოვდეს,
ფეხი დამადგი გულზედა
და ის მეყოფა მე ძეგლად,
დადგმული სიყვარულზედა.

საზოგადოება მიხვდა, რომ ლექსი ტასო მაჩაბელს ეძღვნებოდა. ჩანს, ადრესატსაც გული მოულბო ლექსის რომანტიკულმა ხასიათმა და ამიტომაა, რომ ტასოს ზემოთ მოტანილი ბარათი გამონაკლისად ლმობიერი ტონით გამოირჩევა სხვა „გულკოიტად" დაწერილ „ციე-გულა" წერილებს შორის.

ზოგჯერ, იმედგაცრუებული, სასოწარკვეთილი ტასო მაჩაბელი უხეშობს აკაკის მიმართ, მაგრამ პოეტი მოთმინებით ხვდება ამ სასჯელს და ყოველთვის ფრთხილი, სათუთი და ფაქიზი ურთიერთობით პასუხობს ქალს. ეს იმიტომ, რომ თვით აკაკის შინაგანი ბუნებაა თბილი, ნაზი და ალერსიანი...

აკი, ასეთია გურამ ასათიანისეული შეფასებაც პოეტისა: „აკაკი წერეთლის ლირიკა გამოვლინებაა უალრესად სათუთი, ყოველგვარ სიტლანქესა და სისასტიკეს მოკლებული ადამიანური ბუნებისა. სწორედ ამ შინაგანმა თვისებამ განაპირობა აკაკის ლექსების თავისებური „დაყვავების" კილო და ალერსიანი ინტონაცია."

„აკაკის პიროვნების პირველსაწყისი ღია, უღრუბლო, მიმნდობი ხასიათია."

„შესანიშნავია... ლექსი „სანამ ვიყავ ახალგაზრდა". იგი მოულოდნელად შუქს ჰფენს პოეტის სულიერ ცხოვრებას. ეს ლექსი გვიმხელს მწვავე, მოუშუშებელ ჭრილობას, ადამიანური სითბოს, ყურადღებისა და ალერსის დაუკმაყოფილებელ წყურვილს, სულიერი სიმარტოვის უცნაურ გრძნობას... და ამას წერს არა სამშობლოდან გადახვეწილი, უსახელო ყარიბი მგოსანი, არამედ

პოეტი, რომელსაც მთელი საქართველო თითქოს ხელისგულზე ატარებდა.“

„არავითარი სიკერპე, არავითარი გულჩათხრობა ან მედიდურობა. ერთი წვეთიც კი ამისა არ მოსცხებია მის ბუნებას.“

„თვით პოეტს ერთი წუთითაც არ ღალატობს უღრმესი ნიჭი, ერთი წუთითაც არ ილებს მისთვის ყოვლის მხრიდან შემოთავაზებულ მესიის გვირგვინს.“

„არც ერთი სხვა ჩვენი პოეტის შემოქმედებაში არ გამომჟღავნებულა ისე თვალნათლივ ქართველი კაცის ალერსიანი და მოსიყვარულე ბუნება, როგორც ეს აკაკის პოეზიამ განგვაცდევინა.“ (47)

გურამ ასათიანის სიტყვების შემდეგ რაღა გვეთქმის!

უხამსი და ტლანქი გრძნობების ადგილი პოეტის სულში, უბრალოდ, არ შეიძლებოდა ყოფილიყო...

და არც ტასოს მიმართ, ბუნებრივია...

„მხოლოდღა ცრემლში დამრჩა ნუგეში“

დატრიალებულმა ამბებმა პოეტზე ისე იმოქმედა, რომ მას ნერვებმა უმტყუნა და ერთხანს საზოგადოებისგანაც განცალკევდა, გაირიყა...

„ერთხელვე გადავწყვიტე, აღარავინ ვნახო, არც მივიდე ვინმესთან და არც მივიღო, რადგანაც ჩემი სიტყვა და გრძნობაც ყველას სხვაგვარად ესმის.“

„თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ მე აქ, თქვენგან შერისხვის შემდეგ აღარავინ მყავს ნაცნობიც, არათუ თანამგრძნობი.“

„ბედი მაიძულებს, რომ დავაგდო აქაურობა და წავიდე შორს ამ ორ-სამ დღეში...“

„ბოდიშს ვიხდი, რომ უბრალო წერილით გაწუხებთ... მე ვერ დავესწარ აბაშიძის იუბილეს ტფილისში და აქაც ქუთაისიდან, გავურბი საჩხერისკენ „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა.“ იქ, ჩემ

უდაბნოში, იმედია, დამშვიდებით ვიქნები, რადგანაც ვერავის ვნახავ და არც მინდა არავის ნახვა, გარდა ლიზასი, მაგრამ მანდაც ბედი არა მაქვს... თავისი სახე მაგანაც დამამადლა...“

„მივდივარ ერთი საათის შემდეგ პეტერბურგში, მაგრამ იქაც, ვაი, რომ ვერავინ დამამშვიდებს.“

„როგორც იქნა ჩამოვეთერი ამ დასაქცევ პეტერბურლში. ვერავინ ვერა ვნახე, ვინც მინდოდა და დანარჩენი ნაცნობების ნახვა მე თვითონ აღარ მინდა...“

„ჩემ დღეში ერთის მეტი მეგობარი არა მყოლია. იმას შევსწირე ჩემი გრძნობა-გონება და იმას კი სასაცინოთაც არ ეყო! აი, სწორეთ ამიტომ გამოვეთხოვე სამშობლოს და აღარავის რამესა ვსწერდი. მაგრამ ნათქვამია: „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო!“ მე ჩამოვედი აქ, რომ ადგილი მეშოვნა და აქაურმა ჰაერმა კი არ შემიწყნარა. გავხდი ავად და ექიმებმა ერთპირად გადამიწყვიტეს, რომ ნიცაში წადი და ან ისევ კავკასიაში დაბრუნდიო. აქ დარჩენა სიკვდილია, ნიცაში წასვლას საზრდო უნდა და მანდეთვე დაბრუნება კი ტანჯვაა. უხმოთ და უთანაგრძნობოთ ვიკლავ გულში დარდებს!“

„ბორჯომიდან დავაღწიე თავი, როგორც იქნა. ქუთაისში შევიარე, ნიცას კარებზედაც გავიარე, მაგრამ არ შემიხვევია, არ მინახავს!... ეჰ, რაღა სანახავი ვარ? ახლა საჩერეში ვარ. ხვალ დიდი წვეულება აქვს ელისაბედს, მაგრამ მე რაღა გამოსაჩენი ვარ, რომ იმ ბრწყინვალე კრებაში გამოვერიო. არ მივდივარ. ბეჟანი თურმე აქ არის, მაგრამ არ ვნახავ!...

...თქვენც შორიდან სიმდაბლით მოგიკითხავთ. თქვენი სიკვდილამდე ერთგული, მაგრამ უსიამო მეგობარი – აკაკი.“

გაუცრეცელი სიყვარული

პოეტი საშინლად დაბნეულია. ტასოს განდგომით მას, თითქოს, საყრდენი გამოეცალა. არ იცის, როგორ მოიქცეს. ლიზა თარხნიშვილისადმი გაგზავნილ წერილში აკაკი შესჩივის მეგობარს:

„ხვალ თუ ზეგ მივდივარ საჩხერიდან. სად? ის კი არ ვიცი, როგორც გზადაბნეულმა.“

პოეტი გულგატეხილია საზოგადოებაზე, შეიძლება ითქვას, განრისხებულიც. „ნიკუჩა და ელა დამიკოცნე, - სწერს იგი ტასოს, - მაგრამ ჩუმათ, რომ სხვებმა არ დაინახონ, თორემ იტყვიან: აკაკიმ დაგვიგესლაო,“ ლიზას კი ასე ეხმიანება: „მეშინია, მით უმეტეს, რომ ვიცი ჩემი ბედის ამბავი, ქვეყანა არც შენთან შემარჩენს მეგობრობა-სიყვარულის სიტკბოებას! დაგესლავს, დაშხამავს, გაგლალავს და შეგაძულებს კი ჩემს თავს. ამის მაგალითს შენცა ჰხედავ.“

ბედის ირონია სწორედ ისაა, რომ აკაკის პოეტური მუზა, სულიერი საზრდო, მისი „ტკივილების წამალი“, გულის მესაიდუმლე და ახლობელი მაინც ტასოა, თუნდაც გაბრაზებული, განდგომილი და „გულკოიტი“. რუსეთში ცოლ-შვილთან მყოფი აკაკი ისევ ტასოს უმხელს გულისნადებს: „ჩემი სახლობა ძალიან კარგად მეპყრობა, მაგრამ მაინც უცხო ვარ! გვიანლა არის!... შენა გწერ, თორემ სხვას ამასაც ვერ მოვსწერდი...“

თუმცა ტასოს მისი გულისთქმა არ ესმის, ის ციე და არაფრისმთქმელ წერილებს უგზავნის აკაკის, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა საქმე მოითხოვს.

„ხვალ მივდივარ ისევ საჩხერეს და ვისურვებ, რომ ვინმეს დაეკალებიოს თქვენთვის კიდევ, რომ იძულებული შეიქმნეთ, წერილი მომწეროთ...“

„ოთახიდან ოთახში ძლივს გავდივარ, ისე დამრია ხელი ავადმყოფობამ!... მეტად დანაღვლიანებული ვარ და ერთი თქვენი ნახვა რას არ მერჩია, რომ შემეძლოს!... იწამეთ ღმერთი და მომწერეთ მაინც.“

„აქ თურმე ძალიან მოსაწყენი ადგილია, მაგრამ მე სადაც უნდა ვიყო, ჩემთვის ერთია!... თქვენი წერილი მწყურიან, მაგრამ ჯერ სად არის?...“

ტასო ხანდახან სწერს წერილებს პოეტს, მაგრამ ისინი იმდენად ცივია, რომ აკაკი შეძრწუნებულია ამის გამო. იგი მრავალ ბარათში საყვედურობს ქალს გულგრილობას:

„თუ მართლა არ გეხერხება ჩემთან უბრალო მეგობრული წერილი და „ბატონობით“ უნდა მწეროთ, მაშინ უმჯობესია, თავს აღარ შეიწუხებდეთ და ეს წერილი იყოს უკანასკნელი.“

„მართლა არ ვიცი, როგორ მოგწერო. მე „შენობით“ გწერ შენ კი „ბატონობით“. რას ნიშნავს ეს?“

„თუმცა თქვენთვის ადვილია „ბატონობით“ წერილის წერა, მით უფრო, რომ ეს ამტკიცებს სიშორეს, მაგრამ მე მაინც მიძნელდება „ბრწყინვალობით“ წერა. ეჰ, რა გაეწყობა, ვასრულებ თქვენს ნებას!...“

წლების განმავლობაში უპასუხო სიყვარულისა და აუტანელი გულგრილობის გამო უამრავი ადამიანის გრძნობა გაიცრიცებოდა, მაგრამ დრო ვერაფერს ცვლის. პოეტის გრძნობა ურყევია, მინავლულობა არ ემჩნევა, იტანს და უძლებს ბედისწერის ყველა განაჩენს, ტასო კი მუდმივად ინარჩუნებს ოფიციალურ დამოკიდებულებას პოეტისადმი.

ნაწყვეტები ტასოს წერილებიდან:

„ახლა თქვენი ამბავი მომწერეთ, დასწერდით ახალ რამეს! მეც უნდა შეგაწუხოთ. ასიკომ გამოგიგზავნათ ეს ლექსები და გთხოვათ, რომ გადაუთარგმნოთ. ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ. ამატა ერისთავისა იყო ჩემთან და გთხოვათ, რომ თქვენს შვილს უშოვნოთ სადმე ადგილი. გადმომცა ისიც, რომ არა სწერთ, სად ბრძანდებით, რომ მოგწეროთ წერილი. მოსვლია თქვენი ცოლის და შვილის წერილი და გთხოვენ, რომ დაეხმაროთ...“

„ძვირფასო ბატონო აკაკი! მომივიდა თქვენი შვილის ტელეგრამმა, რომელსაც გიგზავნით...“

„მე წილად მხვდა, ეტყობა, რომ შეგატყობინოთ ხოლმე უსიამოვნო ამბავი. აი, გუშინ მივიღე ეს დეპეშა და გიგზავნით. ეტყობა, ფული მოსდომებიათ თქვენებს, სხვაყრიე ნუ შეგეშინდებათ.

მე გავუგზავნე დეპეშა, რომ ქუთაისში ბრძანდებით და რომ შეგატყობინეთ...“

„ახლა თქვენ კითხვებზე მოგცემთ პასუხს. დათა დგას აქ სასტუმროში...“ და ა.შ.

გადის წლები... აკაკის კი იგივე სასაყვედურო აქვს ტასოსადმი: „დავთრები ამერია და აღარ ვიცი, როგორ მოგწერო წერილი? გულითადი მეგობრული, თუ მეც ისეთი ცივი და საბოდიშო, როგორც შენ: „ბატონობით“, „ბრძანდებობით“, „თქვენობით“ და სხვანი? ეჰ, ვსინჯავ კიდევ ამ ერთსაც „შენობით“, ჩემო ძვირფასო მეგობარო!...“

„გულს ვერ უბრძანებ...“

დრომ ვერაფერი შეცვალა...

სიყვარულის გამხელა ტასომ აკაკის არ აპატია. ისინი ერთმანეთს გაურბიან, უფრო ზუსტად, პოეტი თავს უფლებას არ აძლევს, გამოჩნდეს იქ, სადაც ტასოა.

ახალქალაქში დასასვენებლად მყოფი ლიზა თარხნიშვილი საყვედურობს აკაკის, რომ მის სანახავად არ ჩადის იქ. პოეტი მეგობარ ქალს ატყობინებს: „შენთან ჩამოსვლა როგორ დამზარდება, მაგრამ, მგონი, ტასოც ეპირება წამოსვლას, არ ვიცი, როდის და, ვაი თუ ერთ დროს მოგვიხდეს მოსვლა და ვერიდები. იტყვიან, ტასოს დასდევსო. მართალია, ჩემთვის ეს თავმოსაწონი ქებათა-ქება იქნება, რადგანაც უმაღლესის მიმდევრობა და თაყვანისცემა ადამიანისგან ყოველ რჯულზედაც უდიდესი სარწმუნოებრივი სამსახურია! მაგრამ თვით ტასოს არ იამება ჩემი გამოისობით მისი ხსენება და მეც ვეკრძალვი. და მიტომაც გთხოვ, როცა ის გამობრუნდება შენიდან, შემატყობინე და მერე მეც წამოვალ.“

ლიზა თარხნიშვილმა, პოეტის ყველაზე ახლო მეგობარმა ქალმა, იცის, რომ აკაკი ყოველთვის ერიდება იმის გაკეთებას, რაც ტასოს გულს ატკენს ან გააღიზიანებს, ამიტომ ერთ-ერთ წერილში იგი პოეტს ფრთხილად, ვითომ სხვათაშორის, ატყობინებს ახალქალაქიდან:

„სადა ხართ ამ ჟამად ან სად აპირებთ ამ ზაფხულის გატარებას? მე მაინც იმედს არ ვკარგავ, რომ ერთი დღით მაინც გვეწვევით ახალქალაქში და გაგვახარებთ თქვენის ნახვით... ნიცა აპირებს წამოსვლას, იქნებ... ნიცა და თქვენ ერთად ამოხვიდეთ ჩვენთან. ტასო დარჩა ჯერ თბილისში, სახლების გადასაკეთებლად... მერე მოდის გიორგისთან... და მერე ჩემთან. ასე, ჩემო ბატყონო, გელით უსათუოთ. ნულარ გადადებთ აქ მოსვლას...“

აკაკის სიფრთხილე, თავი არ მოაბეზროს და არ შეაწუხოს საყვარელი ადამიანი, იქამდე მიდის, რომ ზოგჯერ იგი დიდი ხნით უჩინარდება, მეგობრებმა და ახლობლებმა არც კი იციან, სადაა...

„მანდაც რომ ჩამოვიდე, ხშირი ნახვით აღარ შეგაწუხებ... როგორც შენს წერილს შევატყვე, მგონია, თავი მოგაბეზრე წერილებით და მეშინია,“ სწერს პოეტი ტასოს.

აკაკის ხშირი გაუჩინარებით შეწუხებული ლიზა თარხნიშვილი ერთ წერილში საყვედურობს მეგობარს: „სწორეთ ეგრე უნდა, რომ რაც წახვედით, ერთი წერილი არ მომწერეთ. ძალიან გაჯავრებული ვარ, მაგრამ ამ სიშორეთ რას გავაწყობ. სულ სიზმარში მხედავთ და ცხადად კი წერილსაც არ მწერთ...“

მართალია, ტასომ სიკვდილამდე გული არ მოიბრუნა აკაკიზე, მაგრამ ძველ მეგობრობას თავისი კვალი დაუტოვებია... ზოგჯერ მასაც აშფოთებს პოეტის გაუჩინარება, ჯანმრთელობის მდგომარეობა: „რატომ აღარ გვაცნობეთ თქვენი ამბავი, სად იმყოფებით, ან როგორ ბრძანდებით?“ „ძვირფასო ბატონო აკაკი! რა იყო, ისე წაბრძანდით, რომ არ გვნახეთ...“ „რათ მოგვაყარეთ ქოქოლა და აღარას გვაგებინებთ თქვენზე არაფერს...“ მაგრამ ეს ხდება ძალიან იშვიათად... იშვიათად და სიტყვაძუნწად...

ასევე იშვიათად, თუ საშუალება მისცა ტასომ, აკაკი ცდილობს, წერილით მაინც დაამშვიდოს ცხოვრების უკულმართობისგან შეშფოთებული ქალი: „იკარგება დრო და არა ჭეშმარიტება, არ შეიძლება, რომ სიმართლემ ოდესმე თავი არ იჩინოს საზოგადოდ და, კერძოდ, ვანოზე რად უნდა მოშლილიყო ეს მსოფლიო კანონი? მაგრამ ჯერ სად არის? ვანოს სრული ჭეშმარიტება წინ არის და

მომავალში ღირსეულად უნდა მიეგებონ შვილები. აი, ეს არის შენი დანიშნულება, როგორც ქართველ დედისა და ცოლისა და არა წუწუნ-ისტერიკებში: ვის უნახავს საზოგადო მოღვაწე ცხოვრებით დამტკბარი?... სხვებმა რაც უნდა სთქვან, შენ რა ყურადღებას აქცევ იმათ?..."

დრო მკურნალი არ აღმოჩნდა...

ტასო მუდმივად ნერვიულობდა ქმრის გაუჩინარებას, შვილების მდგომარეობას, ხალხის მითქმა-მოთქმას... აკაკიც უფლის ნებას მიენდო და ისე იქცეოდა, რომ ქალი არ გაეღიზიანებინა, დარდი და სანერვიულო არ მიემატებინა...

„თუ გიწამე ჩემდა ხატად!.."

პოეტს არასოდეს საყვედური არ წამოსცდენია ტასო მაჩაბლის საქციელის გამო. პირიქით, ქალისგან უარყოფილი და თვითმკვლელობამდე მისული აკაკი ისევ ორ შვილთან ერთად ვანო მაჩაბლის გარეშე მარტო დარჩენილ ტასოზე ნერვიულობს.

„მწერ, ტასო კიდევ გიჯავრდებაო? ღმერთი, რჯული, რომ... მე მისთვის არა დამეშავებიოს რა! ეჰ, ოღონდ კი ის მეგულებოდეს ბედნიერად მისის შვილებითა და მე, დეე, გენიაც წამეკიდოს!" - სწერს აკაკი ლიზა თარხნიშვილს.

„აქ ყოლიფერი ისე მაბრაზებს, რომ დიდხანს დარჩენა ჩემი არ ვარგა, საწამლავია, მაგრამ რა ვქნა? ორ კვირაზე ადრე ვერ მოვიცვლი ფეხს და რომ აქეთ წერილით, სადაც თქვენი შვილების კარგი ამბები იქნება, ნუგეში მცეთ, დიდად დამავალებთ – მარად თქვენს ერთგულსა და ბედნიერების მონატრეს," - სთხოვს პოეტი ტასოს, - „მე ჩემი თავი არ მენანება. ვწუხვარ მხოლოდ იმას, რომ ვერაფერში გამოგადექი, ვერც შენ და ვერც შენს შვილებს..." „მადლობა ღმერთს, რომ კარგათა ხარ და მე რა საკითხავი ვარ?"

1905 წელს აკაკის მიერ პარიზიდან გამოგზავნილი წერილები ასეთი შინაარსისაა: „აქაურ გაზეთებში მანდაურობაზე დიდი არეულ-

დარეულობა სწერია და შენი წერილი სანამ არ მომივა, რომელსაც გულის ფანცქალით ველი, აბა, რა დამამშვიდებს... სიარული იცი ხოლმე აქეთ-იქით საქმეებზე და დინამიტმა კი მტყუანისა და მართლის გარჩევა არ იცის!...

მომწერეთ წერილი, მადლია!... თუ ღმერთმა არ გამწირა, I ენკენისთვეს უეჭველად წამოვალ მანდეთკენ, მეტი დარჩენა აქ აღარ შემიძლია!!...“

„აღარას დავეძებ, გარდა მეგობრების წერილისა...“

„თქვენმა ჯავრმა ჩემი საკუთარი შეწუხება დამავიწყებია...“

„შენი შემკრთალი ცრემლები გულს მიხვრეტენ“, - მორიდებით ეხმიანება პოეტი ტასოს...

ტყვეობიდან გათავისუფლებული ჯეშმარიტება

წერილებისა და ჩანაწერების უმცირესი ნაწილის გაცნობაც კი ააშკარავებს, რომ აკაკის და ტასოს უდიდესი მეგობრობა ტრაგიკულად დასრულდა სიყვარულის გამხელის შემდეგ. ეს წერილები საზოგადოებისთვის უცნობი იყო. 50 სპეციალურად ამორჩეული ბარათი აკაკის მთელი მიმოწერიდან ვანო მაჩაბლის გაუჩინარების შემდეგ, 900-იანი წლებიდან „აკრძალულ ფონდში“ ინახებოდა. ამას ზოგიერთები კეთილშობილური მიზნებით ხსნიან, მაგრამ, ჩანს, შენახვისას წერილებში გააზრებულად არავინ ჩაიხედა, თუ რა ეწერა შიგ, ანდა, პირიქით, სწორედაც რომ გააზრებულად გადაიმალა ისინი...

გავიდა ასი წელი და ფონდიც გაიხსნა.

„ტყვეობიდან“ გათავისუფლებულმა წერილებმა ბევრ საკითხს მოჰფინა ნათელი... და პირველ რიგში, იმას, რომ ვანო მაჩაბლის გაუჩინარებამდე ამ სიყვარულის შესახებ, თვით აკაკის გარდა, არავინ არაფერი იცოდა და, ამდენად, იგი ვერც მიზეზი იქნებოდა ვანოს დაკარგვისა...

ეს აზრი უფრო განმტკიცდება, თუ აკაკის შემოქმედებას დაკვირვებული თვალით გადავხედავთ.

1898 წლამდე, ანუ ვანო მაჩაბლის გაუჩინარებამდე, პოეზიაშიც არ გამჟღავნებულა, თუნდაც შეფარვით, პოეტის ტასოსადმი ტრფიალება.

აკაკის სულ რამდენიმე ლექსი აქვს მიძღვნილი ტასო მაჩაბლისადმი. ესენია: „ტ. ბაგრატიონის ალბომში," „ტასო მაჩაბლისას (წარწერა წიგნზე)" და „ტ...ს".

პირველი ლექსი დაწერილია 1891 წლამდე, ტასოს ქალიშვილობაში და დიდაქტიკური ხასიათისაა, მეორე 1904 წლით თარიღდება, ხოლო მესამე – 1911 წლით.

აკაკის შემოქმედებაში არის კიდევ ლექსები, რომელთა ადრესატიც, სავარაუდოდ, ტასო მაჩაბელი შეიძლება იყოს, მაგრამ ყველა ეს ლექსი შექმნილია 900-იანი წლების შემდეგ. ბოლო დროს ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ლექსის - „ჩემს მეგობარს" („დამატკბო შენმა წერილმა") და „N-ს" („ის აღარ ვარ, რაც ვიყავი") -- ადრესატიც ტასო ბაგრატიონ-მაჩაბელია. მაგრამ ეს ლექსებიც 1905-1907 წლებშია დაწერილი...

ეს არ არის უბრალო და შემთხვევითი ფაქტი.

ჩანს, აკაკი ზომაზე მეტი სიფრთხილით ეკიდებოდა ამ საკითხს და გასაქანს არ აძლევდა პოეტურ შთაგონებას.

წერდა ხანდახან...

მაგრამ ყველა ლექსი, რომელიც ტასოს ეძღვნება, უნაზესი, უსათუთესი, რომანტიკულ-ამაღლებული პოეზიის ნიმუშია.

პოეტი ამ თემას ეკრძალვოდა.

ტასოსადმი ტრფიალება მის გულში დამარხული ერთადერთი საიდუმლო იყო, ხოლო თვით აკაკი ამ საიდუმლოს ოცწლიანი ტყვე...

„თუ არ სიკვდილით... სიცოცხლით ვერვინ შემიშლის ბოდვასა და გამოვიტან საქვეყნოდ დაფარულს მადლს და ცოდვასა"-ო, აკაკის ცხოვრების ეს წესი, ავ-კარგის საქვეყნოდ გამოაშკარავების კანონი, მხოლოდ ტასოსთან მიმართებაში ირღვეოდა.

ტასოსადმი სიყვარული აკაკის არანაირი ფორმით არ გაუმჟღავნებია...

წერილების „აკრძალულ ფონდში“ გადამალვის მიზეზი უფრო სხვა უნდა ყოფილიყო...

„ისტორიის განაჩენი“

900-იანი წლებიდან შეგნებულად და მიზანმიმართულად ხდებოდა „ლაფის შესხმა“ ისეთ მოღვაწეებზე, როგორებიც ილია, აკაკი და სხვები იყვნენ. მზადდებოდა ნიადაგი ქართული სულის გასანადგურებლად... ვრცელდებოდა სულელური „მითები“ ილიაზე, როგორც მკაცრ მებატონეზე, მის წყაროზე ჩასული გლეხების დამსხვრეულ კოკებზე და უამრავი სხვა ბინძური ჭორი და შედეგიც – წიწამურის ტრაგედია იყო.

ვერც აკაკი გადაურჩა ცილისმწამებელთა შეტევებს. ამის დასტურად სულ რამდენიმე მაგალითიც კმარა.

1903 წელს ჟურნალი „კვალი“ (48) ბეჭდავს ყვირილელის (ირაკლი წერეთლის) წერილს „აკაკანებული მამულიშვილები“, რომელიც მიმართულია 60-იანი წლების მოღვაწეების შეხედულებათა წინააღმდეგ; 1905 წელს ჟურნალი „მოგზაური“ (№33) აქვეყნებს წერილს სოფელ კორბოულიდან ლეონის ფსევდონიმით, რომელშიც აკაკის ადანაშაულებენ გლეხისთვის სანადელო მიწის გაყიდვაში.

აკაკი დუმილს არჩევს.

„მოგზაური“ (49) კი დაჟინებით ამ საკითხს აცივდება. №33-ის „შინაურ მიმოხილვაში“ იგი წერს: „სამწუხაროდ ბ-ნ აკაკიმ დღემდის პასუხი არ გვაღირსა... ნადელის გაყიდვა ქართველ მემამულეებისგან რომ იშვიათი მოვლენა არ არის, ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით, მაგრამ თუ ამას საქართველოს დიდებული მგოსანი ჩაიდენდა, ეს ჩვენ არ გვეგონა...“

აკაკი

აკაკი იძულებული გახდა, ეპასუხა ჟურნალ „მოგზაურისთვის“ „ივერიაში“ (50), 1913 წელს კი გაზეთ „დილაში“ (51) აკაკი გულდაწყვეტილი წერდა: „ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც გადაკიდებულნი უაზროსა და უნიჭოს მეძახდენ... ვინ იცის, რას არ ავრცელებდენ ჩემზე?... რაიდა თავისი მტრობა არ გაუვიდათ და იძულებული გახდენ, გადაეთქვათ ჩემი მწერლობაში უნიჭობა, სამაგიეროდ ჰსურთ, რომ ყოველივე ადამიანური ღირსება ამხადონ და მით გაიმართლონ თავი“. აკაკის წერილს გაზეთი ასეთ შენიშვნას უკეთებს: „ახლანდელი დევნა აკაკისა გაგრძელებაა „ივერიელთა“ დევნისაო.“

ბოლო დროს ჩვენს მიერ მიკვლეული აკაკის უცნობი წერილები პირდაპირი პასუხია ბევრ ცილისწამებაზე: „ბევრი რამე თქმულა ჩემზე, ბევრსაც ამბობენ, მაგრამ მე ყურადღებასაც არ ვაქცევ იმ ნათქვამებს და მიტომ კი არა, რომ სიმართლე იყოს და ვეთანხმებოდე!... მე მხოლოდ მეუკადრისება, რომ მათთვის მოვიცალო საპასუხოდ...“ „თუ რადა მყავს მტრები და მაგინებლები, ეს ადვილი დასამტკიცებელია... ამას საზოგადო სარჩული უძევს და მიტომაც ხმას ვიკმედავ...“ „თუ მე ხმას არ ვიღებ და ფარდას არ ვხდი სიმართლეს, მაქვს ამისი მიზეზი...“

ამ მიზეზებზე და კითხვებზე პასუხს კი აკაკის ლექსი „საქართველოს დღევანდელი სახე“ იძლევა, მის ერთ-ერთ ავტოგრაფულ ვარიანტში ორი ასეთი სტროფია:

„აქაც მოვცდი, ვერც იქ მივწვდი,
გავხიდურდი ორთა შუა,
და საყეფად ძაღლებს დარჩა
ჩემი გრძნობა!... ჩემი ჭკუა!...
რაღა მეთქმის, მადლობა ღმერთს,
უნდა ყველა ავიტანო,
რომ მეც ისე არ დამღეჭონ,
როგორც დიმიტრი და ვანო.“

ამ სიტყვებს ახსნა-განმარტებაც კი აღარ სჭირდება...

მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ერთი შეხედვით, ლექსის, თითქოს, უმნიშვნელო დეტალი ფარდას ხდის ვანო მაჩაბლის გაქრობის მთელ საიდუმლოს. ბოლო ფრაზებით გასაგები ხდება აკაკის დამოკიდებულება ვანოს გაუჩინარების ფაქტთან. პოეტი დიმიტრი ყიფიანის გვერდით აყენებს ვანო მაჩაბელს, რაც იმას მოწმობს, რომ იგი სამშობლოს მსხვერპლად, ზვარაკადაა გამოცხადებული...

დიმიტრი ყიფიანთან პარალელი სწორედ ამას ნიშნავს. მოგვიანებით ამავე ხერხს მიმართა გიორგი ლეონიძემ შემოქმედების ადრინდელ წლებში (1912) დაწერილ ლექსში. მისი სათაურია „ორი მსხვერპლი" (ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ყიფიანი)...

აკაკი კარგად გრძნობდა საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მისდამი მტრულ დამოკიდებულებას. ამიტომ, ვფიქრობთ, სწორედ მათ აძლევდათ ხელს მგოსნის ზოგიერთი პირადი წერილის გადამალვა, რომ პოეტის გასამართლებელი საბუთები გამქრალიყო და ვანო მაჩაბლის ტრაგედია სწორედ აკაკის დაბრალებოდა...

უფრო დიდი სასჯელი რა შეიძლებოდა მოენახათ მისთვის!

ეს ხომ სიკვდილზე მეტიც იყო!

1908 წელს გრიგოლ რობაქიძე წერდა: „ქართველობის მებრძოლი სული აკაკის ბუნებაში განსახიერდა, ხოლო ამისთვის მისი პიროვნება ქართველთა სახის მსხვერპლად იქცა. აქ არის ჩამარხული საიდუმლოება აკაკის პიროვნებისა და მის შემოქმედებისა... ამ საიდუმლოებას მხოლოდ მომავალი გახსნის...

ეხლა კი უნდა ითქვას: შესწყვიტონ ლაპარაკი აკაკის პიროვნების შესახებ „თავისუფლად" მსაჯულებმა, თორემ ისტორია მათ უფრო გასაჯავს"...

და ისტორიის განაჩენი ასრულდა.

ჭეშმარიტება ტყვეობაში ერთი საუკუნე იმყოფებოდა.

დადგა დრო და „აკრძალული ფონდის" მასალების გამომზეურებამ, აკი, „გასაჯა" კიდეც „ისინი"...

ახდენილი წინათგრძნობა

ბედისგან ღვთიური ნიჭით განებივრებული პოეტი, რომელსაც „ღმერთებმა მიაფრქვიეს“ „სწორუპოვარი სილამაზე, გვაროვნობა, სიმდიდრე,“ იმავე ბედისგან საშინლად დაჩაგრული იყო პირად ცხოვრებაში. მან თავისი ერთადერთი, მარადიული, თავზარდამცემი, უპასუხო სიყვარული საფლავში ჩაიტანა. აკაკიმ სატრფოს ნახვისა და მასთან საუბრის უფლებაც კი დაკარგა სიყვარულის გამხელის შემდეგ.

საოცარია, მაგრამ შემოქმედების გარიჟრაჟზევე, როცა მის გულში ტასოს სახსენებელიც კი არ არსებობდა, პოეტი გრძნობდა, რომ ბედისწერა რაღაც ავს უმზადებდა... ასეთი ადამიანები ხომ დროს უსწრებენ და მოვლენებს წინასწარ ჭვრეტენ. აბა, რას უნდა ნიშნავდეს ჯერ კიდევ 60-70-იან წლებში ჭაბუკი პოეტის სიტყვები: „სწორედ ასეა! ეს უფრო მჯერა! მოჩვენება ხარ სწორედ ნამდვილი! ვგრძნობდი ბედისგან ასე მეწერა, ყვავილოვანთ წელთ ტანჯვით სიკვდილი!“ ან „მართლაც თუ აქვს ჩემგან წყენა, არ კმარა ეს ჭირთა ჩენა? ნუთუ ცოდვას ვერ განბანდა ესოდენი ცრემლთა დენა?“ ანდა „მომმადლე ხოლმე შენს შემვედრეს მცირე ღიმილი,“ „მე ბედგამწყრალი უნუგეშოდ რად დავიბადე?“ ან კიდევ „ჩემო თავი ბედი არ გიწერია, რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია,“ „რა იციან, რომ ეს გული მკვდარია, რომ სიცილი ბევრჯელ ცრემლზე მწარია“-ო!...

„სიყვარულის ბედისწერა ეს-ეს გასრულდა“...

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი
„ფსიქობიოგრაფია“
და
საბედისწერო სიყვარულის ისტორია



ალექსანდრე ყაზბეგი

„ცრემლი მიგყვება საგძლადა“

1893 წლის 10 დეკემბრის ცივ, ნაცრისფერ და სუსხიან დღეს გარდაიცვალა ალექსანდრე ყაზბეგი. ქართველი საზოგადოება გააოგნა მისმა უდროო და უცნაურმა სიკვდილმა.

„გარდაიცვალა! მაგრამ ვინ მოიგონა ეს სიტყვა? უკვდავთან სიკვდილს რა ხელი აქვს? ორჯერ დაბადებულს, ღვთიურის მადლით ცხებულს, ერთი სიკვდილი ვერას უზამს. ყაზბეგი კი მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას. დაიბადა ისე, რომ მისი აკვანი ყოველის ქართველის გულში ირწეოდა, ასეთ აკვანში გამოზრდილს ადამიანს კი სიკვდილი ხელს ვერ შეახებს.“ წერდა „ივერიაში“ თავისი სიტყვების ჭეშმარიტებაში მყარად დარწმუნებული ილია (1).

მწერლის სიკვდილით გაოგნებულმა ვაჟამ გრძნობები ისევ ლექსად გადმოაფრქვია:

„შვილო, ტანჯულის ქვეყნისავ,
სული დაჰლიე ტანჯვითა...
მიუხვალ მამა-პაპათა
ამოღებულის ხანჯრითა,
ცრემლად დამდნარის გულითა,
დაღლილი მტრისა ჯავრითა...
ჯავრი ტანს ნაბდად გეხვევა,
ცრემლი მიგყვება საგძლადა
და ტრფობა შენის ქვეყნისა
უქმს და ხელუყრელს აბჯრადა.
თავს დგმული ეკლის გვირგვინი
ფერხთწინ დაუგდე გმირებსა,

ვაჟა-ფშაველა

მამულისათვის გამწყდართა
იმ საქართველოს შვილებსა.
ცოცხლად იმედით მცხოვრებო,
გთხოვ, იმათაც სცე ნუგეში:
პირობა ქართველებისა,
ვგონებ, მიგყვება უბეში!
უჩვენე შენი კალამი,
ნაწები სისხლის გუბეში!“ (2)

ხოლო აკაკი, შეძრწუნებული მწერლის როგორც სიკვდილით, ისე მისი მთლიანი ცხოვრებით, წერდა: „გული მიღონდება უდროოდ მიცვალებულის კუბოს რომ ვხედავ... სათქმელიც ბევრი მაქვს, მაგრამ ლამის ენა დამებას!... და ამის მიზეზი უფრო სიცოცხლეა განსვენებულისა, ვიდრე სიკვდილი, ის სიცოცხლე, რომელიც სიკვდილზე ბევრად უფრო მწარე იყო...“ (3)

სიკვდილი თავისთავად საშინელებაა (თუმცა დაბადების თანმდევი და სიცოცხლის ბოლო ნავსაყუდარი), მაგრამ რატომ იყო ქართული საზოგადოება ასე შეძრწუნებული და დარცხვენილი ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებით? ამ კითხვის პასუხს იძლევა 1893 წლის „კვალი“:

„ასეთი ნიჭი დაგვებადა, ასეთი კაცი დადიოდა ჩვენს შორის და ჩვენ იგი ვერ ვიცანით, მას არც ჩვენ მიერ თანაგრძნობა ჰქონია და არც განკითხვა“ (4).

ამ კითხვასვე პასუხობს აკაკიც, რომელმაც მწერლის გარდაცვალებით გამოწვეულ პირველ სევდიან პწკარებს შემდეგში უფრო ტკივილიანი სტრიქონები მოაყოლა: „ჩვენი საზოგადოება ცოტა პირშავად არის მასთან: მაშინ, როდესაც მისი ნაწერები ათასობით იყიდებოდა და, როგორც მწყურვალი წყაროს, ისე ეწაფებოდნენ მის ნაწერებს, ის სამხედრო ჰოსპიტალში იწვა ავადმყოფი, დიდ გაჭირვებაში. სიკვდილის შემდეგ კი შეინანა საზოგადოებამ, მის კუბოს მზე და მთვარეც დაახალეს, მაგრამ რაღა დროს? მისი სიკვდილიც კი უცნაური იყო. ერთხელ

ვარანცოვის ძეგლთან ვიდექ მე და შევნიშნე, რომ საზოგადოება მუშტაიდისკენ მიესწრაფებოდა, ეკიპაჟი ეკიპაჟზე იყო გაბმული და მიაქანებდნენ. იქ თურმე წარმოდგენა იყო: ვირი აჰყავდათ მაღლა აეროსტატით!... სწორედ ამ დროს მოვიდა ჩემთან დანაღვლიანებული ზაქარია ჭიჭინაძე და ნაღვლიანად თავის ქნევით დამეკითხა: სად მიდის ეს ქართველი საზოგადოება სასეირნოდო? სულ ნახევარი საათი არ იქნება, რაც ჰოსპიტალში ყაზბეგი გარდაიცვალა და მეც იქიდან მოვდივარო!...“(5)

ეს სიტყვები ნამდვილად გამოხატავს იმ ზოგად დაუფასებლობას, რომელიც სიცოცხლეში წყევლასავით თან სდევდა მწერალს.

„კაცი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“

მწერლის აღსარებები

„საკვირველს ბედზედა ვარ გაჩენილი, ღმერთმან იცოდეს!“ - წერს ალექსანდრე ყაზბეგი პუბლიცისტურ წერილში „ბ. რედაქტორო“, - „არ ვიცი, რა ვარსკვლავი მიშუქებდა ამ დღეს, რომელი იმ ღმერთთაგანი თანაგრძნობისა და რომელი უთანაგრძნობობის სხივითა ჰფენამდა ჩემს მომავალს. სადაც რა უნდა მოხდეს, სადაც რა რიგს უკუღმართობაზედ უნდა დატრიალდეს ვისმე ბედის ჩალხი..., - უეჭველად მე შიგ ჩარეული უნდა შევიქნა!... უეჭველად უნდა აღიჭურვნენ ჩემს წინააღმდეგ სხვადასხვა ხარისხის და ღირსების გმირნი, ჩემზედ უნდა სცადონ თავიანთი ჭკუამახვილობის მჭრელობა, თავიანთი ხუმარმასხრობის ფხიანობა და ყველა მათგანი სცდილობს, უეჭველს თავის მოვალეობად ხადის, ცოცხალივე მიწაში ჩამფლას, თუნდა თავის მოქმედების მიზეზად საბუთიც კი არა ჰქონდეს!... ღმერთმანი, არ ვიცი, რა დავარქვა და ამისთვის სახელის გამორჩევა თითონ მკითხველისთვის მიმინდვია...“ (6)

მართლაც, საკვირველ ბედზე იყო გაჩენილი მწერალი. მეფისწულივით გაზრდილს, დიდი ქონების პატრონს ხელში არაფერი შერჩა. ხელნაწერთა ინსტიტუტის ალექსანდრე ყაზბეგის ფონდში ინახება უამრავი საბუთი იმის დასტურად, თუ რა ქონების მფლობელი იყო იგი. მაგალითისთვის სულ რამდენიმეს დასახელებაც კმარა:

„ვლადიკავკაზის საცხენოსნო პოლკის ასეულის მეთაურის მიმართვა ალექსანდრე ყაზბეგისადმი, რომლითაც სთხოვს ყაზბეგს, ნება დართოს, ისარგებლონ მისი საძოვრებით“ (7).

„ჰოსპიტლების საოლქო სამმართველოს ინსპექტორის მიმართვა ვლადიკავკაზის სამხედრო ჰოსპიტალისადმი, გადაუხადონ ალექსანდრე ყაზბეგს ჰოსპიტალისათვის დათმობილი ბინის ქირა“ (8).

„თბილისის ვიცე-გუბერნატორის მიერ გაცემული მოწმობა ელისაბედ და ალექსანდრე ყაზბეგების სახელზე, რომლითაც უფლება ეძლევათ, გახსნან თბილისში, მიხეილის ხიდთან ტიპოგრაფია“ (9).

„ალექსანდრე ყაზბეგის სახელზე გაცემული სამგზავრო მოწმობა ცხენებითა და გამყოლით მისი უზრუნველყოფის შესახებ“ (10).

„ალექსანდრე ყაზბეგის პირობის წერილი, დადებული ტარიელ მუყაშოვთან დუქნის მიქირავების შესახებ“ (11).

„ალექსანდრე ყაზბეგის ხელშეკრულება, დადებული სოლომონ ჩიშმარიტოვთან მისი კუთვნილი მამულის იჯარით გაცემის შესახებ (12).

„დიმიტრი ბაშმაკოვისა და დანიელ ჩულკოვის ხელშეკრულებები, დადებული ალექსანდრე ყაზბეგთან ვლადიკავკაზიდან სოფ. კობამდე ტვირთის გადატანის შესახებ“ (13) და ა.შ.

პრაქტიკული ჭკუისგან სრულიად გათავისუფლებულმა მწერალმა მამისეული ქონება დაარიგა, მცირედიც კი ვერ შეინარჩუნა (ბუნებრივია) და ღამის გათენება მას ხან „დროების“ რედაქციაში უხდებოდა, ხან სასტუმროში და ხან – სხვაგან.

მაგრამ უბედურება ისაა, რომ ალექსანდრე ყაზბეგი არა მარტო პირად ცხოვრებაში, არამედ შემოქმედებაშიც საკვირველ ბედზე იყო გაჩენილი.

ქართული (და არა მარტო ქართული) ლიტერატურის შედევრი „ელგუჯა“ დაუწუნეს. ამის გამო გულდაწყვეტილი მწერალი იონა მეუნარგიას სწერდა: „დაუვიწყარს პოეტს, თავად გრიგოლ ორბელიანს მოეწონა მოთხრობა „ელგუჯა“ იმ დროს, როდესაც თქვენ, ბ. მეუნარგია, საამხანაგოთ მრავალთა თქვენისთანეებთა, მტარვალად მდევნიდით და დღემდის ცდილობთ, გამაძეოთ ყოველის საქმითგან, რისთვისაც კი ხელი მომიკიდნია... ...გესმით და ჰგრძნობთ ამ სიტყვებს? არა, არ გესმით, ბ-ნო მეუნარგიავ, თორემ თავს აღარ მომაბეზრებდით თქვენის უცნაურის კითხვებით.“

ნაწარმოების დაწუნება არაფერია იმასთან, რა საშინელებაც მწერალს შეემთხვა. ზოგიერთები შემოქმედებას საერთოდ ართმევდნენ, ყველა თხზულებას დიმიტრი ყაზბეგს მიაწერდნენ, მას კი დიმიტრის არქივის ქურდობაზე ცილს სწამებდნენ. ამ ფაქტმაც საკმარისად შეიწირა შემოქმედებისთვის განკუთვნილი მწერლის ძალა და ენერგია. ალბათ, ესეც გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმ უბედურებისა, რითაც დაასრულა ალექსანდრე ყაზბეგმა სიცოცხლე.

იმედგაცრუება

მისი „საკვირველ ბედზე გაჩენილობა“ შემოქმედების სხვა სფეროშიც გამოვლინდა. 1874 წელს ალექსანდრე ყაზბეგმა 21 პიესა წარუდგინა ქართულ თეატრს, მაგრამ პასუხად მხოლოდ დაცინვა მიიღო. ეს ფაქტი დღესაც გაკვირვებას იწვევს მკვლევართა შორის.

პიესების დაწუნების შემდეგ მწერლის რეაქცია ასეთი იყო:

„მე მოვდიოდი მათკენ იმ აღტაცებით და რწმუნებით, იმ

გრძნობით მათდამი, როგორითაც მიდის რწმუნებით გამსჭვალული თავის წმიდა და შეუგინებელს სალოცველთან. ყოველი კაცი უბიწოდ და შეუგინებლად მიმაჩნდა, ვინც კი ჩვენს ლიტერატურაში კალამს ხელსა ჰკიდებდა. ახლა წარმოიდგინე, მკითხველო, რა შთაბეჭდილება უნდა ექონია ჩემზედ მათ საქციელს?...

მე ველარ ვბედავდი ჩემს შრომაზედ ლაპარაკს, მეტად დამჩაგრა ხსენებული საზოგადოების საერთო გულგრილობამ და კაცობრიულის გრძნობის უქონლობამ.

ნათქვამია: მტყუანს სიმტყუვნის კარამდის მიჰყევიო", და მე კი კარამდის კი არა, ერთი ნაბიჯიც არავინ გამომყვა და ყველამ ამჯობინა დივანზედ მოსვენებული დარჩენილიყო და ჩემი მტყუანობა იქიდან გამოეცხადებინა. ეს უფრო მოსვენებულადაც ეჩვენებოდათ და უფრო შეუწუხებლადაც."

„მე დავდიოდი გიუსავით, რადგანაც კაცი ვერ მეპოვა, რომლისთვისაც სიტყვა მენდო, რადგანაც მეშინოდა შეუწყალებელის სიცილისგან, რომელსაც შეეძლო სრულს დამარცხებამდის მივეყვანე და პირველსავე მოძრაობაზედ ფრთები საუკუნოდ მოეკვეცათ."

„დავდიოდი ჩემს დედაქალაქში, ჩემს მოძმეთ შორის, ჩემს საყვარელთ შორის, რომელთაც ელტვოდა, ისე განუსაზღვრელად ეახლოებოდა მთელი ჩემი არსება და ამ ყოველს ჩემთა შორის დავდიოდი მარტო, განცალკევებული, როგორც გზადაკარგული უდაბნოსა შინა!"

„აი, ამ მდგომარეობაში ჩამაგდო ჩვენმა მოწინავე რაზმმა, რომელსაც არც კი ესმოდა, რომ ხალხის გაცნობა მხოლოდ ხალხში შეიძლება და არა რბილს კუშეტკებზედ და სათამაშო ქაღალდისთვის მოწყობილს სტოლებზედ" (14).

მოგონილი „შეურყევლობა"

ნებისმიერი ადამიანის ასეთი რეაქცია სრულიად ბუნებრივია მარცხის შემთხვევაში. მაგრამ მწერალს ფსიქოლოგიური სიმყარე

და მდგრადობა საერთოდ აკლდა, რაც კარგად ჩანს მისი სხვა აღსარებებიდან. თუმცა, თვით ალექსანდრე ყაზბეგი ასე არ ფიქრობს, პირიქით, როგორც ის „ავტობიოგრაფიულ ცნობებში“ წერს, თავი ძლიერ ადამიანად მიაჩნია. მოვუსმინოთ ისევ მწერალს:

„უკეთუ რომელიმე განზრახვის აღსრულებაში სხვადასხვა დაბრკოლება შემხვდა, თითქოს ამითი ძალა უფრო მემატება და ყოველთვის უფრო მომეტებულის ენერგიით მივიბრძვი ერთხელ ნიშნად ამორჩეულ საგნისკენ. და ეს არის მიზეზი, რომ ჩემზედ გამოლაშქრებულებს გაოცებით ხელებს გააშლევინებს ხოლმე ჩემი შეურყეველობა“ (15).

შინაგან მდგრადობაზე და სიძლიერეზე საუბარი – ეს მხოლოდ სიტყვებია. ყაზბეგს გადაჭარბებულად სათუთი ფსიქიკა აქვს. ის ზემგრძნობი ადამიანია. აბა, სხვას რას უნდა ნიშნავდეს განცდები, რომელიც ჰქონდა მწერალს ისეთ ყოველდღიურ და სტანდარტულ სიტუაციაში, როგორიც მისი პიესების განხილვაა. ქართულმა დასმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა მწერლის პიესის „ერთი უბედურთაგანის“ დადგმა მსახიობ მაკა საფაროვა-აბაშიძის მონაწილეობით.

მოვუსმინოთ ისევ ალექსანდრე ყაზბეგს და ისე გავაკეთოთ დასკვნა მის „შეურყეველობაზე“:

„დაიწყეს მისი (პიესის – ე.ზ.) კითხვა და გარჩევა, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რასა შვრებოდნენ?! მისი აღწერა და გადმოცემა ყოვლად შეუძლებელია კალმით. მე არა მგონია, რომ ისტორიაში აღმოჩნდეს ისეთი ჯალათი, რომელიც თავის მსხვერპლს ისე უღმერთოდ, შეუბრალებლად და მკაცრად მოჰქცეოდეს, როგორც ეს განათლების მოსამსახურენი მე მომექცნენ.“

დილის რვიდან ღამის პირველ საათამდე ერთი მოქმედება განიხილეს. „რჩებოდა კიდევ ოთხი მოქმედება, ოთხჯერ წამება შეუბრალებელის უგულო ხალხისგან.“

რეცენზენტებმა მეორე მოქმედება პიესიდან ამოაგდეს.

„იქამდის მიმიყვანეს თავიანთის ახირებით და გამოკიდებით, რომ მათთან ლაპარაკიც აღარ მინდოდა და მსხვერპლად მივეც მშობელმა ჩემი ნაშობი ოღონდაც კი ჩქარა, როგორც იყო მალე

გათავებულიყო ამგვარი წამება.“

მწერლის ჩვეულებრივი ცხოვრებაც კი უცნაური იყო. მართლაცდა, დილის რვიდან ღამის პირველ საათამდე პიესის ერთი მოქმედების განხილვა ყოვლად საკვირველი მოვლენაა და მწერლის რეაქციაც ამ შემთხვევაში ადექვატური იყო. წარუმატებლობის პერიოდის ასეთი განცდები მკითხველის გაკვირვებას არ იწვევს. საკვირველი სხვა რამაა.

წარმატების დეპრესია

მწერალი მარცხსაც და წარმატებასაც ერთნაირი ემოციით ხვდება. ის გამარჯვების დროსაც დათრგუნული, შეძრწუნებული და მარტოსულია. არსებობს ალექსანდრე ყაზბეგის მოგონება, თუ რას განიცდიდა იგი სპექტაკლ „ერთი უბედურთაგანის“ დამთავრების შემდეგ, რომლის პრემიერამაც დიდი წარმატებით ჩაიარა, შეიძლება ითქვას, ტრიუმფითაც კი:

„მე ჯერ კიდევ კულისებს უკან ვიდეგ და ანგარიში ვერ მიმეცა ჩემი თავისთვის, როდესაც ერთბაშად გამოვეხიზლდი სცენის მოსამსახურეების ბრახა-ბრუხზედ.

მივიხედ-მოვიხედე და სუყველაფერი გამოცვლილად მეჩვენა. სცენა არეული, სიჩუმის მაგიერად მოსამსახურეების ბრახა-ბრუხი და ხმაურობა და მათ შორის მარტოკა, სრულიად ობლად, დარჩენილი ვიდექი მე. ერთი კაცი არ იდგა ჩემს გვერდით, ერთისგან არ გამიგონია თანაგრძნობის სიტყვა! მათაც კი დავავიწყდი, ვინც ამაღამდელის ღამის შემოსავალს რაოდენიმე შემწეობა გაუწია ჩემმა შრომამ.

გულს რაღაცამ მოუჭირა, ვიგრძენ ჩემი სიმარტოე და ამოოხვრასთან ერთად გავწიე შინისკენ.

მე მივდიოდი, მაგრამ გართული ფიქრით. თავს ანგარიშს ვერ

ვაძლევდი. ამგვარს შემთხვევებში, როდესაც კაცი რომელსამე ასპარეზზედ გამოდის, მას მხარს უჭერენ კაცობრიობის გულისთვის მაინც არის მისი კოლეგები, გამარჯვებულს ულოცავენ, დამარცხებულს ნუგეშს აძლევენ. სიტყვით იმ დროს გულს სწორი, ტოლი თანაგრძნობის სიტყვა ეჭირვება, ეჭირვება ისე, როგორც აგზნებულს ცეცხლს ჩასაქრობად წყალი და მე კი, მე მარტოდ დარჩენილი, დაობლებული, ჩემსავე ქვეყანაში გამხმარს ხესავით ვიდეგ. ნიავიც კი გამჯიბრებოდა და აღარ მოძრაობდა, გული იწკლიტებოდა და იწურებოდა, სული მიიბრძოდა, მაგრამ საითკენ, ვისკენ?... კაცი არ იყო, რომ მას დაესახელებინა. მე ვიწოდი ჩემსავე ქვეყანაში ასე უპატრონოდ, ბაითალმანად დარჩენილი. ვიწვებოდი ჩემის მდგომარეობისაგან და ვიწვებოდი ჩემი მოძმე ხალხის მაგიერ."

„მთელი ღამე ამ წარმოდგენის შემდეგ გავატარე მოუსვენლობაში. დამეძინა გათენებისას და ისიც ერთს თუ ორ საათს" (16).

რას უჩივის ალექსანდრე ყაზბეგი ამ აღსარებაში? ადამიანთა გულგრილობას. ის მწარედ განიცდის ყველა ეპოქის ამ საშინელ სენს და ადამიანებისგან ყურადღებას მოითხოვს. ამიტომაც წერდა მწერალი, უბედურისათვის თანამგრძნობელის ფასი არა არის რაო, ანდა „გმადლობთ თქვენც მოგონებისათვის იმ კაცისა, ვინც გამოცდილია აწმყო დროის დედინაცვლობას და, მაშასადამე, ძვირად აფასებს მცნობთაგან დახსომებას" (წერილი დისადმი).

მწერლის აღსარებები ადასტურებს, რომ მას არ შეუძლია მოვლენებს თამამად და რეალურად შეხედოს, გაჭირვებას მყარად შეხვდეს... ის ავადმყოფურად განიცდის ყველანაირ ურთიერთობას თავის გარშემო. მწერალი ყოველ სიტყვას თავისი ნაწერისას გულზე და ნერვებზე ატარებს. ამიტომ ვერ იტანს უსამართლო კრიტიკას, ფიქრობს, რომ სხვები ნაწერს ვერ გრძნობენ, ვერ სწვდებიან აზრს სიღრმემდე...

საზოგადოებისგან განდეგილი

„მწერთ და მწერთ!... რითი ვერ შეიტყვეთ, რომ გამოგექცით და აღარაფერი აღარ მინდა ვიცოდე თქვენზე“...

ერთი პირადი წერილიდან (17).

ალექსანდრე ყაზბეგი თავისი ხასიათის გამო მეტწილად მარტო, განცალკევებულად ცხოვრობდა და დროს ხშირად ხეტიალში კლავდა. მწერალი ალექსანდრე ხახანაშვილს სწერს: „მომიტევეთ, რომ დღევანდლამდის დაგიგვიანეთ პასუხი. მაგრამ თქვენი წერილიც მხოლოდ გუშინ მივიღე, რადგანაც, ჩემის ჩვეულებისამებრ, ინდოურსავით დავყიალებდი აქა-იქ...“

როგორც აკაკი იგონებს, მას რაღაც ახირება წამოუელიდა ხოლმე. ერთხელ „შემომტირა სანდროს დედამ: არ გებრალები, რომ ის ჩემი სანდროა და რაღაცა ემართება, თვითონაც არა გაეგება რაო. ეს ერთი თვეა, ოთახიდან აღარ გამოდის, არც ვისმეს იკარებს და არც თვითონ ეკარებაო. მამის სიკვდილის შემდეგ ადგილ-მამული გლეხებს დაურიგა და გამაღარიბა და ახლა არის მაგრეო! – მე მაშინვე მის სანახავად გავსწიე. მისი ოთახის კარები რომ გამოვაღე, მისთანა კომლი იდგა თუთუნის, რომ დიდხანს ველარა გავარჩიე-რა. ის ჩამომჯდარიყო ქვეშაგებში პერანგის ამარა, წამოეხურა საბანი და რაღაცას სწერდა.“

აკაკიმ იგი თეატრში გადაიყვანა. იქ ცოტა გამობრუნდა, რეალურ ცხოვრებას დაუბრუნდა. პოეტი იგონებს: „მსახიობებში რომ გაერია და საქმე გაუჩნდა, დღეს-ხვალიობით გამობრუნდა და ძვირად მოუვლიდა ხოლმე ახირებულობა. მისი არათუ ახირებულობა, ყოველგვარი მოქმედებაც, რაღაც ბავშვური იყო და ვისთვისაც უნდა ეწყენინებინა, გულში არავის ჩარჩებოდა.“

შემოქმედებითი წვით გართულს, სულ არ ანაღვლებდა წვრილმანი საყოფაცხოვრებო პრობლემები. „დროების“ რედაქციაში

თავშეფარებულ ალექსანდრე ყაზბეგს ხშირად საჭმელი არ ჰქონდა, მაგრამ „ეს იმას არ აწუხებდა. ბევრსა სჭამდა თუ ცოტას, მისთვის სულ ერთი იყო!... არ დაეძებდა!“ - წერს აკაკი.

უცნაური გარდაცვალება

ყველა ეს მოგონება თუ თავად მწერლის აღსარებებიც გასაგებს ხდის, თუ როგორ ლაკმუსის ქაღალდივით რეაგირებდა იგი ყველა მოვლენაზე, როგორ იკაწრებოდა მწერლის სული უხეში შეხებისას...

წვეთ-წვეთ ნაგროვებმა ცრემლმა და ტკივილმა ნაბიჯ-ნაბიჯ მიაახლოვა ბედის იმ განაჩენს, რითაც ალექსანდრე ყაზბეგმა დაასრულა თავისი სიცოცხლე. ბოლო კი ასეთი იყო: „ბოლნი[ცაში] ჩავარდი კარგათმყოფი და მარწმუნებენ გიჟი ხარო! ვეფიცები, თქვენზედ ჭკვიანი ვარ-მეთქი და არ მიჯერებენ. ერ[თი] შემო, უთხარ და და[ა]რწმუნ[ე], არ ვარ გაგიჟებული, არამედ ისინი გაგიჟებულან, ვინც მე მხედავ[ენ გიჟათ]. ხუმრობა[ა]...“ - სწერდა ანტონ ფურცელაძეს მწერალი. წერილის თითოეული სტრიქონი საოცარ ტკივილსა და თანაგრძნობას იწვევს მკითხველში...

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი პორტრეტი

მკითხველისთვის ალ ყაზბეგი ცნობილია, როგორც რომანისტი მწერალი, მაგრამ იგი ავტორია უამრავი ლექსის, პიესისა და არაჩვეულებრივი პუბლიცისტიკისა, რომელთა გარკვეული ნაწილი, სამწუხაროდ, გამოუცემელია.

გრ. ორბელიანმა ყაზბეგს ქართველების ჰომეროსი უწოდა. არაფერი დაშავდება, თუ ვიტყვით, რომ იგი ქართველების შექსპირიცაა, თავისი შემოქმედების ტრაგიკული ხასიათით, დოსტოევსკიც – ფსიქოლოგიური სირთულითა და სიღრმით, სტენდალიც – პათოლოგიამდე მისული სიყვარულის სცენების დახატვა-აღწერით და ვინ იცის, კიდევ ვინ...

დაავადებული ფსიქიკის გამო მწერლის სულიერი აღზევებისა და დეპრესიის წუთები განაპირობებს როგორც თვით ყაზბეგის პიროვნების, ისე მისი შემოქმედების გაუწონასწორებელ, სტიქიურ ხასიათს...

პროზაში იგი შედევრებს ქმნის, სულის საძირკვლამდე შემძვრელ დრამატულ და ტრაგიკულ სცენებს ხატავს და ამ ყველაფერს ისეთი დინამიურობით და მძაფრად გადმოგვცემს, რომ ზოგჯერ თვითონაც ტირის (როგორც, მაგალითად, „ელისოს“ ზოგიერთი ეპიზოდის წერისას). მაგრამ ასეთ შემოქმედებით ექსტაზს ცვლის ისეთი პერიოდები, როცა მწერალი უშედეგოდ ებრძვის სიტყვას... ამ მხრივ თვალშისაცემია ალექსანდრე ყაზბეგის დაუმთავრებელი ნაწარმოებები. არც ერთ ქართველ მწერალთან არაა იმდენი დაუმთავრებელი თხზულება, რამდენიც ალექსანდრე ყაზბეგთან. მათი რაოდენობა ერთ დიდ ტომზე მეტს შეადგენს. დაუმთავრებელი მოთხრობებიც და პიესებიც დიდი მოცულობისაა. ისინი მწერლის

ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი

პროზასთან შედარებით სუსტად გამოიყურება, მაგრამ ყაზბეგი აქაც ყაზბეგია. მისი მწერლური ნიჭი დაუმთავრებელ თხზულებებშიც ჟონავს და გამოსჭვივის.

ბევრი დაუმთავრებელი მოთხრობა და პიესა („საქართველოს ბომონდი", „ცხოვრების ჩალხი", „ლუარსაბ II" და ა.შ.) დასაწყისიდანვე ინტერესით იკითხება, მაგრამ დასრულებული არ არის. მაგალითად, ავტორს „ლუარსაბ II"-ის ბოლო მოქმედება რომ არ დაეწყო, შეიძლება იგი დამთავრებულ პიესადაც ჩათვლილიყო. მსგავსი ფაქტი ალექსანდრე ყაზბეგის სხვა თხზულებებთანაც შეინიშნება. გაზეთი „დროება" (18) მწერლის ერთ-ერთი პიესის შესახებ წერდა: „ავტორმა ამ შემოქმედებაში თავი იჩინა, როგორც კაცმა, რომელსაც ჰქონია თვალიც დასანახავად, ყურიც სასმენად და კალამიც გამოსახატავად. მე რომ ავტორი ვყოფილიყავი, მარტო მაგ ერთ მოქმედებას დავჯერდებოდი და დანარჩენ დრამის მოქმედებას ჩაილურის წყალს დავალევინებდიო..."

ალექსანდრე ყაზბეგის დრამატურგია მის პროზაულ შედევრებს ვერ შეედრება, მაგრამ იმ პიესებში, სადაც თავს იჩენს მეგობრობის, ვაჟკაცობისა და სიყვარულის თემა, მწერლის სული ჯინივით თავისუფლდება ბოთლიდან და ჰქმნის საოცარ ამაღელვებელ სცენებს. მაგალითისთვის „ლუარსაბ II"-ის ზოგიერთი ადგილიც კმარა:

„მე არ ვიცი ცხოვრებაში ტოკვა და მითქმა-მოთქმა... ვისაც ხელს მივცემ, - მას დაუსართებ ჩემს გულსაც და ვისაც გული არ ილხობს, იგი ჩემს ხელსაც არ ეღირსება!" „ვინც სიტყვის გაცემა საქმით არ იცის, იმისთვის საქმეში ფიცი მხოლოდ ისე, ამაო საკაზმავად ხდება." „შეიძლება კი რომ ისეთი საიდუმლო შემატყობინო, რომელიც ჩემმა ყურმა არ უნდა მოისმინოს და გულმა არ უნდა მოითმინოს..." (19).

ალექსანდრე ყაზბეგის ბევრი ასეთი ნაწარმოების წაკითხვისას ბუნებრივად იბადება კითხვა, რატომ მიატოვა ავტორმა მათზე მუშაობა? ჩანს, მას წერისას სულიერი წონასწორობა ერღვეოდა, თხზულებას თავს ანებებდა და უკან აღარასოდეს უბრუნდებოდა დასამთავრებლად. შეიძლება არსებობს სხვა მოსაზრებაც, რითაც

მწერალი ხელმძღვანელობდა, მაგრამ იგი ალექსანდრე ყაზბეგის საიდუმლოდ რჩება. ფაქტი ერთია, რომ ბევრი უსრული თხზულება დასანანია დაუმთავრებლობისთვის მაღალი მხატვრული ღირებულებისა და საინტერესო შინაარსის გამო.

მწერალმა რომ თავისი შემოქმედება პიესებისა და ლექსების წერით დაიწყო, გასაკვირი არ არის, რადგან ალექსანდრე ყაზბეგი იმ მხარეში გაიზარდა, სადაც ყველა მოლექსეობს. „პიესების წერა კი, როგორც დ. კარიჭაშვილი აღნიშნავს, უნდა ყოფილიყო გავლენა ტფილისის ცხოვრებისა და, კერძოდ, ტფილისის თეატრისა“ (20).

მთელი შემოქმედების მანძილზე მწერალი წერდა ორიგინალურ პიესებს, კიდეც თარგმნიდა და კიდეც გადმოაკეთებდა მათ. ის სცენაზეც სიამოვნებით თამაშობდა, „იგი დაუდეგარ და მუდამ მაძიებელ სულის სიმშვიდეს ყველაზე მეტად თეატრში პოვებდა“ (21).

მოთხრობების წერის დროსაც განაგრძობდა ალექსანდრე ყაზბეგი პიესების წერას, „მაგრამ საზოგადოდ მისი დრამატიული ნაწერები გაცილებით უკან დგანან მის მოთხრობებზე. სამწუხაროდ, ყაზბეგი ვერ გრძნობდა ამას და დიდ ყურადღებას ათხოვებდა დრამატიულს ნაწერებს და სცენის ხელოვნებას, რომელიც სრულებით მისი ნიჭის შესაფერისი საქმე არ იყო“ (22).

ამდენი პიესის წერა და მათგან ბევრის დაუმთავრებლად მიტოვება მწერლის უცნაურ ახირებას უნდა მიეწეროს.

მართლაც, ალექსანდრე ყაზბეგის დრამატურგიაში მისი პროზისნაირი შედევრები არ მოიპოვება, პიესებსა და ლექსებში მწერლის შემოქმედებითმა მონაცემმა, მისმა პოტენციამ გამოხატულება და გასაქანი ვერ ჰპოვა. ამას ბევრი იმდროინდელი მოღვაწეც აღიარებდა. შემორჩენილია აკაკის ერთი მოგონება ალექსანდრე ყაზბეგის ლექსებთან დაკავშირებით: „ერთხელ „დროებაში“ მოვიდა პოლკოვნიკი კვინიტაძე და მოიტანა ლექსები, - იგონებს აკაკი, - დაიწყო კითხვა და ის იყო მაჩაბელმა დააპირა თქმა, არ ვარგაო, რომ დავასწარი და მოვუწონე.“ მაჩაბელმა გაოცებით

შეხედა პოეტს და არაფერი უთხრა. მოხუცმა პოლკოვნიკმა მათი დაბეჭდვა მოითხოვა, მაგრამ აკაკიმ აუხსნა მას, რომ ცენზურა ამ ლექსებს არ გაუშვებდა. „იმ სალამოსვე სანდრო ყაზბეგმა წაგვიკითხა ლექსები და დავცინე, საცინლად ავიგდე, - განაგრძობს აკაკი, - ეს ისე ეწყინა სანდროს, რომ მეტი აღარ შეიძლება. წაიღო ლექსები და მათი დაწუნებაც ჩემ სიხარბესა და შურიანობას მიაწერა."

მარტო რომ დარჩნენ, მაჩაბელმა უთხრა აკაკის: „საკვირველი კაცი ხარ ჭეშმარიტად, ხან ასე ხარ და ხან ისე!... შენსას კაცი ვერას გაიგებს! – დღეს ის მოხუცებული კაცი მოატყუე... უქე მისთანა რამ, რომელიც საქები არ იყო და ახლა კი ყაზბეგს უწუნებ ლექსებს მაშინ, როდესაც მაინცა და მაინც დასაწუნი არ არის!...

კვინიტაძეს თავისი პური მოუჭამია, - უპასუხა აკაკიმ, დღეიდან აღარც ავად არგია საზოგადოებას და აღარც კარგად. მაგ მოხუცებულს რაღა სამსახური მოეთხოვება კიდევ? და მერე ისიც კიდევ მწერლობის მხრივ?

- მაშ ყაზბეგს რაღას ერჩოდი? – ჰკითხა მაჩაბელმა.

- ის სულ სხვაა, ის ახალგაზრდაა, ქვეყნისათვის სასარგებლოა. კარგ პროზებს რომ აღარ სჯერდება, ახლა ლექსებს გამოსდგომია და მთელი დღე ჩხირკედელაობს!... მე მინდა, რომ იმან, რაც არ ეხერხება, იმაზე ხელი აიღოს და ისევ თავის საკუთარ გზას მიუბრუნდეს"-ო.

აკაკის ეს სიტყვები წინასწარმეტყველებასავით აუხდა ალექსანდრე ყაზბეგს. მწერალი ჩქარა მიუბრუნდა „საკუთარ გზას" და მთელი თავისი შესაძლებლობებით გამომჟღავნდა პროზაში. 1880 წლიდან ერთმანეთზე მიყოლებით იგი სტიქიურად ბეჭდავს პროზაულ შედევრებს: „ციცკა" 1880წ., „ელგუჯა" 1881წ., „მამის მკვლელი" - 1882წ., „ფათი" - 1882წ., „ელისო" - 1882წ., „ნამწყემსარის მოგონებანი" 1882-1883წ., „ციკო" 1883წ., „ხევისბერი გოჩა" - 1884წ., „ელეონორა" - 1884წ., „განკიცხული" - 1884წ., „მოძღვარი" - 1885წ.

რამ განაპირობა ასეთი სტიქიური შემობრუნება შემოქმედების

სხვა ჟანრისკენ?

ალექსანდრე ყაზბეგი მძაფრად განიცდიდა არსებულ უფერულ სინამდვილეს. მწერალში ერთმანეთს ებრძოდა წინააღმდეგობა გამალიზიანებელ, არაფრისმთქმელ რეალობასა და სასურველს შორის. ამიტომ მან სცადა გაქცევა სინამდვილიდან და „თავი შეაფარა“ ფანტაზიის, იდეალის სამყაროს. ეს სამყარო კი მისი ბავშვობის აკვანი – მთა იყო, მთა – მთელი თავისი პირველქმნილი, ხელუხლებელი ბუნებითა და მის შვილთა გმირული სულით. ალექსანდრე ყაზბეგის არჩევანი სწორი აღმოჩნდა. საბედნიეროდ, მას ბევრის გამოგონება არ დასჭირდა. „როგორც მხატვარმა, მან ეს რომანტიკული სამყარო კი არ გამოიგონა, არამედ აღმოაჩინა, შეითვისა და წარმოსახა, როგორც ჭეშმარიტი, შინაგანად კანონზომიერი რეალობა“ (23).

მწერლის შთაგონებაში რეალური გარემო ისახება, მაგრამ, ცნობილია, რომ ეს არ კმარა შედევრის შესაქმნელად. როგორც ვაჟა-ფშაველა წერს, „აღზრდისა, პირველი სიყმაწვილის შთაბეჭდილებათა ბრალია, რომ ზოგი პოეტი საგმირო მოვლენათ დაჰმღერის, მეორე – ბუნებას, მესამეს კი თავის საგნად მდაბიო ხალხის ცხოვრება გაუხდია და სხვა“ (24).

პოეტი იქვე დასძენს, რომ „ის (ბავშვობის) ხანა დაედო საძირკვლად, ლიბოდ, ჩემს შემოქმედებასო“. მკვლევარი ლევან ჭრელაშვილი პოეტის ამ სიტყვებს ასე განმარტავს: ეს შეხედულება „მწერლის მემკვიდრეობის შემოქმედებითი პროცესის ისტორიის გასაღებად გვევლინება.“ ანალოგიურ ფაქტთან გვაქვს საქმე ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაზე მსჯელობისასაც. ყველაფერი, რაც ადამიანზე მოქმედებს, ცნობიერებაში ილექება. გონება მას პასიური ინფორმაციის მდგომარეობაში ინახავს. მაგრამ სათანადო გაღიზიანების შემთხვევაში აქტიურდება და თავისი თავის რეალიზაციის მიზნით ფანტაზიის სტიმულაციას იწვევს.

ინფორმაციის ასეთი დანალექი მოხევეთა ცხოვრების შესახებ ალექსანდრე ყაზბეგის ცნობიერებაში გაჩნდა ბავშვობაში. შემდეგ მწყემსობაში მიღებულმა პრაქტიკულმა ცოდნამ შეავსო

ბავშვობისდროინდელი სურათები. დიახ, ერთმანეთი შეავსო ყმაწვილობისა და მოწიფულობის დროინდელმა შთაბეჭდილებებმა, ამას დაემატა ალექსანდრე ყაზბეგის დაუშრეტელი ფანტაზია, წერის უნარი, რუსეთში მიღებული კარგი ევროპული განათლება, ადამიანის ფსიქოლოგიის, მისი სულის მოძრაობის შეუდარებელი ცოდნა, ადამიანთა ხასიათის ლაბირინთებსა და კუნჭულებში წვდომის საოცარი უნარი და მწერლის შრომის ნაყოფად მივიღეთ მისი პროზაული შედევრები.

აი, სად არის ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი პროცესის ისტორიის გასაღები.

მწერლის ფსიქოლოგიისა და ხასიათის ამოცნობა მისი შემოქმედებიდან შეიძლება. ალექსანდრე ყაზბეგის თითქმის ყველა გმირი ტრაგიკულია. ნაწარმოებებში ერთმანეთს ცვლის დრამატული და ტრაგიკული მომენტები. ეს არის თავად ავტორისეული მიდგომა ცხოვრებისადმი. ალექსანდრე ყაზბეგი თვითონ არის ტრაგიკული პიროვნება, მაგრამ რატომ? ტრაგიზმი ადამიანის სულში, ცნობიერებაში არსებული შინაგანი წინააღმდეგობიდან მომდინარეობს. ტრაგიზმი იბადება მაშინ, როცა საქმე გვაქვს გადაულახავ წინააღმდეგობასთან. მაგრამ ყველაზე დიდი საშინელებაა წინააღმდეგობა საკუთარ თავთან. იგი ჩნდება მაშინ, როცა ადამიანში იბადება მეორე მე. ორი მეს არსებობა – ეს უკვე პიროვნების ტრაგიზმია. ალექსანდრე ყაზბეგის მსოფლმხედველობა და ეთიკური მრწამსი ხშირად გაორებულია. ეს ჩანს მისი თხზულებებიდან. მაგალითად, ონისესა და ხევისბერის სახით ერთმანეთს ებრძვის მწერლის ორი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი: სუბიექტური (ონისე) და ობიექტური (ხევისბერი გოჩა). მწერალი ხან ერთის მხარესაა და ხან – მეორის. მართალია, გოჩა იმარჯვებს, მაგრამ ამ გამარჯვებას თვით პიროვნებისთვის ფასი აღარა აქვს. ფინალში მწერლის ყოყმანისა და მერყეობის, წუთიერი დაბნეულობის ელემენტი შეინიშნება. გამარჯვებას შინაგანი ზეიმი უნდა ახლდეს თან, მწერალი კი გოჩას შეშლის სცენით ამ გამარჯვების მარცხს გვიჩვენებს!...

ალექსანდრე ყაზბეგის გმირები ტრაგიკული ხდებიან მიუწვდომელი, უიმედო სიყვარულის გამო. მათი სურვილი და შესაძლებლობა ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ეს გრძნობა ანგრევს მათ სულს. ამ გმირების არსებობა ადასტურებს, რომ ავტორსაც განცდილი ჰქონდა უიმედო სიყვარულის სიმწარე. იქნებ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი მწერლის დეპრესიის, ნევროზის?! სავარაუდოა, რადგან, როგორც ფსიქოლოგები ადასტურებენ, სურვილებისა და შესაძლებლობების ეს წინააღმდეგობა ინდივიდის ქვეცნობიერში იწვევს პათოლოგიურ დრტვინვას, რაც ცნობიერებაში იძლევა ნევროზს, ფსიქიკურ დაავადებას, რომელიც შემოქმედებისთვის კარგიცაა. ფროიდის აზრით, შემოქმედება ფსიქიკური ავადმყოფობაა, ნევროზია და ესაა ხელოვნების სათავე, შთაგონების წყარო. ფროიდისა და მისი მიმდევრების აზრით, ყველა გენიოსი შემოქმედი „გათანგული", „გაშმაგებული" ადამიანია. ფროიდამდე ამასვე ადასტურებდნენ ანტიკური ხანის მოაზროვნეებიც (პლატონი), რომ პოეზია არ არსებობს თავისებური გაშმაგების გარეშე, რომ პოეტები „გათანგული" ადამიანები არიან. სწორედ ასეთ შემოქმედად გამოიყურება ალექსანდრე ყაზბეგი. მან თავისი ხასიათის უამრავი შტრიხი რომანების გმირებში ჩადო. თუ გავიაზრებთ მწერლის გმირების მთელ ფსიქოლოგიას, მაშინ არც გასაკვირია ალექსანდრე ყაზბეგის ცნობიერების ანომალიურობა ჩვეულებრივ ადამიანებთან შედარებით.

მწერალი დაჯილდოებულია ადამიანის სულის მოძრაობის ამოცნობის გასაოცარი უნარით, ის ხვდება ქცევათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, იცის, ერთ მოქმედებას ადამიანისას რა მოქმედება ან განცდა უნდა მოჰყვეს და ეს ყველაფერი როგორ უნდა ჩაჯდეს ზუსტ ფსიქოლოგიურ ჩარჩოებში, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მწერალს არასოდეს ღალატობს ფსიქოლოგიური რეალიზმის განცდა. ამას ადასტურებს მკითხველთა განუზომელი სიყვარული და სიმპატია ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებისადმი. რადგან მკითხველს ბოლომდე სჯერა მწერლისა, ე.ი. ყველა მისი თეზისი სწორია.

ალექსანდრე ყაზბეგის მსოფლმხედველობა გოჩას სიტყვებშია გამოხატული: „კაცი ტანჯვისთვის არის გაჩენილი.“ მაგრამ დგას თუ არა მყარად ამ აზრის მხარეს მწერალი? ერთი შეხედვით, კი. მისთვის აბსოლუტური ჭეშმარიტება არის ხალხის, თემის გადაწყვეტილება, მაგრამ გადაწყვეტილების შედეგი ხშირად უარყოფითია. ეს გვაიძულებს, ვიფიქროთ, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს ავტორის გაორებასთან გვაქვს საქმე. მწერალი უკვე ყოყმანობს, ყოველთვის კარგია თუ არა თემის მიერ შექმნილი კოდექსები, როცა საქმე იმ ტრაგედიებამდე მიდის, რომელსაც ადგილი აქვს ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟას შემოქმედებაში, ჩნდება ეჭვის ნაპერწკალი, იქნებ, მოძველდა ტრადიციის ზოგიერთი მხარე? მწერალი ვერ გაურბის ამის ალიარებას, რასაც ადასტურებს ნაწარმოებთა ემოციური ტონი, თხრობის სიმძაფრე და ასეთი ადგილებისადმი გამოჩენილი სიმპატია, რადგან ავტორი იწყნარებს ონისეს სიყვარულს („ხევისბერი გოჩა“) და მკითხველისთვის ხშირად გაუგებარია, ვინ არის მართალი, ონისე თავისი „უკანონო“ სიყვარულით, თუ ის ძალები, რომლებიც ამას ეწინააღმდეგებიან, - ეს უკვე ავტორის ერთ მხარეს მდგომ მყარ პოზიციაზე აღარ მიუთითებს. პირიქით, ის გვაგრძნობინებს, რომ ეს განცდა არის ბუნებრივი, ბუნებისგან მომდინარე... და შეუძლებელია შეეწინააღმდეგო მას, რაც ბუნებრივია. აქედან გამომდინარე, მწერლის აზრით, ყველა მოძველებული, უბედურების მომტანი ჩვეულება უნდა დაინგრეს და დროში განვითარდეს. ეს არის ცხოვრების ლოგიკა, განვითარების აუცილებლობა და კანონი. სხვანაირად ადგილი ცნობიერებაშიც და საზოგადოებაშიც სტატიკას ექნება, რაც შეუთავსებელია მოძრაობასა და განვითარებასთან... სხვა საკითხია, თუ როდის ხდება პროგრესულის მიწოდება. როცა ახალი დროზე ადრე მიეწოდება საზოგადოებას, ის ნეგატიურად აღიქმება, მტკივნეულად ინერგება და ამიტომაც ხშირად ტრაგიკულია ის გმირი, რომელიც ამ პროგრესულის მატარებელია.

ალექსანდრე ყაზბეგის პროზაში იგრძნობა მუდმივი ემოციური აღგზნება, ენერგიულობა, რიტმი, დაუსრულებელი მოძრაობა.

ტრაგიკულ სცენებშიც კი არ არის სტატიკა, იქაც ქვეცნობიერად მკითხველი გრძნობს მოძრაობას, აქცენტირებულ კონფიგურაციათა ცვალებადობას... საკმარისია დავასახელოთ გოჩას („ხევისბერი გოჩა“) აზროვნებისა და ფიქრის მონაცვლეობა: ჯერ სამშობლო, მერე მტერი, ღალატი, ტრაგედია, შვილი... ეს კონფიგურაციები დიდდებიან და პატარავდებიან ერთმანეთის მონაცვლეობით, რაც მკითხველში იწვევს შეგრძნებას, რომ უძრაობის დროსაც ნაწარმოების რიტმი არ ჩერდება, არის მოძრაობა.

ალექსანდრე ყაზბეგი თავის პროზაში იყენებს იმპროვიზაციის კანონებს, მოულოდნელი ეფექტების ხერხებს, რაც მკითხველს ერთთავად ნუსხავს. მრავალი გმირის ქცევა სრულიად ამოვარდნილია ლოგიკის ჩარჩოებიდან (მაგალითად, ლევან კრეჭიაშვილის ისტორია „ელეონორადან“), რასაც მწერალი მკითხველზე ეფექტის მოსახდენად იყენებს. ამ ყველაფრით კიდევ ერთხელ დასტურდება ალექსანდრე ყაზბეგის, როგორც მწერლის, გენიოსობა...

ალექსანდრე ყაზბეგის საბედისწერო სიყვარულის ისტორია

„ამ საქმის დაშლა და ჩემი
უბედურობა ერთი იქნება“...
წერილი დედისადმი

შესავლის მაგიერ

შესანიშნავი გარეგნობის, თავზარდამცემი ნიჭის, არისტოკრატული აღზრდა-განათლებისა და უსაზღვრო ინტელექტის მქონე ალექსანდრე ყაზბეგს პირადმა ცხოვრებამ არ გაუმართლა. ჩანს, უფალმა იგი წინასწარგამიზნული მისიით მოაელინა ქვეყნად, რომ როგორც მწერალს ის სულისშემძვრელი სასიყვარული თუ გმირობა-ვაჟკაცობის ამსახველი ამაღლებული სცენები შეექმნა და ამით ადამიანების სულიერი კათარზისი მოეხდინა.

ამ მისიით მოვლენილი მწერლისთვის კი შეუძლებელი იყო, პირად ცხოვრებასა და სიყვარულს გაემართლებინა, რადგან, როგორც გ. ლეონიძე წერს, პოეტის პირადი ცხოვრება არის საფუძველი მისი მხატვრული შემოქმედებისაო.

აკი, არც გაუმართლა, უფრო მეტიც, სიყვარული ალექსანდრე ყაზბეგისთვის საბედისწეროც კი აღმოჩნდა...

სტეფანწმინდიდან მოსკოვამდე

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ალექსანდრე ყაზბეგს სიყვარული ნაადრევ ასაკში სწვევია. მას ახლობელი ქალი შეჰყვარებია. ამ

ფაქტს მწერლის ნათესავებიც ადასტურებდნენ თურმე თავის დროზე.

ასე რომ, მწერალმა ბავშვობაშიეე გამოსცადა უიმედო და მიუწვდომელი სიყვარულის სიმწარე. მაგრამ ეს ამბავი, ალბათ, იმდენად ადრე იყო ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებაში, რომ იმ სიყვარულს ბავშვურიც შეიძლება ეწოდოს... 18 წლისამ, მამის გარდაცვალების შემდეგ, მოსკოვში წასვლა გადაწყვიტა. იქ მყოფ მეგობარს – ალექსანდრე ბახუტაშვილს წერილი მისწერა, რომელშიც ატყობინებდა რუსეთში გამგზავრების სურვილს და თანადგომას სთხოვდა ამ საქმეში.

მოსკოვში გამგზავრებამდე დედის დაჟინებული მოთხოვნით ალექსანდრე ყაზბეგი ქართლში ბიძას ესტუმრა. მწერლის დედასა და ნათესაობას სურდა, რომ ალექსანდრეს ცოლი შეერთო და ეს სტუმრობა მოწყობილი აღმოჩნდა. მას გააცნეს ბიძის ცოლის დის შვილი. მწერალი თვითონ წერს ამ ფაქტის შესახებ:

„მატარებდნენ იმ ქალის საზოგადოებაში, სმაში ღვინოს მაძალებდნენ და იმ ქალს კი ამღერებდნენ, აალერსებდნენ ჩემთან, მელაპარაკებოდნენ იმის მზითევზედ, სილამაზეზედ, სითეთრეზედ, მიხატავდნენ სხვადასხვა ამაღელვებელს უპატიოსნო კარტინებს და, ერთის სიტყვით, ცდილობდნენ, რომ როგორმე წავეცდინეთ და ეთქმევინებინათ, რომ მამწონს, ანუ მიყვარს. ისინი კარგათ იცნობდნენ ჩემს ხასიათს და იცოდნენ, რომ თუ ერთხელ რამე წამომცდენიყო ამ გვარი, მაშინ უარის თქმას ვეღარ მოვახერხებდი და ჯვარს გადამწერდნენ.“

ალექსანდრე ყაზბეგი 18 წლის იყო, საცოლე კი – 22-ის. მწერალმა იმდენი მოახერხა, რომ გამოიქცა და ამით დააღწია თავი უხერხულ მდგომარეობას.

მწერალმა დედისა და ნათესავების სურვილი, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ დაცოლშვილებულიყო და ოჯახს გაძღოლოდა, არ გაითვალისწინა და სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვს გაემგზავრა.

ეს იყო 1867 წლის ზაფხული.

სწორედ მოსკოვში ეწვია მას საბედისწერო სიყვარული... და სწორედ ეს ქალაქი გამოდგა ამ სიყვარულის აკვანიცა და სამარეც...

1869 წელს მწერალს შეუყვარდა გენერალ ჩერნიშოვ-კრუგლოვის ერთადერთი ქალიშვილი ნინო.

დოკუმენტური მასალები

ალექსანდრე ყაზბეგის თავდავიწყებული სიყვარულის დამადასტურებელი რამდენიმე დოკუმენტი არსებობს: მოსკოვიდან გამოგზავნილი წერილი დედისადმი ცოლის შერთვის თაობაზე, დაუმთავრებელი მოთხრობები „საქართველოს ბომონდი“ და „ცხოვრების ჩალხი“, თამარ მამუკას ასულ ჭავჭავაძისა და ნადეჟდა ჭავჭავაძის მოგონებები, პრასკოვია ჭავჭავაძის „1869 წლის შემოსავალ-გასავლის წიგნი“ იმ სახლის ფოტოთი, სადაც 1869-70 წლებში დადიოდა ალექსანდრე ყაზბეგი.

დ.კარიჭაშვილი თავის გამოკვლევებში შენიშნავს, რომ დედისადმი წერილი „ეს არის წერილი კი არა, პირველი რომანი, მისი ფანტაზიის ნაყოფი. იგი ამჟღავნებს ახალგაზრდა ავტორის მიდრეკილებას სენტიმენტალიზმისათვის დამახასიათებელი მანერისაკენ“. დედისადმი გაგზავნილი წერილი ისეთ მხატვრულ ფორმაშია დაწერილი, რომ მართლაც ჩნდებოდა ეჭვი წერილში მოტანილი ფაქტების რეალობაზე. ივ. ლოლაშვილის გამოკვლევებმა კი დაადასტურა, რომ 1869 წელს ალექსანდრე ყაზბეგს მართლაც ჰქონია რომანი ნინო ჩერნიშოვ-კრუგლოვასთან, სოფელ ჩერვლენოეში, მოსკოვთან ახლოს (25).

აღნიშნული გამოკვლევიდან ირკვევა, რომ სოფ. ჩერვლენოეში ცხოვრობდა მასალსკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ნიკოლოზ პავლეს ძე შატიხინი. მას დიდი მამულები ჰქონდა და 4 ქალიშვილი ჰყავდა: პრასკოვია, ნადეჟდა, მარიამი და ბარბარე.

1860 წელს შატიხინის ქალები შემთხვევით დაუახლოვდნენ სევასტოპოლის ბრძოლების გმირს, ქართველ ოფიცერს მამუკა რომანოზის-ძე ჭავჭავაძეს.

პრასკოვიას და მამუკას ერთმანეთი შეუყვარდათ, დაქორწინდნენ და სოფ. ჩერვლენოეში დასახლდნენ (ნადეჟდა და ბარბარე

შატიხინებიც ჭავჭავაძეებს გაჰყვნენ ცოლად, ოღონდ ჭავჭავაძეთა სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებს). მამუკა ჭავჭავაძემ ქართველი სტუდენტები შემოიკრიბა თავის გარშემო, მათ შორის იყვნენ არჩილ ჭავჭავაძე, ივანე (ბებურ) ვაჩნაძე, კოხტა აფხაზი და სხვები.

ალექსანდრე ყაზბეგს მეგობრული ურთიერთობა ჰქონია პრასკოვიასთან, ამიტომ იგი ჭავჭავაძეების ხშირი სტუმარი ყოფილა. მწერალი მთელი კვირაობით და თვეობითაც კი რჩებოდა ხოლმე მათთან. მას ზედა სართულზე ცალკე ოთახი ჰქონია და იქ თხზულებების წერაში ღამეებს ათენებდა. ასეთი განმარტოებული სოფლური ცხოვრება მას წერისათვის განწყობას უქმნიდა.

მოგონებებიდან ირკვევა, რომ ალექსანდრე ყაზბეგი ბევრს მუშაობდა, თხზულებების შავ პირებს თურმე ხევდა და გუბეში ჰყრიდა..

თამარ მამუკას ასული ჭავჭავაძე იგონებს, რომ როგორც „მამაჩემს უამბია ჩემთვის, ალექსანდრე ყაზბეგი იყო ძალიან სანდომიანი, გონებამახვილი და მხიარული. იგი ხშირად აოცებდა ყველას თავისი ექსპრომტებით, რომლებითაც ის რომელიმე დამსწრე სტუმართაგანს ზედმიწევნით ახასიათებდაო. მწერალს განსაკუთრებით ჰყვარებია ბავშვები“...

ალექსანდრე ყაზბეგს მატერიალურად ძლიერ უჭირდა, ამიტომ სიამოვნებით დადიოდა ჭავჭავაძეებთან ჩერვლენოეში.

ეს ურთიერთობა, ივ. ლოლოშვილის გამოკვლევით, დოკუმენტური მასალით დასტურდება:

1. ალექსანდრე ყაზბეგთან ცხოვრობდა ლევან ჭავჭავაძე, რომელიც ჩაესიძა შატიხინს.

2. პრასკოვია ჭავჭავაძეს მიუცია მისთვის 581 მან. და 50 კაპ., რაც „შემოსავალ-გასავლის“ წიგნშია აღნიშნული.

3. „ცხოვრების ჩალხში“ ნახსენები კალუგის მაზრა იგივე ჩერვლენოეა.

4. ალექსანდრე ყაზბეგისა და ჩერნიშოვ-კრუგლოვას სიყვარული ჭავჭავაძეებთან დაიწყო და დამთავრდა.

5. ალექსანდრე ყაზბეგის ხელითაა ჩაწერილი მამუკა ჭავჭავაძის, ლევან ჭავჭავაძისა და სხვათა მისამართები.

6. „შემოსავალ-გასავლის“ წიგნში ჩაწერილია ხარჯები, მათ შორის თეატრიც, «в театре ложа 5 руб.», ჩანს, ყაზბეგი ამ ფაქტს გულისხმობს, როცა დედას წერილში თეატრზე ესაუბრება.

მწერლის მიერ დედისადმი მიწერილი წერილის ყველა ფაქტი დეტალურად ემთხვევა ჩერვლენოეში დატრიალებულ ამბებს, ამას თამარ ჭავჭავაძის მოგონებებით წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, კერძოდ, აგვისტოში ერთი თვით მოსკოვში ჩამოვიდნენ ჭავჭავაძეები. მათ მოჰყვა სოფლიდან ჩერნიშოვ-კრუგლოვი თავისი ქალიშვილით. ჩამოსულ სტუმრებს იმავე დღეს ეწვია ყაზბეგიც. სადილად ყველანი ჭავჭავაძეებთან დარჩნენ, საღამოს კი თეატრში წავიდნენ. ეს მოვლენები მხატვრულადაა აღწერილი მწერლის მიერ დედისადმი გაგზავნილ წერილში. გრაფმა მთლიანი ქონება ქალიშვილსა და სასიძოს დაუტოვა. 1870 წლის იანვარში ქორწილიც დაინიშნა. ალექსანდრე ყაზბეგი დედას წერილს უგზავნის და ფულს სთხოვს. კეკე ყაზბეგმა შვილს ყველაფერი გაუგზავნა საქორწინოდ, რასაც ის ითხოვდა... თუმცა გაიარა დრომ და კეკეს განუწყვეტელმა ლოცვამ და მღელვარებით ცდამ ამაოდ ჩაიარა. მას იმედი გაუცრუვდა. დედისთვის მოულოდნელად, ალექსანდრე ყაზბეგი 1870 წლის ნოემბერში მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნდა უცოლო და სასოწარკვეთილი... ყველასთვის ამოუცნობი დარჩა კითხვა, რატომ არ შეირთო მწერალმა ჩერნიშოვ-კრუგლოვის ქალი?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწერალმა ჭავჭავაძეებთან ერთ-ერთი სტუმრობისას გაიცნო გრაფი ჩერნიოშოვ-კრუგლოვი ქალთან ერთად. ალექსანდრე ყაზბეგი მათთან წარადგინა „კნიაზმა გალიცინმა“. მწერალმა იცეკვა გრაფის ქალთან და მისმა მშვენიერებამ დაათრო. ქალმა ეს შენიშნა, ჩანს, თვითონაც მოეწონა მწერალი და სთხოვა, სტუმრად ევლო მათთან.

როგორ განვითარდა შემდეგში მოვლენები?

ნაწყვეტები დედისადმი გაგზავნილი წერილიდან:

„ამ შეხვედრის უკან ყოველთვისინ ვემზადებოდი, რომ ვიზიტი გამეკეთებინა, მაგრამ როგორღაც ბევრსა ვფიქრობდი და არ ვიცოდი, როგორ მივსულიყავი“ (26).

თეატრში „პირველი აქტის უკან სამს ქალთან გადაველ ლოჟაში და მთელი თიატრი მხოლოდ იმის ყურებაში გავატარე. თავისუფალ დროში კი ლაპარაკი არ გაწყვეტილა ჩვენში. აქედან ჩავარდა საძირკველი ჩვენის დაახლოებისა“ (27).

ერთხელ ერთ-ერთი ჭავჭავაძის ცოლმა გაიყვანა მწერალი ცალკე და ჰკითხა: „ძალიან გიყვარს გრაფის ქალი? მე საშინლად გავწითლდი... ბოლოს ლაპარაკი იმითი დათავდა, რომ მითხრა: ძალიან მდიდარი არის, მაგის მეტი არავინა ჰყავს მაგის მამას... ნახეთ, გაიცანით ერთმანეთი და თუ მოგეწონება, საქმე შეიძლება.“

„ისეც მოხდა. მეორე დღეს გავუკეთე ვიზიტი. მერე კვირაობით დავიწყე სიარული, მერე უფრო ჩქარ-ჩქარა. ამასობაში საშინლად დავახლოვდით. ერთ დღეს ჭავჭავაძეებთან მოიყვანა მამამ ქალი და თვითონ ისევ წავიდა. იმ საღამოზედ მეც იქ მივედი. მე ვთხოვე ქალს დაეკრა ერთი სონატა ფორტოპიანზედ, რომელიც მე მომწონდა ძალიან, ქალი გამოვიდა და დაუწყო ფორტოპიანის კლავიშებს გადარბენა. მე კედელზედ მიყუდებული გულმღელვარებით უყურებდი ქალს.“

მწერალი ასე აღწერს დედისადმი მიწერილ წერილში ნინოს გარეგნობას:

„მშვენიერის მაღალის ტანისა, ამაყურათ ამაღლებულის მკერდი სუნთქამდა იმ სუნთქვით, რომელიც ამტკიცებს მცირე მღელვარებას. მშვენიერს, თეთრს უმტვერო პირსახეზედ ეშლება ვარდსავით სიწითლე, ტუჩები არის ფერი მარჯანსავით მომღელვარე, პატარები და მუდამ მოცინარი. ნიკაპი რგვლათ მოყვანილი, ცხვირი სწორე და რიგიან პირის სახესთან მშვენიერი დიდი ლურჯი თვალები, მღელვარე, თითქო ცეცხლი ეს არის უნდა ამოხდესო, რომელსაც

ალექსანდრე ყაზბეგის დედა

იფარვენ გრძელი მშვენიერი წამწამები. ზემოდან მშვენიერად წამოზდგომიან მშვილდსავით მოხრილი წარბები, მაღალი შუბლი და ხუჭუჭა თმები ამგზავსებენ ანგელოზს. დაუდარებელს გრაფინიას. მშვენიერი თითები, გრძელი და თეთრი, როგორც ბროლი უფრო მშვენიერდებიან ალისფერის ფრჩხილებით. უკანასკნელი ამბავის დროს იყო თეთრს უმტვერო ტანისამოსში მქრქალის ლენტებით მორთული და თმა გაშვებული ლოკნებით. არა, არ შემიძლიან აგიწერო იმისი მშვენიერება. ეს არი ციური უმანკოება! ამასთან სიკეთე იმისი, რომელსაც საზღვარი არა აქვს. ეს ივჯდა და უკრავდა ფორტოპიანს, რომელმაც ერთბაშად სრულებით დამავიწყა ჩემი თავი და მივარდი ხელზედ საკოცნელათ სიტყვებით: „ნინო, მიყვარხარ, ნუთუ არა გრძნობ ამ ამბავს?“ ცოტათი შეკრთა ამ სიტყვებზედ, გაწითლდა, მაგრამ ხელი არ წამართო. მე დავუწყე ლოშნა და კიდევა ვკითხე: უყვარვარ მეც თუ არა? ამაზედ მიპასუხა მღელვარებით: „ისე, როგორც ჩემს სიცოცხლეში არავინ მყვარებია.“ ამის უკან წამოდგა და ჩემ გულზედ გადმოდო თავისი თავი. ერთმანეთი გვესმოდა ორთავ. მე მეჭირა ერთი ხელით იმისი ხელი და ვკოცნიდი, მეორე ხელი მქონდა შემოხვეული ტანზედ, აღგზნებულის თვალებით ვუყურებდი პირისახეში. წარმოიდგინე ჩემი ბედნიერი მდგომარეობა იმ წამს. ქალი, რომელსაც თითქმის ღმერთადა ვთვლიდი, ქალი, რომლისაც თითქმის მეშინოდა, რომელთანაც ვერა ვბედავდი მეტი სიტყვის თქმას, ეხლა იყო მოკრული ჩემ გულთან, იმისი ხელი მეჭირა ხელში და ვკოცნიდი იმთვენს, რამთენიცა მსურდა. ქალმა, რომელსაც გრაფებიც დაზდევდნენ, თავადებიც, ღენერლებიც და სხვებიც, ამოარჩია კაცი ბევრათ სხვებზედ ღარიბი, ბევრათ სხვებზედ ულამაზო, ბევრად სხვებზედ უარესი! ჩემს სიხარულს არა ჰქონდა საზღვარი. ამ მდგომარეობაში მოგვასწრო ჭავჭავაძის ცოლმა, რომელმაც ნამდვილის მეგობრულის მზიარულებით მოგვილოცა. მაშინვე ყველამ შეიტყვეს, რომ მე და ნინოს ერთმანეთი გვიყვარს და გამოვუცხადეთ სიყვარული. ყველამ თვითეულად მოგვილოცეს. ორი საათის განმავლობაში, ვიდრე მამა მოუვიდოდა ნინოს,

მარტოკები ვისხედით ერთს ოთახში, რომელშიაც სიჩუმეს დაშლიდა ხოლმე ალერსიანი სიტყვები და გატაცებულ ცეცხლით სამსე კოცნა...

ორი საათის შემდეგ დაბრუნდა ქალის მამა და აღტაცებით შეხვდა ამ ამბავს."

ალექსანდრე ყაზბეგი დედას სწერს: „ეხლა ამ მდგომარეობაში ვარ, არავინ სხვებმა ჯერ არ იცის რა. შობის მესამე დღეს დიდი ბალი ექნება ჩერნიშოვ-კრუგლოვს, რომელშიაც გამომაცხადებენ აშკარა სასიძოთ.

მაქვს იმედი, რომ თქვენი ლოცვაც არ მომაკლდება ამ სრულს და ნამდვილს ბედნიერებასთან, რომელზედაც თქვენის ნების დართვისაც უნდა ჩქარა შემატყობინოთ... ეხლა უნდა გითხრათ, რომ ჩემი მდგომარეობა იმ მიმართულებით არის, ამ საქმის დაშლა და ჩემი უბედურობა ერთი იქნება..."

იმავე წერილში ალექსანდრე ყაზბეგი დედას ატყობინებს, რომ ამ საქმისათვის საჭიროა 100 თუმანი, ებოდიშება, რომ შეეძლოს სხვაგან შოვნა, არ შეაწუხებდა. მოსკოვში მას იცნობენ, როგორც შეძლებულს და სცხვენია ფულის სესხებისა, არ სურს, გაიგონ მისი სიღარიბე.

„იანვრის გასულს ქორწილი იქნება და მაშინ ნახავთ რა პატივით გადაგიხდით მაგ ხელის გამართვას." მწერალი სთხოვს დედას, ისესხოს ფული, დააგირაოს ყველაფერი. „ამასთან გამომიგზავნე ბეჭედი პრინც-ალბერტმა რომ მაჩუქა და შენი ბროშკა, თუ არ გენანება, რომ ნიშნათ მივცე. ესენი ყველაფერი ჩემთვის ისე საჭირო არის, როგორც ავათმყოფისათვის წამალი. უკეთუ ესენი არ გამომიგზავნე, ჩემი საქმე საშინლათ გაძნელდება, მაგრამ თუ სულ ჩაიფუშა, გაძლევ პატიოსანს სიტყვას, რომ ჩემს თავს ავუტეხავ რასმე. ვიცი, საყვარელო დედავ, როგორც ძნელი უნდა იყოს შენთვის ფულისა და ბროშკის გამოგზავნა, ჩემს დალუპვას არ მოინდომებ" (28).

მოსახდენი მაინც მოხდა და მწერლის სიყვარული კრახით დასრულდა. ეს ამბები კითხვის ნიშნებითაა სავსე მწერლის ბიოგრაფიაში. გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ალექსანდრე ყაზბეგის დაუმთავრებელი მოთხრობები „საქართველოს ბომონდი“ და „ცხოვრების ჩალხი“ ავტობიოგრაფიული თხზულებებია. „ცხოვრების ჩალხი“ დაწერილია 1882 წელს, ხოლო „საქართველოს ბომონდი“ - 1870 წელს, როდესაც ალექსანდრე ყაზბეგსა და ნინო ჩერნიშოვ-კრუგლოვას შორის რომანი საბოლოოდ ჩაიშალა.

დედისადმი გაგზავნილ წერილში მოტანილი ფაქტები, ბიოგრაფიის ბევრი დეტალი და დაუმთავრებელი მოთხრობების ამბები ერთმანეთს ემთხვევა. ეს კი საშუალებას იძლევა, ნათელი მოვფინოთ მწერლის ბიოგრაფიის ზოგიერთ საკითხს, კერძოდ, სიყვარულის მარცხის დეტალებს.

მოჯადოებულ წრეში

„საქართველოს ბომონდი“ დაუმთავრებელი ნაწარმოებია. გაუგებარია, რატომ მიატოვა მწერალმა მასზე მუშაობა. ჩანს, ალექსანდრე ყაზბეგი ამ თემაზე ფიქრმა არ მოასვენა. ან კი როგორ მოისვენებდა მწერალი, როცა საქმე მისი ცხოვრების აზრს ეხებოდა! იგი უსაზღვროდ ღელავდა, შფოთავდა დაკარგული სიყვარულის გამო. მიუხედავად დიდი ბრძოლისა, ყაზბეგი თავს მაინც ვერ მოერია, მიტოვებული სიყვარულის დავიწყება ვერ შეძლო, თავის გარშემო სიყვარულისგან შემოხვეული მოჯადოებული წრე ვერაფრით ვერ გაარღვია. ეს მტკიცდება ავტობიოგრაფიული რომანის ხელმეორედ შექმნის გადაწყვეტილებიდან. სიყვარულის დაკარგვიდან ათეულ წელზე მეტი ხნის შემდეგ ალექსანდრე ყაზბეგი კვლავ წერს ნაწარმოებს „ცხოვრების ჩალხი“. მისი გმირი თეიმურაზ ჭმუნვარაშვილი იგივე ალექსანდრე ყაზბეგია,

ლიდია სვეტლიცკი – ნინო ჩერნიშოვ-კრუგლოვა, პავლე, ლიდიას მამა – გრაფი ჩერნიშოვ-კრუგლოვი, ხოლო გიორგი შაბათაშვილი არის მწერლის მეგობარი ალექსანდრე ბახუტაშვილი.

„ცხოვრების ჩალხში" მწერლის ბიოგრაფიის ბევრი შტრიხი პირდაპირაა გადატანილი. გავავლოთ პარალელები.

როცა ალექსანდრე ყაზბეგს მოსკოველი ახლობლები ნინო ჩერნიშოვ-კრუგლოვაზე ესაუბრებოდნენ, მწერალი წითლდებოდა. ასეა ნაწარმოებშიც: „მამის გასვლაზედ ლიდიამ თეიმურაზს ერთბაშად შეხედა და დაინახა, რომ აგზნებულის თვალებით უყურებდა. კაცი გაწითლდა და თავი დახარა."

ნინო ჩერნიშოვ-კრუგლოვამ პირველივე ნახვაზე მოხიბლა ალექსანდრე ყაზბეგი.

ნაწარმოებშიც იგივე ხდება: „სწორედ ეს ხანი იყო, როდესაც თეიმურაზმა სვეტლიცკის სახლობა გაიცნო და ლიდიას უმანკოებამ კავკასიელის მხურვალე გული მიიზიდა."

ალექსანდრე ყაზბეგსა და ნინოს ერთმანეთი შეუყვარდათ და დაქორწინებაც გადაწყვიტეს. მწერალი ბედნიერია და იგი ამის შესახებ დედასაც ატყობინებს წერილით. ნაწარმოებშიც („ცხოვრების ჩალხი") უამრავი საინტერესო ადგილია თავდავიწყებული სიყვარულის აღწერისა. მაგრამ ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა.

კრახის მიზეზები

დაუმთავრებელი მოთხრობებიდან ირკვევა, რომ ალექსანდრე ყაზბეგის ტრაგედია ჩერნიშოვ-კრუგლოვებთან ერთი ჩვეულებრივი, რიგითი სტუმრობისას დაიწყო... მასპინძლის ოჯახში მწერალმა გაიცნო ასაკიანი რუსი გენერალი. ცოტა ხანში მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

„ - მაშ, თქვენ იმ მამაც გვარ-ტომობას ეკუთვნით, რომელიც ისე გულადად და სანაქებოდ რუსეთისთვის სისხლსა ღვრის?

ძალიან სასიამოვნოა, ძალიან!... ამბობენ, რომ ვითომც ეხლა ზოგიერთნი იქ რაღაცას ცელქობენო... რაღაცა „სამშობლო“ (დ. ერისთავის „სამშობლო“ ე.ზ.) დაუწერიათ, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მოუგონიათ, რუსული ენის სწავლა არ გვინდაო... სულ ქართულად უნდა ვისწავლოთო, სამსჯავროც ქართული უნდა გვქონდესო... სულ სისულელე... მალე მოაჭკვიანებენ...

ამ ლაპარაკზედ თეიმურაზ (ანუ იგივე ალექსანდრე ყაზბეგი) აიმრიზა.

- მაშ აგრე ლაპარაკობენ? – მიუბრუნდა კიდევ ღენერალი და წარბები შეიჭმუხნა.

თეიმურაზ აინთო და ვეღარ მოითმინა.

მე არ ვიცი, ვინ და სადა ლაპარაკობს მაგ სისულელეს, რომელის სარგებლობისთვის მაგ ცილისწამებას იმ ხალხს უგონებენ, რომელიც, თქვენისვე სიტყვით, რუსეთის სახელმწიფოსთვის მეტისმეტად ბევრს სისხლსა ღვრის!

რაო? – გაჯავრებით შეხედა უცნობმა და დაუმატა – გიცნობთ, ბატონო, გიცნობთ! იქნება მართლა გაქვსთ იმედი, რომ მოახერხოთ რამე?... ხჰე, ხჰე, ხჰე, ხჰე! – ბოროტად ჩაიცინა მოხუცმა – რუსეთს ჯერ კიდევ საკმარისი ძალა აქვს, რომ შვილდსავით მოგხაროთ.

ბატონო, აქ არც ადგილი და არც დრო არის მაგ ლაპარაკისთვის. ამისთვის უმორჩილესადა გთხოვთ, შესცვალოთ... თქვენ, როგორც გეტყობათ, ჩემის გვარ-ტომობის ხალხს არ იცნობთ და მათ ხასიათზე შემცდარი აზრი შეგიდგენიათ, ეგ უფლებას არ გაძლევსთ, რომ ჩემთან ქართველებზედ აგრე ილაპარაკოთ... ეგ ზრდილობის წინააღმდეგიც არის და მასპინძლის მოვალეობისაც... საქართველოში აგრე არ მოგექცეოდნენ.“

ნაწარმოების ეს ადგილი შესანიშნავი ნიმუშია ველიკორუსული შოვინიზმის აღწერისა და გადმოცემისა. ალექსანდრე ყაზბეგი მშვენივრად ხვდებოდა რუსეთის პოლიტიკის აოსს საქართველოში. მივყვეთ ნაწარმოების მსვლელობას.

„ცხოვრების ჩალხის“ მთავარმა გმირმა – თეიმურაზმა (იგივე ალექსანდრე ყაზბეგმა) მასპინძლებთან ბოდიში მოიხადა და სახლში წავიდა. ამ შემთხვევამ მწერალი თითქოს გამოაფხიზლაო.

მოულოდნელი მეტამორფოზი

დიალოგი რუს გენერალთან უცნაური განცდის გასაღები გახდა. ერთ მხარეს დადგა ეროვნება, სამშობლო და მისი ინტერესები, ხოლო მეორე მხარეს – ერთადერთი სიყვარული. არჩევანი მწერალზე იყო დამოკიდებული. აი, რას წერს ალექსანდრე ყაზბეგი ნაწარმოებში: „არა, თეიმურაზ არ შეირთავდა ლიდიას, რადგანაც ქართველი იყო და ამ ქალს კი ბუნებითვე ქართველის გრძნობის და არც სიწმინდის რწმუნება და არც პატივისცემა არა ჰქონია. ის მიეგდო დივანზედ და მწარედ, მწარედ შესტირა.“

ლიდიას არ შერთვის „მიზეზი კიდევ ის არის, რომ ჩვენ სხვადასხვა გვარ-ტომის ხალხი ვართ. ერთის გრძნობით ვერ შევხედამთ ერთმანერთის სიწმინდეს...“

ნაწარმოების გმირი თავგანწირული ებრძვის საკუთარ გრძნობებს. მას უმძიმს საყვარელი ქალის მიტოვება, მაგრამ საცოლის მამის თხოვნას გენერალთან შერიგების თაობაზე უარყოფს: „შევურიგდე კაცსა, რომელსაც თავი იქამდის აუწყვეტია, რომ პირში მილანძღამს ყველაზედ უწმინდეს საგანს და ყურთ მასმენს!... თქვენ როგორ მირჩევთ მაგას! – ეუბნება თეიმურაზი (ანუ ალექსანდრე ყაზბეგი) სასიმამროს, - „თეიმურაზს კაგად ესმოდა, რომ თავის ქვეყნის და ხალხის პატივის დაცვა პირადად თავისი ღირსების დაცვაა... და საქართველოს რომელს კიდეზეც უნდა დაეკრათ, თეიმურაზის გულში ტკივილი გაისმოდა.“

ნაწარმოების ეს ადგილები როგორ ჰგავს მწერლის ზოგიერთ აღსარებას. მოვუსმინოთ ალექსანდრე ყაზბეგს:

„ჩემი არსება გადაბმულია ჩემის ქვეყნის არსებასთან უხილავის ძალით... სადაც უნდა ეტკინოს ჩემსას, მისივე ტკივილი მეც

მაგრძნობინებს და მის გუნებისდაგვარად მოაწყობს ჩემს გუნებასაც," ან „ილანძღებოდა ხალხის წესები მრავალთათვის გაუგებარი და ის წმიდა ჩვეულებანი, რომლის გაკიცხვაც კაცობრიობის შეურაცხყოფად ჩაითვლება. მე გული მტკიოდა მათთვის... ეს იყო ჩემი სიწმიდე, რომელსაც უმეცრება ფეხქვეშ ჰქელავდა და მე კი საშუალება მოსპობილი მქონდა ჭეშმარიტება გამომეაშკარავებინა", ანდა „წმინდა მოვლენის შეხება უწმინდურის ხელით ა არის კაცისათვის ულირსი საქციელი, მისივ დამამცირებელი საქციელი."

მწერლის სიწმინდეს კი უხეშად შეეხნენ, შეურაცხყვეს. მისი სატრფო ამ შეურაცხმყოფელთა „გვარ-ტომის" წარმომადგენელი იყო. ასეთი განცდების შემდეგ რუს გენერალთან კი არა, საცოლესთან შერიგებაზეც კი ზედმეტი იყო საუბარი. უფრო მეტიც, ნაწარმოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მწერალს გადაწყვეტილი აქვს, დუელში გამოიწვიოს გენერალი. საქმეში მწერლის მეგობარი და სატრფო ერევიან. „ცხოვრების ჩალხის" მიხედვით, ლიდია თვითონ ეახლა სახლში გამოკეტილ საქმროს და შეეცადა სიტუაციაში გაერკვია. ლიდიამ (ანუ ნინო ჩერნიშოვ-კრუგლოვამ) აუხსნა თეიმურაზს (ანუ ალექსანდრე ყაზბეგს), რომ გენერალი, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა ქართველობას, სახლიდან დაითხოვეს, იგი ბოდიშს იხდიდა თავისი საქციელის გამო. მაგრამ მწერალს არ აკმაყოფილებდა სიტყვიერი ბოდიში და ჯიუტად ადგენდა გენერლის დუელში გამოწვევის გეგმას. მეგობარიც დიდხანს არწმუნებდა, რომ დუელი მისთვისაც და გენერლისთვისაც საზიანო იქნებოდა. მწერლის დასარწმუნებლად მან ამ ამბის გამასხარავებაც სცადა და სიცილით უთხრა, რა ყურადღებას აქცევ ერთი გადაბერებული გენერლის სიტყვებსო. სიტუაცია ისევ დაძაბული დარჩებოდა, რომ სახლში გენერლის წერილი არ მოეტანათ. მოხუცი გენერალი წერილობით იხდიდა ბოდიშს თავისი უტაქტო საქციელის გამო.

მაგრამ ამ ფაქტმა, ნაწარმოების მისედვით, ვერ შეცვალა თეიმურაზის (ანუ იგივე ალექსანდრე ყაზბეგის) დამოკიდებულება

ლიდიას (ანუ ნინო ჩერნიშოვ-კრუგლოვას) მიმართ. მწერალი „ცხოვრების ჩალხში“ ასე აღწერს ქალის მდგომარეობას ყველაფრის თქმის შემდეგ: „ლიდია თავისი ჯალათის უკანასკნელ სიტყვასღა ელოდა...“ და ეს სიტყვა ისეთი იყო, რომ ქალი წაბარბაცდა...

დაუძლეველი უხილავი ძალა

ნებით იყო თუ ძალით, საბედისწერო არჩევანი გაკეთდა. მწერალმა საკუთარ თავს განაჩენი თვითონვე გამოუტანა – სამშობლოს სიყვარული საკუთარ სიყვარულზე მაღლა დააყენა. ერთი შეხედვით, პატრიოტულმა გრძნობამ ალექსანდრე ყაზბეგის არსებაში, თითქოს, ყველაფერს სძლია, მაგრამ რეალურად ეს ასე არ იყო. მან ცხოვრების აზრი დაკარგა. აი, როგორ აღწერს მწერალი საკუთარ მდგომარეობას „ცხოვრების ჩალხში“:

„როდესაც საქმე იმ ქალს შეეხება, - წერს ალექსანდრე ყაზბეგი, - მაშინ გონებასა ვფანტავ და რაღაცა უხილავის ძალის მოქმედების ქვეშა ვარდები!...“

მიუხედავად ამისა, ის მაინც ჯიუტად ცდილობდა საკუთარი გადაწყვეტილების დაცვას. მწერალსა და მის საცოლეს ფესვები სხვადასხვა ჰქონდათ. ალექსანდრე ყაზბეგი კარგად ხვდებოდა, რა მოჰყვებოდა ამ კავშირს. ამიტომ მან თავთან შებრძოლება სცადა, საკუთარ საქციელს გამართლებაც მოუძებნა:

„არა, ჩვენ საერთო არა გვექნება რა, ჩვენ ვერ დავაფასებთ ერთმანერთის სალოცავს, - სთქვა თეიმურაზმა და მწარედ დაიკვნესა. მეტად ძნელი იყო იმ ქალის თავის დანებება, რომელთან შეერთების გულისთვის ზევით ცას შეებრძოლებოდა და ქვეშ დედამიწას.

თეიმურაზმა წაივლო თმებში ხელები და გიჟსავით დაიწყო ოთახში სირბილი...“

ლიდია და თეიმურაზი (ანუ ყაზბეგი და ნინო), „ცხოვრების ჩალხის“ მიხედვით, რამდენჯერმე დაშორდნენ და შერიგდნენ. ისინი სიყვარულს განშორების შემდეგაც ინარჩუნებდნენ, ამიტომ არ

უჭირდათ შერიგება. შერიგება კი ერთმანეთთან შემთხვევითი შეხვედრისას გონდამკარგავი სიყვარულის გამო ხდებოდა... უცებ, გაუაზრებლად, სპონტანურად... მაგრამ ამ შერიგებათა ხანგრძლიობა ძალიან მოკლე იყო, რადგან მწერალს ერთხელ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა და საკუთარი თავის ჯობნა უჭირდა... თანდათან მოვლენები უფრო აირია და შეყვარებულები საბოლოოდ დასცილდნენ ერთმანეთს... მოვლენათა არევას კი, ნაწარმოების მიხედვით, სხვების ჩარევაც უწყობდა ხელს, რადგან გრაფის ქონებით ბევრი პიროვნება იყო დაინტერესებული და ამიტომ ლიდიას (ანუ ნინოს) ცოლად შერთვას ბევრი ცდილობდა. ჩანს, ყაზბეგი ვერც ამ შემოტევებს გაუმკლავდა.

„ცხოვრების ჩალხი" დაუმთავრებელია, ასევე დაუმთავრებელია „საქართველოს ბომონდი", ამიტომ უცნობია შემდგომი ბედი მწერლის სატრფოსი. თვით მწერალმა ამ სიყვარულს თავი რომ ვერ დააღწია, ჩანს მისი ცხოვრებიდან. ალექსანდრე ყაზბეგის მეტი სიყვარული ცნობილი არ არის, პირიქით, ის თითქოს მოსწყდა კიდეც რეალურ ყოფას, შემოქმედებაში ჩაიძირა, მაგრამ ფსიქიკური წონასწორობა ერღვეოდა, ხშირად იკარგებოდა, უმისამართოდ „დაყიალებდა", ან სახლში თვეობით იკეტებოდა... ასეთი „ჩაკეტვების" დროს იქმნებოდა ის სულისშემძვრელი სცენები, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგის პროზაული შედევრებისთვისაა დამახასიათებელი...

მწერალი სიყვარულის დაკარგვას რომ ვერ შეეგუა, „საქართველოს ბომონდის" „ცხოვრების ჩალხად" ხელახალი გადამუშავების მცდელობაც მოწმობს, ეს მცდელობა კი თორმეტი წლის შემდეგ მოხდა. ამ ხნის განმავლობაში მწერალი ამ მტკივნეულ თემას გამუდმებით თავს დასტრიალებდა. მან არც ცოლი შეირთო. ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრება, მისი სიყვარული წარმატებით რომ დაგვირგვინებულიყო...

ცოტა ხანში მწერალს ზომაზე მეტად აერია ფსიქიკა, მერე საავადმყოფოშიც მოხვდა და გარდაიცვალა კიდეც თავისი უცნაური სიკვდილით...

მართლაც, საკვირველ ბედზე იყო გაჩენილი...

„მაგრამ რა ვქნათ?... ეს არის ჩვენი ბედი და მისგან გაქცევა ვერა სთავსდება მთიელის არსებას“ – წერდა ალექსანდრე ყაზბეგი.

არც გაქცევია საკუთარ ხვედრს, ბოლომდე ატარა თავისი ტვირთი. „იქ სანდროს პაპიროსი ენატრებოდა და აქ კი ფაიტონებზე, ვინ იცის, რამდენი იხარჯებაო,“ ზაქარია ჭიჭინაძის ამ სულისშემძვრელ სიტყვებს ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ აკაკის ერთი ჩანაწერიც უჭერს მხარს...

„ძვირად მოიპოვება ჩვენში მისთანა ვინმე, რომ ალექსანდრე ყაზიბეგის სახელი არ გაეგონოს! დღეს ის საქვეყნოდ ერთი სახელ-განთქმულთაგანია. სიცოცხლეში კი ბევრი არავინ აქცევდა ყურადღებას და ვინც აქცევდა, ისიც უფრო აგდებითა და ცალყბად. ამის მიზეზი თვით სანდროს ახირებულობა იყო. მართლა რომ ძნელი სანახავია სხვა ვინმე ცხოვრებაში ისე დაუდევარი და ახირებული, როგორიც ის იყო. ყოველთვის ეჭირვებოდა გულ-შემატკივარი ჭირისუფალი და თვალ-ყურის მგდებელი. ამგვარ პატრონად თავდაპირველად „დროების“ რედაქცია გამოუჩნდა, მერე ცოტა ხნობით ივ. მაჩაბელი და შემდეგ კი აღარავინ გამოსჩენია... გულშემატკივარი, თანამგრძნობი და ყურისმგდებელი აღარავინ გამოსჩენია და უჯერო, უკულმართმა ცხოვრებამ იმდენად გაულაყა გრძნობა-გონება, რომ ლაზარეთში ამოჰყო თავი, როგორც სულით ავადმყოფმა. სიკვდილამდი იქ გაატარა დრო ტანჯვითა და ვაი-ვაგლახით. ამ დროს მისი ნაწერები ძალიან იყიდებოდა, მაგრამ ის კი მაინც უპატრონოდ იყო სალდათების ამარად. ერთხელ ვიღაც ქართველი ფერშლის წერილი მოვიდა ყაზიბეგის შესახებ... იწერებოდა: დიდ გაჭირვებაშია, თუთუნი ენატრება და პაპიროსიც არა აქვსო.

...როცა განსვენებულის დასაფლავებაზე მივარდა საქმე, მაშინ

კი, მოგეცათ ღვთის წყალობა, ჩვეულებისამებრ ჩვენებმა თვალი გამოაჭყიტეს და მოიყარეს თავი მისი კუბოს წინ! ჰაი დეპუტაცია! ჰაი სიტყვები და მჭრმეტყველება და სხვანი და სხვანი. ზოგიერთებმა მოთქმით ტირილიც კი დაიწყეს, - ერთი სიტყვით, მტერს თვალი მოვთხარეთ, რაღა!!... ამ ფარისევლობამ ძალიან გამაბრაზა და მეც რამოდენიმე სიტყვა წარმოვთქვი: რასაც დღეს ამას თანაგრძნობას ვუცხადებთ, მისი მეასედი, მეათასედიც რომ სიცოცხლეშივე გამოგვეცხადებია მისთვის და მეტი ჭირისუფლობა გაგვეწია, ეგებ დღეს ეს ისევ ჩვენში ყოფილიყო, ჩვენის ქვეყნის სასარგებლო მუშაკად. მე არა მარტო ქონებრივ შეძლებაზე და პურზე კი არ ვლაპარაკობ: „არა მარტო პურითა ცოცხალ არს კაციო!“ მე ვამბობ სულიერ საზრდოზედაც, იმ თანაგრძნობაზე, რომელიც პურზე უფრო მაღლა დგას და უფრო სანატრელია კაცისათვის. ვინც უფრო ძალუმად მუშაობს, ის უფრო ძლიერად იღლება! ვინც მეტსა ჰგრძნობს, იმას უფრო ხშირად უტყდება გული, მაგრამ საკვირველია ადამიანის ბუნება: ათასგვარ უგუნურებისგან გატეხილ გულს ერთი გონივრული თანაგრძნობა ამრთელებს და ამხნევებს ქვეყნის მუშაკად. მათთვის თანაგრძნობა იგივეა, რაც მცენარისათვის მზის სხივები და ყვავილებისათვის დილის ნამი...“ (29).

ალექსანდრე ყაზბეგის წყევლასავით თანმდევმა სიმარტოვემ და დაუფასებლობამ, სიყვარულის დაკარგვით გამოწვეულმა გადაუტანელმა ტკივილებმა და ქვეყნის უბედურებამ, რომელსაც არანაკლებ განიცდიდა, ვიდრე პირადულს, მწერლის ფსიქიკა ბოლომდე შეარყია...

ამ ყველაფრის გასაძლებად უფრო ძლიერი ნერვები იყო საჭირო, მას კი იმედისთვის ძალა არ ეყო...

„ვეფიცები, თქვენზე ჭკვიანი ვარ-მეთქი და არ მიჯერებენ.“ ჭეშმარიტად. კარგადმყოფს არ უჯერებდნენ და ავადმყოფს როგორღა დაუჯერებდნენ? „დღეს მლანძღავენ, მიწასთან მასწორებენ

ზოგიერთები, მაგრამ მე მწამს, რომ მოვა დრო, როცა ჩემს სახელს სხვანაირად ახსენებენ"-ო, უთქვამს მწერალს. მიუხედავად ამ რწმენისა, ის ერთ-ერთ ლექსში გულდაწყვეტილი წერდა:

„ღრუბლიანს დღეში დაჰკარგავს სითბოს მზე, შუქსა მთვარეო, თქვენს შორის შეუმჩნეველად მეც ამად ჩავიარეო."

სამწუხაროდ, ასე გულნატკენი წავიდა მწერალი ამქვეყნიდან.

აღიარება კი...

მაინც მოვიდა...

ოღონდ, მის გარეშე...

SUMMARY

In the book there are narrated not known widely facts from the private lives of Akaki Tsereteli and Alexandre Kazbegi. Both are grievous love stories.

Akaki's tragic love story is narrated according to the materials kept in the "Forbidden Fund" of the great poet's letters. As it is known, after the disappearance of Vano Machabeli 50 letters from Akaki's epistolary heritage were selected to be kept hidden away from the public in the "Forbidden Fund". Cencealing those letters in order that the truth should not be revealed, the papers justifying the poet should perish and the poet should be accused of Vano Machabeli's tragedy suited the certain part of the society.

One century later the Fund was disclosed and the letters hidden there (the public has not been informed about it properly yet) were released and revealed the, mysteries, especially that of relationship the poet had with Vano's wife Taso Bagration-Machabeli.

Some investigators while reading about love affair in Alexandre Kazbegi's letters and sent by him tom his mother considered it a made-up story. By means of thorough study of incompleted stories, letters, confessions and memoirs the frustration of Alexandre Kazbegi's fatal love was detected.

Besides, a great number of exciting and unknown details of the Georgian life of the 19th century were analyzed and among them versions of Vano Machabeli's disappearance.

გულიდან გადავარდნილი ლოდი

ოღონდაც ჩირქი მიეცხოთ, ოღონდაც კი ლაფი მიესხათ და რაღას არ იზამდნენ, რაღას არ იკადრებდნენ. ერთ კრებაზე იოსებ ჯუღაშვილს ტრიბუნაზე მდგომი პარტიული ოპონენტისათვის დარბაზიდან დაუძახია – შენ გიჯობს, ჩვენს კრიტიკას მოეშვა და საკუთარ ცოლს მიხედოო! ამას ყველანი აღუშფოთებია, მათ შორის, მისი თანამოაზრენიც – ეგ რა თქვი, სოსოო, იმ ღირსეულ და კეთილშობილ მანდილოსანზე ეგ რამ წამოგაცდენინაო! – ძალიანაც კარგადა ვთქვიო, წავიდეს ეხლა და ამტკიცოს, რო ეგრე არ არიო!

ეს გამოთქმა უყვარდათ – მიზანი ამართლებს საშუალებასო. იმ მიზნის მისაღწევად რაღას არ იზამდნენ, ვილას აღარ ამოაყლებდნენ ლაფში. აკი ილიაზეც დაყარეს ჭორი, დაბეჭდეს კიდეც „მოგზაურში" - გლეხებს წყალს არ აძლევსო, ერთ საწყალ საგურამოელ გლეხს მოურავი მიუქსია და კოკა ზედ ჩამოამტვრევინაო.

აქაც ის ნაცადი მეთოდი გამოიყენეს – ჩვენა ვთქვით და წადით ეხლა და ამტკიცეთ, რო ეგრე არ იყოო!

სხვა მხრიდან თუ ვერსაიდან მიუდგებოდნენ, ეს ხო კარგად იცოდნენ, ინტრიგა და ცილისწამება ხო იმათი მოგონილი იყო.

ეს თვისება აქამდე მოგვდევს, ამ მეთოდს დღესაც მარჯვედ იყენებენ – ისეთ რამეს იტყვიან, ისეთ რამეს დაბეჭდავენ, გულს შემოგეყრება, სიკვდილი მოგინდება. ოღონდ მოწინააღმდეგე ჭკუიდან გადაიყვანონ და აღარაფერს ერიდებიან. მე შენ გეტყვი, კანონი და სამართალი დაგიცავს...

თავის დროზე აკაკი წერეთელსაც ათასი ჭორი დაუყარეს, ზოგი ისეთიც, წესიერი კაცის ყურს რო არ გაეგონებოდა. რაღას არ ამბობდნენ, რაღას არ უგონებდნენ. ვანო მაჩაბლის უგზოუკვლოდ გაქრობასა და აკაკისა და ვანოს ცოლის ურთიერთობაზე მოგახსენებთ...

საიდუმლოს ახლაღა აეხადა ფარდა, ახლაღა გაირკვა სიმართლე და იმის საფუძვლიანი ეჭვიც დაიბადა, რომ ასი წლის წინათ დარხეული ჭორი ვილაცამ განგებ გააღვივა. რაღა ვილაცამ, იმან, ვისი განკარგულებითაც აკაკის წერილებს „აკრძალულ ფონდში" მიუჩინა ბინა, ვინც საზოგადოებას ის წერილები დაუმალა.

ახლა უკვე გავიდა დათქმული 100 წელი და ფონდი გაიხსნა!

იქ აღმოჩენილა აკაკის მთელი მიმოწერიდან საგანგებოდ ამორჩეული

50 წერილი, რომლებსაც გასული საუკუნის 900-იანი წლებიდან საზოგადოების თვალსა და ყურს უმალავდნენ.

ჟურნალ „ომეგას“ წლევანდელი ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა ელზა ზარდიაშვილის სენსაციური წერილი „აკაკის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი“.

სხვაგან, სხვა ქვეყანაში, სადაც საზოგადოებრივი აზრი ასე თუ ისე მაინც ბოგინობს, ასეთი წერილის გამოქვეყნება, დიდ ეროვნულ მოვლენად ჩაითვლებოდა, რადგან ამ პუბლიკაციამ ასი წლის საიდუმლოს ახადა ფარდა – მასში მოტანილია ნაწყვეტები აკაკის მიმოწერიდან ტასო ბაგრატიონ-მაჩაბელთან და ელისაბედ თარხნიშვილთან.

„900-იანი წლებიდან შეგნებულად ხდებოდა ლაფის შესხმა ისეთ მოღვაწეებზე, როგორებიც აკაკი, ილია და სხვები იყვნენ. ვფიქრობთ, საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს ხელს აძლევდა ამ წერილების გადამალვა, რომ პოეტის გასამართლებელი საბუთები გამქრალიყო და ვანო მაჩაბლის ტრაგედია სწორედ აკაკის დაბრალებოდა...“

საქმე ის იყო, რომ აკაკის მართლაც უყვარდა ტასო ბაგრატიონი, უყვარდა ცალმხრივად და პლატონურად, მაგრამ ამას იგი მთელი ოცი წელი მალავდა.

ვანო მაჩაბელი და აკაკი გულითადი მეგობრები იყვნენ, მაჩაბლების ბინაში აკაკის ერთი ოთახიც კი ჰქონია გამოყოფილი, ამიტომ, რასაკვირველია, პოეტს ერცხვინებოდა საკუთარი გრძნობებისა და მათ არავის უმხელდა. ბოლოს კი მაინც ველარ მოითმინა და ვანოს დაკარგვიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ტასოს თავის ოცწლიან სიყვარულში გამოუტყდა, რაც ბოლოს სანანებელი გაუხდა.

ელზა ზარდიაშვილი წერს: „აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ანასტასიას ავტორიტეტი. იგი საზოგადოებაში ცნობილი იყო თავისი კდემამოსილებითა და მედიდურობით. ტასო თავდავიწყებით იყო შეყვარებული თავის მეუღლეზე და ასეთად დარჩა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.“

აკაკის აღსარება ტასოს საშინლად სწყენია: „სიყვარულის გამხელისათვის ტასომ აკაკი შეიზიზღა. ისინი ერთმანეთს გაურბიან, უფრო ზუსტად, პოეტს არა აქვს უფლება, გამოჩნდეს იქ, სადაც ტასოა. ახალქალაქში დასასვენებლად მყოფი ლიზა თარხნიშვილი საყვედურობს აკაკის, რომ მის სანახავად არ ჩადის იქ. აი, რას წერს პოეტი მეგობარ ქალს: „შენთან ჩამოსვლა როგორ დამზარდება, მაგრამ, მგონი, ტასოც ეპირება წამოსვლას, არ ვიცი, როდის და, ვაითუ ერთ დროს მოგვიხდეს მოსვლა და ვერიდები... მიტომაც გთხოვ, როცა ის გამობრუნდება შენიდან, შემატყობინე და მერე მეც წამოვალ.“

აკაკი საშინელ დღეშია, საკუთარ საქციელს ისე ნანობს, რომ ერთხანს თავის მოკვლასაც კი აპირებს: „ოცი წლის განმავლობაში მე შენ მიყვარდი

ამა ქვეყნიურის მიმდევრობით. ისეთის აღტაცებით და აღფრთოვანებით, როგორაც შესაძლოა მხოლოდ რჩეულთათვის! გეტრფოდი სრულის ჩემის არსებით! შენ იყავ ჩემი ზეჩამგონებელი, ჩემი აღმგზნებელი პოეზიაცა და სიცოცხლეც, უშენოდ ქვეყანა ველარ წარმომედგინა!!! დიდხანს ვინახავდი საიდუმლოდ, როგორც „წმინდა ლოცვას". ეს წერილიც ჩემი სულის და ხორცის გაყრაა. თურმე ჩემი „არამკითხე" მისწრაფებით სასაცილო ეყოფილვარ და თანაგრძნობის ნაცვლად გულგრილობა გამომიწვევია თქვენის მხრით! მაპატიეთ! ნათქვამია, „ვისაც ბევრად უყვარს, ბევრიც ეპატივებაო." მაპატიეთ დღეიდან მკვდარს და თვით მკვდრათაც მიგულეთ, რომ ჩემმა სახსენებელმაც კი ჩრდილი არ მიაყენოს თქვენს ნათელმოსილ ნეტარებას. მშვიდობით სამარადისოდ. აკაკი."

მოგეხსენებათ, როგორი ქალაქია თბილისი – აკაკის სიყვარულის ამბავი ჭორად აგორდა, ზოგმა ისიცა თქვა და თავადაც დაიჯერა, რომ ვანო მაჩაბლის უკვალოდ გაქრობა აკაკის ბრალი იყო, ზოგი ამაში ტასოსაც ადანაშაულებდა. ამ საზიზღარმა ჭორებმა ქვეყანა შეძრა, აკაკი კი ისე დაზაფრა, რომ ერთხანს საზოგადოებას ჩამოსცილდა და სულ განაპირდა: „ერთხელვე გადავწყვიტე, აღარავინ ვნახო, არც მივიდე ვინმესთან და არც მივიღო, რადგან ჩემი სიტყვაც და გრძნობაც ყველას სხვაგვარად ესმის."

ელზა ზარდიაშვილი წერს: „ ყველაზე მტკივნეული ვერსია საზოგადოებისთვის ის იყო, როცა ამბობდნენ, ვანო მაჩაბელი აკაკისა და ტასოს სიყვარულის გამო გაუჩინარდაო. ეს აშკარა ჭორია.

„აკრძალული ფონდიდან" საშკარაოზე გამოტანილმა პოეტის პირადმა მიმოწერამ ტასო მაჩაბელთან და ელისაბედ თარხნიშვილთან ბევრ საიდუმლოს გადააცალა საბურველი და მოჰფინა ნათელი... თუმცა, დღესაც, ხანდახან ამ თემაზე კამათისას იგი კიდევ იჩენს ხოლმე თავს, იმიტომ, რომ საზოგადოება ამ მიმოწერას ჯერ არ იცნობს."

ელზა ზარდიაშვილის ამ წერილმა პირადად მე დიდი ხნის ნატარები ლოდი გადამიგდო გულიდან.

დარწმუნებული ვარ, ამგვარი სიმძიმისაგან აკაკის უმშვენიერესი პოეზიის მრავალი თაყვანისმცემელიც გაათავისუფლა.

ნუგზარ შატაიძე

„ჩვენი მწერლობა",

1-7 ნოემბერი, 2002 წელი

აკაკის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი

1. აკაკი, თსკ, ტ. 13, გვ. 503
2. „შინაური საქმეები," 1909, №1
3. აკაკი, თსკ, ტ. XII, გვ. 211
4. ე. ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი წერილები, ქართული თეატრი, „ცისკარი", 2002, №11-12
5. ე. ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი სტატია „სიმართლე", „ომეგა", 2002, №12, ლიტ. ძიებანი, 2004, XXV
6. გ. ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., 1988, გვ.207
7. აკაკი, ჩემი ჩანაწერები, ტ.II, 1913
8. აკაკი, თსკ (თვრამეტ ტომად), ტ. I, 1991, გვ. 298
9. აკაკი, თსკ, ტ.VII, გვ. 101-102
10. აკაკი, თსკ, ტ. 11, გვ.348
11. ნოე ჟორდანია, „ახალი აზრი", №135, 1915
12. აკაკი, თსკ, ტ.XV, გვ. 27
13. აკაკი, თსკ (თვრამეტ ტომად), ტ. I, გვ. 439, 1991
14. აკაკი, თსკ (თვრამეტ ტომად), ტ. I, გვ. 298, 1991
15. აკაკი, თსკ, ტ.VII, გვ.101-102
16. აკაკი, თსკ, ტ. 15, გვ. 25-26-27
17. „ლიტერატურული მემკვიდრეობა", წ. I, გვ.337, 1935
18. აკაკი, თსკ, ტ. 11, გვ.73
19. „მასხარა", 1907, №2
20. ი. გრიშაშვილი, „ნიანგი", 1933, №11-12, გვ. 23
21. „ცისკარი", 1863, №2
22. აკაკი, თსკ, ტ.VII, გვ. 97-98
23. აკაკი, თსკ, VII, გვ.100
24. ლ.ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1953, გვ. 202-203
25. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, 1985, გვ. 149
26. აკაკი, თსკ, ტ.13, გვ.398
27. აკაკი, თსკ, ტ.13, გვ. 403
28. „ივერია", 1898, №73
29. აკაკი, თსკ, ტ. 13, გვ. 382 „ცნობის ფურცელი", 1898, №571
30. ილია ჭავჭავაძე და საგრამატიკო პაექრობა, 1992 წ., ნორა კოტინოვი და ლუბა მეფარიშვილი
31. „კვალი", 1894, №47
32. ა. კოჭლავაშვილი, ა. წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი, 1958 წ.

33. „კვალი“, 1894, №47
34. ი. გოგებაშვილი, „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“, ტ.1
35. აკაკი, თსკ, ტ.XV, გვ.112-124
36. აკაკი, თსკ, ტ.XV, გვ. 62-63
37. „დროება“, 1876, №56
38. ი.ჭავჭავაძე, თსკ, ტ. X, გვ. 114-115
39. „ცისკარი“, 1868, მაისი
40. გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე, ტ.2, 1990, გვ.147
41. ი. გორგაძე, ნ.გურგენიძე, „ილია ჭავჭავაძე, ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“, თბ. 1987, გვ.258
42. „ცნობის ფურცელი“, 1898, №425
43. გ. ბენაშვილი, „კალმასობა“, №4, 2004
44. გ. ბენაშვილი, „კალმასობა“, №4, 2004
45. ს. მესხი, წერილები, 1950, გვ. 188-189
46. ს. მესხი, წერილები, 1950, გვ. 208
47. გ. ასათიანი, „აკაკი“, ოთხტომეული, ტ. III, გვ.65
48. „კვალი“, 1903, №17
49. „მოგზაური“, 1905, №33
50. „ივერია“, 1905, №188
51. „დილა“, 1913, №24

ხელნაწერი წყაროები

1. გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის აკაკი წერეთლის ფონდის წერილები
2. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის აკაკი წერეთლის ფონდის წერილები
3. გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ანასტასია (ტასო) მაჩაბლის ფონდის წერილები
4. გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის აკაკი წერეთლის ფონდის წერილები ელისაბედ თარხნიშვილისადმი

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი „ფსიქობიოგრაფია“ და საბედისწერო სიყვარულის ისტორია

1. ილია ჭავჭავაძე, „ივერია“, 1893, დეკემბერი
2. ვაჟა-ფშაველა, ქართული პოეზია, ტ. 9, გვ. 113
3. აკაკი წერეთელი, თსკ, ტ. 13, გვ. 88, 1961

4. „კვალი“, 1893, №51
5. აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწ. ხუთ ტომად, ტ. III, გვ. 110
6. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ალ. ყაზბეგის ფონდი, ავტოგრაფი № 160/20
7. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ალ. ყაზბეგის ფონდი, ავტოგრაფი № 7
8. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ალ. ყაზბეგის ფონდი, ავტოგრაფი № 12
9. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ალ. ყაზბეგის ფონდი, ავტოგრაფი № 16
10. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ალ. ყაზბეგის ფონდი, ავტოგრაფი № 19
11. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ალ. ყაზბეგის ფონდი, ავტოგრაფი № 28
12. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ალ. ყაზბეგის ფონდი, ავტოგრაფი № 29
13. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ალ. ყაზბეგის ფონდი, ავტოგრაფი № 33
14. „ავტობიოგრაფიული ცნობები“, თხზ. ტ.5, 1950, გვ. 173-189
15. „ავტობიოგრაფიული ცნობები“, თხზ. ტ.5, 1950, გვ. 189
16. „ავტობიოგრაფიული ცნობები“, თხზ. ტ.5, 1950, გვ. 195-196
17. „ავტობიოგრაფიული ცნობები“, თხზ. ტ.5, 1950, გვ. 175
18. „დროება“, 1880, №104
19. ალ. ყაზბეგი, თსკ, ტ. IV, გვ. 315-317
20. ალ ყაზბეგი, თსკ, 1905 წ., დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით
21. აპ. მახარაძე, ალ. ყაზბეგი, 1989, გვ.64
22. ალ. ყაზბეგი, თსკ, 1905 წ., გვ. 27 (დ. კარიჭაშვილი)
23. გ. ასათიანი, ალ. ყაზბეგი, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.IV, გვ.354
24. ვაჟა-ფშაველა, „ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, თბ., 1967, გვ. 169
25. ივ. ლოლაშვილი, „ალ. ყაზბეგი სოფ. ჩერვლენოეში“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, №24
26. ალ. ყაზბეგი, თსკ, 5 ტომად, ტ. 5, 1950, გვ. 204
27. ალ. ყაზბეგი, თსკ, 5 ტომად, ტ. 5, 1950, გვ. 205
28. ალ. ყაზბეგი, თსკ, 5 ტომად, ტ. 5, 1950, გვ. 207
29. აკაკი, თსკ, ტ. 14, გვ. 83-84

შინაარსი

შესავალი 3

აკაკის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი

უცნაური კონტრასტი 7
„და, როგორც ღმერთი, სამშობლოც ერთია, ერთადერთია...“ 9
„გაძაღლებული დრო...“ 13
„მოთმინება ფარად მქონდა...“ 14
აბსურდული გადაწყვეტილება 21
ყველაფერი კი ასე დაიწყო... 21
„ბაზილევშჩინა“ 23
გულცივობის კორიდა 31
ბედის ანაბარად მიტოვებული პოეტი 34
პროტესტის უჩვეულო ფორმა 36
ბედის ერთადერთი საჩუქარი 37
საკუთარი საიდუმლოს ტყვე 38
ყველაზე სანდო ნავსაყუდარი 38
მეგობრების უკანასკნელი შეხვედრა და
ღამის 4 საათის ტრაგედია 43
გაუჩინარება 47
გაუჩინარების ვერსიები 47
„მწამს სიწმინდე სიყვარულის...“ 48
„საშვილიშვილო ტაბლა“ 50
განსჯის მილმა დარჩენილი დეტალი 59
ბურუსიანი დეტალები – კვანძის გახსნა?! 60
გულში დამარხული საიდუმლოს გაცხადება 62
გაუგზავნელი ბარათები 63
დამსხვრეული მეგობრობა 68
„ბედის წიგნში განგებას ასე ჩაუწერია...“ 69
„სიყვარული არის ღმერთი“... „ტრფიალება – წმინდა ლოცვა!“ 71
„მხოლოდღა ცრემლში დამრჩა ნუგეში“ 77
გაუცრეცელი სიყვარული 78
„გულს ვერ უბრძანებ...“ 81
„თუ გიწამე ჩემდა ხატად!..“ 83

ტყეობიდან გათავისუფლებული ჭეშმარიტება 84
„ისტორიის განაჩენი“ 86
ახდენილი წინათგრძნობა 90

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი „ფსიქობიოგრაფია“ და საბედისწერო სიყვარულის ისტორია

„ცრემლი მიგყვება საგლალა“ 93
„კაცი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“ 96
გალატაკებული „მეფისწული“ 97
ბედის სასტიკი განაჩენი 98
იმედგაცრუება 98
მოგონილი „შეურყეველობა“ 99
წარმატების დეპრესია 101
საზოგადოებისგან განდეგილი 103
უცნაური გარდაცვალება 104
ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი
პორტრეტი 105
ალექსანდრე ყაზბეგის საბედისწერო
სიყვარულის ისტორია 115
სტეფანწმინდიდან მოსკოვამდე 115
დოკუმენტური მასალები 117
მეცნიერთათვის დაუჯერებელი რეალობა 120
კრახი 124
მოჯადოებულ წრეში 124
კრახის მიზეზები 125
მოულოდნელი მეტამორფოზი 127
დაუძლეველი უხილავი ძალა 129
ბოლოთქმა 131
SUMMARY 134
გულიდან გადავარდნილი ლოდი 137
დამოწმებული ლიტერატურა 138
შინაარსი 141

ელისაბედ ზარდიაშვილი
„ამბავი ორი სევდიანი სიყვარულისა“

ELISABETH ZARDIASHVILI
STORY OF TWO GRIEVOUS LOVE AFFAIRS

ფასი სახელშეკრულებო

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ნინო დემურიშვილი
ლალი ამანათაშვილი